www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 16 მაისი, 2003 წელი. №132 (344)
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### აფხაზეთის კვანძის გახსნის ოთხი კონცეფცია

აფხაზური "ფირფიტა" მართალია გაცვდა და მსმენელზე (საზოგადოებაზე) ძველებურ ეფექტს ველარ ახდენს, მაგრამ მოახლოებული არჩევნების წინ მაინც რჩება თავის გამოჩენისა და ქულების ჩაწერის ერთ-ერთ საშუალებად.

A2

## ეკონომიკა

### ყალბი ანგარიშ-ფაქტურები ბიუჯეტს სერიოზულ საფრთხეს უქმნის

როგორც ირკვევა, თაღლითებმა ყალბი ანგარიშ-ფაქტურებით მანიპულირების ტექნოლოგიები ისე დახვეწეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს მათ მიმართ სოლიდური დავალიანებაც კი დაუგროვდა.

A4

## უცხოეთი

### პაუელი მოსკოვში ვიზიტით იმედგაცრუებული დარჩა

აშშ სახელმწიფო მდივანმა, კოლინ პაუელმა ერაყზე დაწესებული სანქციების მოხსნის აუცილებლობაში რუსული მხარის დარწმუნება ვერ შეძლო. მოსკოვი სანქციების მოხსნის აუცილებელ პირობად ერაყში შეიარაღების ინსპექტორების დაბრუნებას ასახელებს.

A5

## საზოგადოება

### ხმაურიანი ნგრევა

ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა, მარჯანიშვილის ქუჩაზე, მიწისქვეშა გვირაბის თავზე მშენებარე სავაჭრო პავილიონს შეუტია. "მსხვილი მშენებლობის" ნგრევა არც ისე იოლი აღმოჩნდა; ადმინისტრაციული ინსპექციის თანამშრომლებს ცხვირწინ სულ მუშტები უტრიალეს.

A6

## სამართალი

### გუდაურში მომხდარი გახმაურებული მკვლელობის საქმე წინასწარ გამოძიებას უბრუნდება

დაზარალებულის ძირითადი მოთხოვნა გახლავთ, რომ მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი გუდაძისა და ხულიგნობაში ბრალდებულ დავით კიკნაძის საქმეებს ასევე ხულიგნობაში ბრალდებული რამდენიმე ახალგაზრდის საქმე გაუერთიანდეს.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | |
| ქუთაისი | 29 | |
| ბათუმი | 24 | |
| სოხუმი | 27 | |
| ფოთი | 26 | |
| თელავი | 25 | |
| ზუგდიდი | 30 | |
| გორი | 23 | |
| თბილისი | 23 | |
| ქუთაისი | 29 | |
| ბათუმი | 24 | |
| სოხუმი | 27 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.4390 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4353 |
| რუბლი | 0.0693 |

# "აგვისტოს ბოლოს აფხაზეთში ომი დაიწყება"

### აცხადებს რუსი დეპუტატი ალექსეი ვაშჩენკო

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

*რუსმა პარლამენტარებმა, ბოლო დროს, აფხაზეთში ვიზიტები გაახშირეს. რამდენიმე დღის წინ, სოხუმიდან მოსკოვში დაბრუნდნენ სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლები: საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გეოპოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრ შაბანოვი და ამ კომისიის კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ალექსეი ვაშჩენკო. ეს უკანასკნელი მონაწილეობდა სულ ცოტა ხნის წინათ სოჭში გამართული აფხაზი და აბაზგინელი ხალხის კონგრესის მუშაობაშიც. სოჭიდან დეპუტატები ჯერ სოხუმში გაფრინდნენ და შემდეგ დაბრუნდნენ მოსკოვში. გთავაზობთ ინტერვიუს ალექსეი ვაშჩენკოსთან, რომელიც რუს პოლიტიკოსთა უმეტესობისთვის დამახასიათებელ ანტიქართულ და ანტიამერიკულ დებულებებს უხვად აფრქვევს. მიუხედავად ამისა, მისი მოსაზრებები არაერთ საყურადღებო მომენტს შეიცავს.*

გაგრძელება A8 გვერდზე

# საარჩევნო სიები, პოლიცია და „ადგილზე სირბილი"

თამარ მჭედლიშვილი

*მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა სიებზე პასუხისმგებლობა კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკისრება. იმის მიუხედავად, რომ პარლამენტი და, მთლიანად, პოლიტიკური სპექტრი საარჩევნო კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე საუბრობს, რომელიც ამომრჩეველთა მონაცემების გაყალბების შესაძლებლობას მინიმუმამდე დაიყვანს, რეალურ შედეგამდე ჯერ შორია: პოლიტიკური პარტიები ვერ თანხმდებიან მათთვის მთავარ საკითხზე: ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესზე და, სანამ ეს პრობლემა არ გადაწყდება, საარჩევნო კანონმდებლობაში სხვა ცვლილებებზე საუბარი აშკარად ნაადრევია. ამასობაში, შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა აღრიცხვას პირველ ივნისამდე დაასრულებს.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*პოლიცია საზოგადოებას ჰპირდება, რომ პირველი ივნისისთვის დაასრულებს ამომრჩეველთა სიების შედგენას, მაგრამ, დაიცავს კი იგი არჩევნების დროს ამ სიებს გაყალბებისგან?*

# ყოფნა არ ყოფნა - აფხაზეთის დეპუტაციის დილემა

სოფო ბუკია

"მოვითხოვთ, გაუქმდეს საარჩევნო კოდექსის 127-ე მუხლი, რომლის ძალითაც, 1992 წლის არჩევნების შედეგად აფხაზეთიდან არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს უგრძელდებათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე. აგრეთვე, მიეცეს აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას უფლება, აირჩიოს თავიანთი წარმომადგენლები პარლამენტში, ჩატარდეს ხელახალი არჩევნები," – ამ შინაარსის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ 22 დღის წინათ მიიღო.

როგორც სასარჩელო განცხადების ავტორები, არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა ევროპულ-კავკასიური ინსტიტუტის" წევრები აცხადებენ, თემიდას მსახურები ამ სარჩელის განხილვას არ ჩქარობენ. გამწესრიგებელი სხდომა, რომელიც ორი კვირის წინ უნდა გამართულიყო, დღეისთვისაა დაგეგმილი.

"ევროპულ-კავკასიური ინსტიტუტის" აღნიშნული ინიციატივა ახალი არ არის. ამაზე კარგა ხანია საუბრობენ ბათუმური ბლოკის წარმომადგენლები, რომელთაც აფხაზეთის დეპუტაციასთან და ნადარეიშვილთან კარგი ურთიერთობა არა აქვთ.

სარჩელის ავტორები აცხადებენ, რომ მათ თითქმის ყველა ფრაქციასთან ჰქონდათ კონსულტაციები, საქართველოს პარლამენტიდან აფხაზეთის დეპუტაციის გამოწვევისა და ხელახალი არჩევნების ჩატარების

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვუდროფის საქმე

ედუარდ შევარდნაძის დაცვის უფროსის ელდარ გოგოლაძის მანქანაში მომხდარ, ამერიკის მოქალაქის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეცაგენტის ფრედ ვუდროფის მკვლელობაში ბრალდებულის წინააღმდეგ, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა მტკიცებულებები ელვის სისწრაფით შეკრიბა. კიდევ უფრო ადვილი აღმოჩნდა მისგან აღიარებითი ჩვენების მიღება. თუმცა, სასამართლო პროცესზე CIA-ის აგენტის მკვლელობაში ბრალდებულმა, რიგითმა გვარდიელმა ანზორ შარმაიძემ წამების იმ ხერხებზე ისაუბრა, რომლითაც პოლიციამ მკვლელობის აღიარება გამოსძალა. სასამართლომ ბრალდებულს არ დაუჯერა და მას თხუთმეტი წლით პატიმრობა მიუსაჯა. სამაგიეროდ, ამერიკის სპეცსამსახურებს კიდევ კარგა ხანი არ განელებიათ ეჭვი, რომ სპეცაგენტის მკვლელობა ბრმა შემთხვევითობა არ იყო.

მართალია, FBI-მ ქართველი გამომძიებლები ოპერატიული მუშაობისთვის შეაქო, მაგრამ გამოძიების გაგრძელება მათგან დამოუკიდებლად გადაწყვიტა. ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ FBI-ის მიერ წარმოებული ვუდროფის მკვლელობის საქმის გამოძიების მასალები, რომლებიც ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე ექსკლუზიურად მივიღეთ ამერიკული სპეცსამსახურიდან.

გაგრძელება A3 გვერდზე



*გამოძიების მასალებიდან.*

# რა ელის რუსეთს?

### დღეს პრეზიდენტი პუტინი ტრადიციული მიმართვით წარდგება

*16 მაისს, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ფედერალურ საკრებულოს თავის ტრადიციულ, ყოველწლიურ მიმართვას წაუკითხავს. რუსი ანალიტიკოსების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პუტინის მიმართვა იმაზე მეტი იქნება, ვიდრე ქვეყნის განვითარების კურსის პროგრამა. რას ელის რუსეთის პოლიტიკური ელიტა პრეზიდენტის მიმართვისაგან და რა საკითხებზე იქნება გამახვილებული ყურადღება პუტინის მოხსენებაში? – ასეთი შეკითხვით მივმართეთ რუსეთის პარლამენტის წევრებს.*

**ვლადიმირ ლუკინი**, *რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი:*

- პრეზიდენტისაგან მოვისმენთ, თუ რის გაკეთებას აპირებს ახალი საპრეზიდენტო ვადის დროს. ეჭვიც არ მეპარება, რომ პუტინი კვლავ გახდება პრეზიდენტი და ამაში მას დაეხმარება მისი პირადი უდიდესი დიპლომატიური რესურსი. პუტინმა განვლილ პერიოდში მოახერხა სახელისუფლებო ვერტიკალის განმტკიცება, გამოცოცხლდა ეკონომიკა. მართალია, რუსეთის მოსახლეობის მთავარ უკმაყოფილებას კრიმინალისა და კორუფციის თარეში იწვევს, რასაც ხელისუფლების გამყარების გარეშე ვერ ვუშველით, მაგრამ, ამ პრობლემას მოევლება. ჩემი აზრით, პრეზიდენტის მიმართვის საკვანძო საკითხი უნდა იყოს რუსეთის ეროვნული უშიშროების დოქტრინა - იმ ღონისძიებათა თეზისები, რაც უსაფრთხოების ქმედითობის ამაღლებისაკენაა მიმართული. როგორ გზას

გაგრძელება A8 გვერდზე

## სომხეთს, რუსეთის სატელიტობის გამო, დასავლეთისგან იზოლაცია ემუქრება

*ალასი ენოკიანი "სომხეთის პოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის" დირექტორი და ავტორიტეტული ჟურნალის - "ცენტრალური აზია და კავკასია" - წარმომადგენელია სომხეთში. "მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის" მიერ სამხრეთკავკასიელი ჟურნალისტებისათვის შექმნილი პროექტის დახმარებით, ალასი ენოკიანისგან, ინტერნეტის მეშვეობით, ექსკლუზიური ინტერვიუს აღება შევძელით.*

**- სომხეთში საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება და ჩვენც არჩევნების თემით დავიწყოთ. მიმომხილველების აზრით, საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, ოპოზიციურ გაერთიანებას, ამჯერადაც, გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს. როგორია თქვენი პროგნოზი?**

- თუ ოპოზიციაზე ვილაპარაკებთ, მისი შანსები, საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, კიდევ უფრო მცირეა. აქ ორი ფაქტორი უნდა აღინიშნოს. პირველი, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებამ პოზიციები გაიმყარა და არჩევნების გაყალბებაში კიდევ უფრო გაიწაფა. მეორე, პრობლემა თავად ოპოზიციაშია საძიებელი. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ოპოზიცია ძველი სტრატეგიით მუშაობას განაგრძობს, რაც საპარლამენტო არჩევნებში გამართლებული არაა. ამას გარდა, თავად ოპოზიციური პარტიების გაერთიანება "სამართლიანობაში" განხეთქილება შეინიშნება.

**- რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ არჩევნებისათვის ადეკვატური სტრატეგიის შემუშავება?**

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 ექსკლუზივი A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა
B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## ყოფნა არ ყოფნა - აფხაზეთის დეპუტაციის დილემა

პირველი გვერდიდან

შესახებ. როგორც "ევროპულ-კავკასიური ინსტიტუტის" პრეზიდენტი კობა ჩოფლიანი ირწმუნება, სიტყვიერი მხარდაჭერა უკლებლივ ყველა ფრაქციამ დააფიქსირა. განსაკუთრებული ინტერესით ამ საკითხს "XXI საუკუნე" მოეკიდა, რომელმაც ამ თემის საგანგებო განხილვაც მოაწყო.

ჩოფლიანის განცხადებით, დაუშვებელია აფხაზეთიდან დევნილმა მონაწილეობა მიიღოს, ვთქვათ, ვაკის რაიონის არჩევნებში, ან ხაშურის მაჟორიტარი აირჩიოს: **"ჩვენ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის მკვიდრმა თავისი საარჩევნო უფლება მხოლოდ აფხაზეთიდან ასარჩევ დეპუტაციასთან და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსთან მიმართებაში უნდა გამოიყენოს. სავსებით შესაძლებელია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე, სანამ საქართველოს იურისდიქცია აღდგება, აფხაზეთის საპარლამენტო დეპუტაციის და უმაღლესი საბჭოს პერიოდული არჩევნების ჩატარება."**

თავად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, გააუქმოს საარჩევნო კოდექსის 127-ე მუხლი, უკლებლივ ყველა დეპუტატი ამ გადაწყვეტილებას დაემორჩილება. **"თუმცა, ეს მიზანშეწონილი ნამდვილად არ იქნება. დღეს დევნილობაში ლეგიტიმურობა კანონის საფუძველზე არსებობს. ის თორმეტი დეპუტატი, რომლებიც საქართველოს პარლამენტში აფხაზეთს წარმოადგენენ, საქართველოსა და აფხაზეთის შემაკავშირებელი ძაფია. თუ ეს ძაფი გაწყდა, რა თქმა უნდა, ქვეყანა არ დაინგრევა, ამაზე უარესად არ ვიქნებით, როგორც ვართ, მაგრამ არც უკეთესობა დაგვეტყობა. ახალი მაჟორიტარი დეპუტატების არჩევა სრული აბსურდია, ეს არ მოხდება. არსებობს მხოლოდ ორი გამოსავალი: ან დავტოვოთ ყველაფერი ისე, როგორც არის, ან საერთოდაც გავაუქმოთ და გავყინოთ აფხაზეთის დეპუტაციის ადგილები აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე. ახლების არჩევა ცოტა უხერხულია, სოხუმის და გაგრის დეპუტატი თელავში და ზუგდიდში უნდა ავირჩიოთ?"** – ამბობს ნადარეიშვილი "24 საათთან" საუბარში.

"ევროპულ-კავკასიური ინსტიტუტის" სარჩელთან დაკავშირებული გამწესრიგებელი სხდომა საკონსტიტუციო სასამართლოში დღეისთვისაა დაგეგმილი. როგორც ამ ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, არ არის გამორიცხული, სასამართლო გარკვეულ ზეწოლას განიცდიდეს. ვინ "ერჩის" საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, "ამ ეტაპზე" არ უთქვამთ.

## დრო ცოტა რჩება, კონკრეტული ნაბიჯები კი არ ჩანს

თამარ ხორბალაძე

**"ეუთო-ს წარმომადგენლებთან შეხვედრისას ჩვენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეუთო-ს წარმომადგენლებით დაკომპლექტების თაობაზე ვისაუბრეთ და მათ განგვიცხადეს, რომ ამ მიმართულებით გეგმები არ გააჩნიათ..."** – ასეთი განცხადება გააკეთეს გუშინ სახელმწიფო მინისტრთან გამართულ დახურულ შეხვედრაზე ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში და ევროსაბჭოს მედია დივიზიის კოორდინატორმა.

ხელისუფლება გუშინ ევროსაბჭოს წარმომადგენლებს არწმუნებდა, რომ არჩევნების სამართლიანად ჩასატარებლად ყველაფერს გააკეთებს და ამაში თავად არის დაინტერესებული.

**"ცესკო-ს დაკომპლექტებაში კონსენსუსის მიღწევაში დაგეხმარებით, მაგრამ ცოტა დრო რჩება და თქვენგან კონკრეტულ ნაბიჯებს მოველით,"** - განაცხადა შეხვედრაზე ევროსაბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა.

თავად შეხვედრა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესს და, კონკრეტულად, სიტყვის თავისუფლებისა და ტელემაუწყებლობის შესახებ კანონპროექტებს ეხებოდა.

შეგახსენებთ, რომ ამ კანონპროექტების მიღება საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების ფარგლებში იკისრა და მას ევროპის საბჭო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს დროდადრო შეახსენებს ხოლმე.

გუშინდელ შეხვედრას, სტუმრებთან ერთად, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი ლევან რამიშვილი ესწრებოდა, მასპინძლობას კი მათ, ავთანდილ ჯორბენაძესთან ერთად, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი ირინა სარიშვილი უწევდა.

ავთანდილ ჯორბენაძემ შეხვედრაზე ევროსაბჭოს წარმომადგენლებს პირობა მისცა, რომ აღნიშნულ კანონპროექტებს მთავრობა უახლოეს სხდომაზე განიხილავს და, დასტურად, ამ სხდომაზე თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი ლევან რამიშვილი მიიწვია.

## გამოხმაურება

### გაზეთ "24 საათის" მთავარ რედაქტორს

მიმდინარე წლის 5 მაისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით - "მწირბიუჯეტიანი ქვეყნის პრეზიდენტის ხელგაშლილობა" ( ავტორი ლენა მიქაძე), სადაც საქართველოს კონტროლის პალატა, თითქოსდა, კონკრეტული კანონდარღვევის ფაქტზე დაგვიანებული რეაგირების გამოა დადანაშაულებული.

სამწუხაროდ, მასალა აგებულია ცალმხრივ ინფორმაციაზე, კონტროლის პალატის პოზიციის დაუფიქსირებლად. თუმცა, წერილის ავტორს საკმაოდ ადვილად შეეძლო (ვალდებულიც გახლდათ) მიეღო ჩვენი კომენტარც, რაც საკითხის ობიექტურად წარმოჩენის უფლებას მისცემდა.

გაოცებას იწვევს იურისტ დავით უსუფაშვილის პოზიციაც, რომელმაც მშვენივრად უნდა უწყოდეს საკითხის არსი. ამის მიუხედავად ის, რატომღაც, აბსურდულ ბრალდებებს უყენებს კონტროლის პალატას.

სიმართლე კი ასეთია: საქართველოს კონსტიტუციისა და "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" კანონის შესაბამისად, კონტროლის პალატა წელიწადში ორჯერ, ყველა საბიუჯეტო უწყებაში ბიუჯეტის შესრულების შესახებ თემატური შემოწმების ჩატარების (სექტემბერში და მარტში) საფუძველზე, პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ბიუჯეტის წინასწარი და სრული შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით.

2002 წლის 15 ოქტომბრს კონტროლის პალატამ პარლამენტს წარუდგინა ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის თაობაზე, სადაც, მრავალ დარღვევა-ნაკლოვანებებთან ერთად, ხაზგასმით იყო მითითებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდის გარღვევის ტენდენციის შესახებ. დოკუმენტში აისახა ის ხარვეზებიც, რომლებიც, აღნიშნული ფონდის ხარჯვის თვალსაზრისით, ფინანსთა სამინისტროს საქმიანობაში შეინიშნებოდა.

ამდენად, ზემოთ ხსენებულ პუბლიკაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია, თითქოს კონტროლის პალატა ამ ნაკლოვანებათა ფაქტზე რეაგირებას 2003 წლამდე აჭიანურებდა, მეტი რომ არ ითქვას, სიმართლეს არ შეესაბამება.

გთხოვთ, ჩვენი მასალა გაზეთის უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოთ.

პატივისცემით,
**მიხეილ ჩერქეზია**
*კონტროლის პალატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს უფროსი*

## მოკლედ

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" გენერალურ მდივანს, პარლამენტარ დავით საგანელიძეს ნაკლებად რეალურად მიაჩნია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება, რისი ინიციატივითაც რიგი ოპოზიციური პოლიტიკური ძალები გამოდიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილები იმედს გამოთქვამენ, რომ ერაყის პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ, ის სახელმწიფოები, რომლებიც მათ ადრე თავშესაფარს სთავაზობდნენ, თანდათან დაიწყებენ ლტოლვილთა ოჯახების მიღებას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ვიზიტი საქართველოში აუცილებლად შედგება უახლოეს დროში, განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის მეთაური ასლან აბაშიძე საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტისთვის სერიოზული ზიანის მიყენებაში ადანაშაულებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გეგმიური სწავლებები, ზამთრის პერიოდში გავლილი მომზადების შედეგების შესაჯამებლად, ივნისის დასაწყისში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს არასოდეს ჰქონია განსაკუთრებული ილუზიები შიდა კონფლიქტების მოგვარებაში ნატოს ჩართვასთან დაკავშირებით, განაცხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" პოლიტიკურ გაერთიანება "ახალ მემარჯვენეებს" რეალურ ოპოზიციურ ძალად არ მიიჩნევს და არ აპირებს მასთან შეთანხმების გაფორმებას საპარლამენტო არჩევნებში გაყალბების წინააღმდეგ კოორდინირებულად მუშაობის თაობაზე, რაც უკვე გააკეთეს "ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ", "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" და "გაერთიანებულმა დემოკრატებმა". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინების" წევრი სანდრო ბრეგაძე აცხადებს, რომ 1999 წელს გამართულ საპარლამენტო არჩევნების დროს "სოციალისტური პარტია" ბათუმური ალიანსის ბლოკ "საქართველოს აღორძინებაში" პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შეაგზავნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ორგანიზაცია "კავკასიელი", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია "მოქალაქეთა კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე და ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, ივნისში ყრილობას გამართავს, რომელზეც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ უწყების ხელმძღვანელის პირველმა მოადგილემ, რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ქართულ-აფხაზური საკითხების მოწესრიგებაში ვალერი ლოშჩინინმა მიიღო სეპარატისტული აფხაზეთის ახლად დანიშნული პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე უკრაინისა და აზერბაიჯანის მთავრობებს სტრატეგიული სამკუთხედის შექმნისკენ მოუწოდებს, რაც მისი აზრით, ხელს შეუწყობს შავი ზღვის ქვეყნებში უშიშროების სისტემის ფორმირებას და შესაძლებელს გახდის ნავთობმომპოვებელი და ტრანზიტული ქვეყნების გაერთიანებას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უსახრობის გამო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები მეთვალყურის სტატუსით ვერ დაესწრებიან სომხეთის საპარლამენტო არჩევნებს. **მედია-ნიუსი**

# აფხაზეთის კვანძის გახსნის ოთხი კონცეფცია

*საქართველოს პარლამენტში დროდადრო დაატრიალებენ ხოლმე ძველ ფირფიტას, რომელზეც ერთი ნაღვლიანი, პოლიტიკური "მელოდიაა" ჩაწერილი. მისი ტექსტი ათიოდე წლის წინათ შეიქმნა და რამდენიმე ჟანრობრივ ელემენტს შეიცავს: მოგვითხრობს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის ამბავს, შეგვახსენებს, მავან ხელისუფალთა ბედოვლათობითა და ღალატით, თუ როგორ ჩამოსცილდა საქართველოს მისი ძირძველი ტერიტორია, აგრეთვე შეიცავს ჰეროიკულ მოწოდებებს ამ მიწა-წყალზე ღირსეული დაბრუნების შესახებ. "აფხაზური მელოდიის" მოსმენა ბევრს შეიძლება უკვე მოსწყინდა კიდეც და მისი "ჰანგები" აღარ სიამოვნებს, მაგრამ უამისობაც არ შეიძლება - სხვა თუ არაფერი, "ფირსაკრავის" მომართვა თანამდებობრივად ევალებათ. გარდა ამისა, აფხაზური "ფირფიტა" მართალია გაცვდა და მსმენელზე (საზოგადოებაზე) ძველებურ ეფექტს ვეღარ ახდენს, მაგრამ მოახლოებული არჩევნების წინ მაინც რჩება თავის გამოჩენისა და ქულების ჩაწერის ერთ-ერთ საშუალებად.*



*ბაკურ გულუა ბევრს ეცადა, საკუთარი პროექტის ორიგინალობა წარმოეჩინა, მაგრამ ამაოდ დაშვრა.*

გიორგი ასანიშვილი

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის (თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია) გუშინდელი სხდომა საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. პარლამენტარების გარდა, თავყრილობას ესწრებოდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ფრიდრიხ ებერტის ფონდის, "ეროვნული თანხმობის დარბაზის" წარმომადგენლები, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დებორა ჯონსი.

სხდომისადმი ასეთი ინტერესი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ დღის წესრიგს. "აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების კონცეფციების განხილვა" - ერთობ სერიოზულ თემას შეეჭიდა გუშინ პარლამენტის პირველი რესპუბლიკის დარბაზში შეკრებილი საზოგადოება.

საინტერესოა ერთი გარემოებაც. ის, რისი დეფიციტიც იგრძნობოდა აფხაზეთის ომის დასრულებიდან გასულ ათწლეულში, გუშინ "ჭარბწარმოებაში" გადაიზარდა - ვახტანგ ყოლბაიას სამუშაო მაგიდაზე ერთდროულად დაიდო აფხაზეთის კვანძის გახსნის ოთხი (!) პროექტი. პირველი შემუშავდა პარლამენტის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, ეროვნული უშიშროების საბჭოში; მეორე - თავად აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით საპარლამენტო კომისიაში; მესამის ავტორია "ეროვნული თანხმობის დარბაზი" (ხელმძღვანელი ბაკურ გულუა); ხოლო მეოთხე ერთობლივად შეიმუშავეს სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტმა და "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეამ" (ალექსანდრე რუსეცკი).

აფხაზეთის დაბრუნების გზა "ოთხი მხრიდან" ხსნილია, ასარჩევი ისღა რჩება, რომელ მათგანს დავადგეთ - შვებით ამოისუნთქებს ზოგიერთი გულუბრყვილო. თუმცა, უფრო რეალისტები ისევ პესიმისტებად დარჩებიან: გუშინ "უხვად პრეზენტირებულ" კონცეფციებში მათ რაიმე არსობრივი სიახლე ვერ დაინახეს.

**"ახალ ველოსიპედს ნუ ვიგონებთ. ღია კარს ვამტვრევთ, როდესაც ორივე მხარეს მივმართავთ, მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯექითო. აფხაზებზე შურისძიება არ არის ქართველების აკვიატებული იდეაფიქსი, არ მეგულება ქართველი, რომელიც, მეორე მხრიდან მიღებული ტკივილის მიუხედავად, აფხაზების გათელვას ფიქრობდეს. ისეთი ოდიოზური ფიგურაც კი, როგორიც თამაზ ნადარეიშვილია, ალბათ, მზად იქნება, არძინბასთან მოლაპარაკებებზე დაჯდეს; მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ აფხაზები არ მოდიან მთავარზე - ერთიან სახელმწიფოში ქართველებთან თანაცხოვრებაზე",** - პარლამენტში წარმოდგენილ კონცეფციათა მთლიან პაკეტს ერთბაშად გადაუსვა ხაზი გუშინდელ სხდომაზე დამსწრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორმა ზურაბ პაპასკირმა.

პროექტების მიმართ პესიმისტურად არის განწყობილი პარლამენტარი ჯემალ გამახარიაც. **"შესაძლოა, ოთხივე კონცეფცია კარგი და მშვენიერია, მაგრამ ამ ხელისუფლების ხელში მათი განხორციელება შეუძლებელია და ისინი ქაღალდზევე დარჩება. მოვიშოროთ ეს ხელისუფლება თავიდან და მერე აფხაზებთან დიალოგიც დაიწყება და კონფლიქტიც მოგვარდება",** - აჭარულ პოლიტიკურ მოტივებზე განაგრძობს "მღერას" ფრაქცია "XXI საუკუნის" წარმომადგენელი.

რაც შეეხება თავად წარმოდგენილ კონცეფციებს, გუშინ მხოლოდ ორ მათგანზე იმსჯელეს. ერთ-ერთის ავტორი ბაკურ გულუა ძალიან ცდილობდა, "თანხმობის დარბაზის" პროდუქტი ორიგინალურ ქმნილებად წარმოეჩინა და, შეიძლება ითქვას, მან ეს მოახერხა კიდეც. თუმცა, სხვა საკითხია, რომ არაორდინალურობა ყოველთვის არ გულისხმობს მიზანშეწონილობას.

მართლაც გაუგებარია: ბაკურ გულუა ჯერ აცხადებს, რომ ქართველებისა და აფხაზების შერიგებას შუამავალი არ სჭირდება, რადგან **"ხშირად სწორედ შუამავლები, კერძოდ, რუსები ძაბავენ სიტუაციას და ხელოვნურად აფერხებენ კონფლიქტის მოგვარებას";** შემდეგ კი იგი გამოდის წინადადებით, რომ **"საქართველოს შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დოკუმენტი ზემძლავრმა სახელმწიფოებმა შეიმუშაონ",** რომელთა შორისაც გულუას მიერ ისევ რუსეთი სახელდება. ბოლოს სოფლის მეურნეობიდან კონფლიქტოლოგიაში გადაკვალიფიცირებული სპეციალისტი ისევ თავდაპირველ მოსაზრებას უბრუნდება და შეგვახსენებს, რომ **"საერთაშორისო სუბიექტებისადმი აფხაზეთის პრობლემის გადაბარებამ 10 წლის განმავლობაში შედეგი ვერ გამოიღო".**

"ორიგინალობაზე" შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია გულუასეული კონცეფციის იმ ნაწილსაც, რომლის მიხედვითაც, **"საქართველოს ხელისუფლებამ უარი უნდა თქვას აფხაზეთის საკითხში ადრე ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებზე".**

სამაგიეროდ, "ნოვაციით" ნამდვილად ვერ გამოირჩევა კონცეფციის ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთის მომავალ სტატუსს შეეხება: **"აფხაზეთი უნდა იყოს სახელმწიფო - ტერიტორიული წარმონაქმნი ვრცელი უფლებებით, რომელიც თავისი უფლებამოსილებების ნაწილს ნებაყოფლობით გადასცემს ცენტრალურ ხელისუფლებას".** ალბათ, სტატუსის საკვანძო საკითხში ტრაფარეტულმა და დაშტამპულმა პოზიციამ გაუცრუა იმედი ზურაბ პაპასკირს და ზემოთ მოყვანილი სიტყვები ათქმევინა.

პარლამენტში გუშინ პრეზენტირებული კიდევ ერთი კონცეფცია (ალექსანდრე რუსეცკის მიერ წარმოდგენილი), გულუასეული პროექტისაგან განსხვავებით, უფრო ზოგადი ხასიათისა იყო და უფრო მეცნიერული ნაშრომის იერი დაჰკრავდა. მისი ერთ-ერთი ორიგინალობა (უკვე ბრჭყალების გარეშე) შესაძლოა, ის არის, რომ ითვალისწინებს აფხაზეთის კონფლიქტის ეთნიკური ჩარჩოებიდან სენცესიურ ჭრილში გადატანას. ამ მოდელის თანახმად, მოლაპარაკებები უნდა წარიმართოს არა ეთნიკურ ქართველებსა და აფხაზებს შორის, არამედ აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, რაც, რუსეცკის თქმით, ერთი და იგივე სულაც არ არის, ხელს შეუწყობს კონფლიქტის არსის დაკრისტალებას და ქმნის მისი უფრო ადვილად გადაჭრის შესაძლებლობას.

რაც შეეხება დანარჩენ ორ კონცეფციას (უშიშროების საბჭოსი და დროებითი საპარლამენტო კომისიის), მათზე მსჯელობა გუშინ საერთოდ არ ყოფილა; მხოლოდ ითქვა, რომ ოთხივე დოკუმენტი შეჯერდება და "გადახარშული ვარიანტი" პარლამენტის პლენარულ სხდომას წარედგინება.

ისე, ამ საქმიდან რომ რაიმე სასიკეთო "გამოდნება", თავად პარლამენტარებსაც არ სჯერათ. **"10 წლის შემდეგ კიდევ 10 ასეთი პროექტით შევიკრიბებით, რადგან საკითხი მაშინაც არ იქნება გადაჭრილი,"** - მეფისტოფელივით თამაშობდა როლს გუშინ ჯემალ გამახარია.

# ვალერი ჩხეიძე პოლიციელი ხდება

მერაბ მეტრეველი

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტში რეფორმა იწყება. რეფორმის მთავარი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს უწყება სამხედრო სტრუქტურიდან პოლიციურ სტრუქტურად უნდა გადაკეთდეს. მესაზღვრეები დამატებით შეიძენენ საგამოძიებო ფუნქციებს და შსს-ს დაექვემდებარებიან. რეფორმის დასრულებას 2007 წლისთვის ვარაუდობენ.

გუშინ ვალერი ჩხეიძემ პრესკონფერენცია გამართა და ეს გეგმები იქ გაამხილა. გარდა ამისა, სანაპირო დაცვის სამსახურის რეორგანიზაციაც მიმდინარეობს. საზღვრის დაცვის რეფორმის ჩატარებაში გერმანელები დაგვეხმარებიან, სანაპირო დაცვაში კი ამერიკელები. პრესკონფერენციაზე ერთი ამერიკელიც იყო, რომელიც ჩხეიძემ ბატონ ტრამბოლად გაგვაცნო. ამერიკელმა დაახლოებით ნახევარი საათი მარტო რეფორმის გეგმაზე ისაუბრა. ბოლოს ისიც განაცხადა: ქვეყნის ეკონომიკაც ამაზეა დამოკიდებული, ეკოლოგიაც და ტურიზმის განვითარებაცო.

პრესას წარუდგინეს სანაპირო დაცვის ახალი ხელმძღვანელი დავით გულუა. მასაც ეტყობოდა, რომ საქმეს დიდი ენთუზიაზმით შედგომია. აი, მის მიერ პრესკონფერენციაზე ნათქვამი ერთი ფრაზა: **"ჩვენ გვინდა, ჩვენი კარგი მუშაობის შესახებ ინფორმაცია ამერიკის მოქალაქეებამდეც მივიდეს, რათა ამერიკელმა გადამხდელმა იცოდეს, რომ მისი ფული ტყუილად არ იხარჯება".**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ვალერი ჩხეიძემ ჟურნალისტებს ამერიკელი კონსულტანტი ბატონი ტრამბოლი წარუდგინა.*

სანაპირო დაცვას ყველაზე დიდ პრობლემებს უქმნიან აფხაზეთში მიმავალი და აფხაზეთიდან მომავალი გემები. საქართველო ამ გემებს მოძრაობას არ უკრძალავს; უბრალოდ, საბაჟო კონტროლის გავლას ფოთში სთავაზობს. ამის გაკეთება კი ბევრს არ სურს და ჩვენს მესაზღვრეებს მათი დევნა უწევთ. **"აფხაზებმა ახლა ახალი ხერხი მოიგონეს: სოხუმიდან სოჭისკენ მიდიან, მერე იქ უხვევენ და შორიდან შემოვლას ცდილობენ. თუმცა, რუსეთთან საქმე მოვაგვარეთ და ახლა გემებს ისინიც აღარ უშვებენ. სულ ახალახან ერთი გემი უკან გამოაბრუნეს. მართალია, ჩვენ მათ რვა საათი ვდიეთ, მაგრამ მაინც დავიჭირეთ,"**- ამაყად განაცხადა ჩხეიძემ.

რაც შეხება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პოლიციურ სტრუქტურად გადაკეთებას, ეს ევროპაში ინტეგრირებისთვის აუცილებელია. აგვიხსნეს: ასეა მთელ ევროპაში და თუ ევროკავშირისკენ მივისწრაფით, ჩვენც მათ ყაიდაზე უნდა გადავეწყოთო. ვადებში ჩატევა კი დიდწილად შსს-ში მიმდინარე რეფორმებზე ყოფილა დამოკიდებული და, რა თქმა უნდა, დაფინანსებაზეც.

# საარჩევნო სიები, პოლიცია და „ადგილზე სირბილი"

პირველი გვერდიდან

პოლიციის თანამშრომლები ამ პროცედურას კარდაკარ სიარულის პრინციპით ახორციელებენ. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით თოდუა აცხადებს, რომ სამუშაოების ძირითადი ნაწილი უკვე შესრულებულია. შექმნილია 1037 ჯგუფი, რომელშიც სამ-სამი უბნის ინსპექტორი შედის, და ამ ჯგუფების წევრები ამომრჩეველთა მონაცემებს უშუალოდ მათგან იღებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გვაიმედებს, რომ დღეისათვის ძირითადი სამუშაოები უკვე შესრულებულია და პირველ ივნისს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობას ეს მონაცემები მაგიდაზე ედება. თუმცა, სამინისტროს პირველი პირები თავს იზღვევენ: შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი აცხადებს, რომ მისი უწყების თანამშრომელთა მიერ შეგროვილ სიებზე ბოლომდეა პასუხისმგებელი, ისინი საარჩევნო უფლების მქონე პირების რეგისტრაციას დროზე დაასრულებენ და მონაცემები რეალური იქნება, თუმცა იქვე აცხადებს, რომ სამინისტრო ვერ აიღებს იმაზე პასუხისმგებლობას, **"ამ სიებს, საბოლოოდ, სხვები როგორ მოექცევიან".**

საკმაოდ საინტერესო განცხადებაა. განსაკუთრებით, იმ პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, რომელიც დღეს არის შექმნილი: ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბურუსით მოცული მომავალი, სახელისუფლებო პარტიებსა და ოპოზიციას შორის არსებული დაპირისპირება, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობაში სწორედ ასეთი ცვლილებების შეტანას უშლის ხელს. არადა, ასეთი ცვლილებები რომ აუცილებლად განსახორციელებელია, ეს თუნდაც გასულ წელს, საკრებულოების არჩევნების დროს გამოჩნდა, როდესაც დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა და თავად პარტიების წარმომადგენლებმა თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე აღმოაჩინეს ამომრჩეველთა გაყალბებული მონაცემები, არარსებული ქუჩები და საცხოვრებელი კორპუსები, მკვდარი სულები...

მაშინ პასუხისმგებლობა თავის თავზე არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურას არ აუღია. ყველაფერი საუბნო კომისიებს დაბრალდა: შინაგან საქმეთა სამინისტრო (მაშინაც პირველად მონაცემებს ცესკო-ს სწორედ ეს უწყება აწვდიდა) აცხადებდა, რომ მონაცემები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა გადაემოწმებინა. თავის მხრივ, ცესკო ატკიცებდა, რომ მის მოვალეობაში ამ სიების საოლქო კომისიებში გადაგზავნა შედიოდა.

მოკლედ, 2002 წლის არჩევნებში აღმოჩენილი დარღვევებისთვის არავინ დასჯილა. დღეს შექმნილი ვითარება გვაფიქრებინებს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნების დროსაც იგივე გამეორდება, რადგან პარლამენტს არ ძალუძს საარჩევნო კოდექსში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც სიების გაყალბების პრობლემას მოხსნის. ხოლო დღეს მოქმედი ცენტრალური საარჩევნო კომისია მონაცემების დასაზუსტებლად თავს არც კი შეიწუხებს, რადგან მის წევრებს ახლა მხოლოდ ერთი რამ აღელვებთ: საკუთარი მომავალი.

ვინ განახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამუშავებული სიების მონიტორინგს, ან რა იურიდიული ძალა ექნება მას? ეს ის კითხვებია, რომელზეც პასუხი დღეს არავის აქვს. მართალია, არჩევნების მონიტორინგის უფლების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები და ცალკეული პარტიები მონაცემებს დამოუკიდებლად აგროვებენ, მაგრამ ეს ოფიციალურად დასახელებულ ციფრებს ვერ შეცვლის. მათ თავგამოდებას არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა არ დააფასებს, თავად უზენაესი სასამართლოც კი.

მაგალითისთვის რუსთავის მაჟორიტარულ არჩევნებს მოვიყვანთ, რომელიც რამდენიმე თვის წინ გაიმართა (ვაკანსია მას მერე გაჩნდა, რაც რუსთავის ყოფილმა მაჟორიტარმა მერაბ ტყეშელაშვილმა დეპუტატობაზე უარი განაცხადა, ქალაქის მერის პოსტზე იყარა კენჭი და გაიმარჯვა). არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, არჩევნების შედეგები აშკარად გაყალბებული იყო და საარჩევნო ხმებით მანიპულირება სწორედ არასრული და ფალსიფიცირებული სიებით ხდებოდა. "თავისუფლების ინსტიტუტისა" და "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლებს ხელთ ჰქონდათ უამრავი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ადასტურებდა, რომ რუსთავში არჩევნების შედეგები გაყალბდა და როლანდ მგალობლიშვილი დეპუტატის თბილ სავარძელს უკანონოდ ეპატრონებოდა. ამის მიუხედავად, მათ არგუმენტებს და მტკიცებულებებს ყველამ წაუყრუა: ჯერ საოლქო საარჩევნო კომისიამ, შემდეგ ცესკო-მ, ხოლო მოგვიანებით – უზენაესმა სასამართლომ.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და მოწმეთა ჩვენებების იგნორირების რეალური მიზეზები კი ყველამ შესანიშნავად იცოდა: მგალობლიშვილი მისაღები იყო როგორც მერაბ ტყეშელაშვილისათვის, ასევე - ლევან მამალაძისათვის. შესაბამისად, პარლამენტში მისთვის უფლებამოსილების ცნობას მხარი დაუჭირეს როგორც სახელისუფლებო ფრაქციებმა, ასევე - "გაერთიანებულმა დემოკრატებმა". ამის გარდა, მისი გადეპუტატება "ნაციონალებსაც" არ გაუპროტესტებიათ. თუმცა, შესანიშნავად იცოდნენ, რომ ყველაფერი წესრიგში არ იყო. მათ გადაწყვეტილებაზე საბოლოო გავლენა როლანდ მგალობლიშვილის ნათესაურმა კავშირებმა იქონია. საქმე ის გახლავთ, რომ იგი ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის კოტე კემულარიას ალალი დეიდაშვილია.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ვუდროფის საქმე

სოფიკო ჩხაიძე
ინგა ალავიძე

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №129-131

## FBI-მ გამოძიებაში ჩართვაზე უარი თქვა, მათ გამოძიება დამოუკიდებლად აწარმოეს

მაშინ, როცა საქართველოში ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი ოფიციალურად უარს აცხადებდა 1993 წლის 8 აგვისტოს, თბილისი-ნატახტრის გზაზე ამერიკის მოქალაქისა და საელჩოს თანამშრომლის, მეტიც, შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეცაგენტის მკვლელობის გამოძიებაში მონაწილეობის მიღებაზე, FBI-ის მიერ ოთხი წლის მანძილზე, სწორედ ფრედ ვუდროფის მკვლელობის გამოძიების საქმეში ჩაკერებულ პირველივე დოკუმენტში, რომელიც 1993 წლის 9 აგვისტოთი თარიღდება და ბონის ოფისიდან ცენტრალურ შტაბბინაშია გადაგზავნილი, ასეთი კითხვაა დასმული – გაგრძელდეს თუ არა გამოძიება.

აქამდე საქართველოში საქმეში ჩახედულთა ძალზე ვიწრო წრემ თუ იცოდა, რა გადაწყვეტილება მიიღეს FBI-ის შტაბბინაში. FBI-მ კი იხელმძღვანელა ამერიკის ფედერალური კანონის მე-18 მუხლის 2331-ე სექციით - საერთაშორისო ტერორიზმის და 2332-ე სექციით – უცხო ქვეყანაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ამერიკის მოქალაქის მკვლელობის შესახებ და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: გამოძიება გაგრძელდა.

ორი წლის წინათ, საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაცია ICJF ეგიდით თბილისში მყოფი ამერიკელი ჟურნალისტის ენ ემსის დახმარებით, შეერთებული შტატების ფედერალურ საგამოძიებო ბიუროდან და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან, ინტერნეტის ქსელის საშუალებით, ვუდროფის მკვლელობის თაობაზე არსებული მასალები გამოვითხოვეთ. ჩვენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო რამდენიმე ექსპერტიზის დასკვნა, რომლებიც ვუდროფის მკვლელობიდან რამდენიმე დღეში ჩამოსულმა FBI-ის წარმომადგენლებმა საქართველოდან გაუხმაურებლად წაიღეს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ დასკვნების გამოტანის შემდეგ ამერიკელებმა აღარ ისურვეს, თანამემამულის მკვლელობის საქმის გამოძიებაში ჩარეულიყვნენ.

მართალი რომ ითქვას, დროთა განმავლობაში ამ მოთხოვნაზე პასუხის მიღების იმედი დავკარგეთ – FBI-დან სპეცაგენტის საიდუმლოებით მოცული მკვლელობის შესახებ ინფორმაციის მიღება თავიდანვე წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, უბრალოდ, მაინც ვცადეთ.

ერთი თვის წინ კი საქართველოში ჩამოსულმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ენ ემსის მიერ გამოგზავნილი შეკვრა ჩამოიტანა - FBI-ის მიერ ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმეზე ჩატარებული ოთხწლიანი გამოძიების მასალების შემცველი ორტომეული.

მიუხედავად იმისა, რომ FBI-ს გამოტანილი აქვს საბოლოო დასკვნა ვუდროფის მკვლელობის თაობაზე, მეტიც, 2003 წლის დასაწყისში საგამოძიებო მასალებს მოხსნა გრიფი "საიდუმლო", საქართველოში გამოგზავნილ ტომებში ბევრი რამ ჯერ კიდევ დაშიფრულია – საბუთების დიდი ნაწილი სპეცსამსახურის ჩინოსნებმა შავი საღებავის მეშვეობით ჩვენთვის კვლავაც საიდუმლოდ დატოვეს.

ამერიკელი ჟურნალისტის ენ ემსის თქმით, მან უკვე გაასაჩივრა FBI-ის ეს ქმედება, თუმცა, ზუსტად არ იცის, საჩივარზე პასუხს როდის მიიღებს. ენ ემსის მიერ გამოგზავნილი წერილის თანახმად, CIA-მ მასალების გამოგზავნა არ ისურვა და უარის თქმა სახელმწიფო უშიშროების დაცვით გაამართლა. რაც შეეხება FBI-ს, ჩვენს მოთხოვნაზე პასუხის მოწერის აუცილებლობა ენ ემსმა საგამოძიებო ბიუროს ორი წლის მანძილზე რამდენჯერმე შეახსენა და ბოლოს თავისას მიაღწია.

**"ამერიკელი ჟურნალისტები სხვადასხვა ორგანოდან ინფორმაციის გამოთხოვისას ინფორმაციის თავისუფლების აქტით ვხელმძღვანელობთ. ეს პროცესი თავისთავად რთული არ არის,** - მოგვწერა ენ ემსმა, - **თუმცა, შტატების უმრავლესობის კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით გაცილებით მოქნილია, ვიდრე ფედერალური კანონი. მაგალითად, კოლორადოს შტატის კანონი დაწესებულებას ავალდებულებს, რომ გამოთხოვილი ინფორმაცია სამი დღის ვადაში გასცეს. ფედერალური კანონის შესრულებას კი დედლაინი არა აქვს და ამიტომ ზოგიერთ ფედერალურ საგენტოს პასუხის გაცემისთვის წლები სჭირდება. ჩემი აზრით, ეს ფედერალური კანონის ყველაზე დიდი ნაკლია. მართალი გითხრათ, FBI-დან აქამდე ინფორმაცია არასოდეს გამომითხოვია და ამიტომ არც ვიცი, ნორმალურია თუ არა ის, რომ მათგან პასუხის მიღებას ორი წელი დასჭირდა. რაც შეეხება სადაზვერვო სამმართველოს, ჩემი ჟურნალისტური პრაქტიკის მანძილზე არც ერთი ჩემი კოლეგისგან არ მსმენია, რომ იქიდან ინფორმაცია მიეღოს."**

როგორც FBI-დან გამოგზავნილი მასალებით ირკვევა, ფრედ ვუდროფის მკვლელობის დეტალების გასაცნობად საიდუმლო აგენტთა პირველი ჯგუფი 1993 წლის 11 აგვისტოს ჩამოვიდა. მათ შორის იყვნენ ზედამხედველი სპეცაგენტი, ანუ ჯგუფის ხელმძღვანელი, მკვლელობათა ექსპერტი, ცეცხლსასროლი იარაღის ექსპერტი და ფოტოექსპერტი. მათი უსაფრთხოების ზომების მკაცრად უზრუნველყოფას ორი დღის განმავლობაში ითხოვდა საგამოძიებო ბიურო საქართველოში ამერიკის საელჩოსგან. საქართველოში ამერიკული სპეცსამსახურების თანამშრომლები არასტაბილურ კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების ზომების დაცვის რამდენიმეგვერდიანი მითითებით ჩამოვიდნენ, სადაც ისიც კი იყო განსაზღვრული, როგორ უნდა დაეგმანათ სასტუმროს ნომრის კარ-ფანჯრები. საქართველოში სპეცაგენტებმა ქართულ და რუსულენოვანი თარჯიმნები ამერიკიდანვე ჩამოიყვანეს. მათი თბილისში ჩამოსვლისას ვუდროფის გვამი ჯერ კიდევ საქართველოში ესვენა. ვაშინგტონში უკვე 9 აგვისტოს გადაწყვიტეს, რომ ცხედრის სამშობლოში გადასასვენებლად თბილისს თვით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფი ჯეიმს ვულსი ესტუმრებოდა. 8 აგვისტოს, მკვლელობის დღეს, ვულსი უკვე მოსკოვში იმყოფებოდა. მას ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ტურნე ჰქონდა დაგეგმილი. თბილისს ის ოფიციალური ვიზიტით უნდა სწვეოდა და შეხვედრები გაემართა. ვუდროფის მკვლელობამ გეგმები შეცვალა. 16 აგვისტოს საქართველოს დედაქალაქში ჩამოსული, ის თბილისის აეროპორტს არ გასცილებია. იქვე დაახვედრეს ამერიკის დროშაგადაფარებულ კუბოში ჩასვენებული ვუდროფის ცხედარი. აეროპორტში ჯეიმს ვულსს ედუარდ შევარდნაძე და მაშინდელი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი ირაკლი ბათიაშვილი დახვდნენ. რამდენიმე დიპლომატიურ-ზრდილობიანი ფრაზის გაცვლის შემდეგ კარგა ხანს გლობალურ პოლიტიკურ თემებზე ისაუბრეს. ამ საუბრის დეტალები ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ, როგორც ირაკლი ბათიაშვილმა გვიამბო: **"ჯეიმსს ვულსს, რომელიც სამშობლოში მიასვენებდა საქართველოში მოკლულ ხელქვეითს, ვუდროფის მკვლელობის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს, ერთი შეკითხვაც კი არ დაუსვამს ჩვენთვის ამის თაობაზე. ამას შევარდნაძემაც მიაქცია ყურადღება და როდესაც სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი გაფრინდა, მითხრა: ხედავ, არაფერი უთქვამს მკვლელობაზე. როგორც ჩანს, დარწმუნებულია, რომ ეს განზრახ მკვლელობა იყო".**

FBI-ის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში მითითებულია, რომ ვულსმა ცხედარი გადაასვენა ფრანკფურტში, იქიდან კი - ამერიკაში.

თბილისში მყოფი ამერიკელი გამომძიებლები კი მკვლელობის დეტალებს აზუსტებდნენ. 13 აგვისტოს ისინი შეხვდნენ სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც მუშაობის პროცესში სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

საქართველოში ჩამოსულმა FBI-ის აგენტებმა თავდაპირველად რამდენიმე მცდარი ცნობა მიიღეს. კერძოდ: თითქოს, მანქანა, რომელშიც ფრედ ვუდროფი მოკლეს, ტყვიით არ დაზიანებულა; თითქოს, მკვლელობის იარაღი იყო ავტომატი "AK-47"; თითქოს, სასიკვდილო ჭრილობის შემავალი ხვრელი მდებარეობდა შუბლზე, მარჯვენა თვალს ზემოთ, გამომავალი კი - კეფაზე.

მოგვიანებით, თვით FBI-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, მანქანაზე ნატყვიარი იპოვეს – ერთი შეხედვით, ის, მართლაც, ძნელად შესამჩნევი გახლდათ - ტყვიას მანქანის უკანა მინასა და სალონის ლითონს შორის დამაგრებული მონიკელებული რეზინის სალტეში გაევლო და მინა სწორედ მის ქვეშ დაეზიანებინა. ამის დასადასტურებლად სპეცაგენტებმა უამრავი ფოტო გადაიღეს. სხვათა შორის, ეს ფოტოები ერთადერთია, რაც FBI-ის საქართველოში ყოფნის სახსოვრად დარჩა ვუდროფის მკვლელობის საქართველოში მიმდინარე გამოძიებას.

მკვლელობის იარაღად აღიარებული ავტომატი, პირველი მონაცემებისგან განსხვავებით, "AK-47" კი არა, "AK-74" აღმოჩნდა. რაც შეეხება ჭრილობას, ეს დეტალი სხვა ორ შეცდომაზე ბევრად უფრო საინტერესოა, რადგან ქართველმა ექსპერტებმა გვამის გაკვეთის შემდეგ დასკვნაში ჩაწერეს: **"შემავალი ცეცხლსასროლი ნაიარევი განლაგებულია შუბლის მიდამოებში, მარჯვნივ, გამომავალი კი – კეფაზე."** ექსპერტიზის ასეთმა დასკვნამ გამოძიების პროცესში მკვლელობის თვითმხილველთა ჩვენებების შეცვლა გამოიწვია. კერძოდ, მკვლელობის დროს მანქანაში მჯდომმა ერთ-ერთმა ქალმა, რომელიც მკვლელობის მომენტში ფრედ ვუდროფთან ერთად უკანა სავარძელზე იჯდა, ახსნა-განმარტებისა და რამდენიმე ჩვენების მიცემის შემდეგ გაიხსენა: **"როდესაც გზაზე ავტომატით მდგარი პირები შევნიშნეთ, მეც და ფრედიმაც თვალი გავაყოლეთ."**

ასეთი ახსნა მოეძებნა იმ ფაქტს, რომ უკნიდან მიდევნებული ტყვია ფრედ ვუდროფს შუბლში მოხვდა. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ სამშობლოში გადასვენებული ფრედ ვუდროფის ცხედარი ამერიკელმა ექსპერტებმაც გაკვეთეს. გაკვეთა ბეთესლას საზღვაო ძალების ჰოსპიტალში ჩატარდა. FBI-ის საგამოძიებო მასალებში პირდაპირ არის ნათქვამი: **"პირველი დათვალიერებით ჩანდა, რომ ჭრილობა მარჯვენა თვალთან შემავალი იყო. მაგრამ გაკვეთის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ მარჯვენა თვალთან ჭრილობა გამავალია. ქართველი ექსპერტების მიერ საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანა მათ მწირ ტექნიკურ შესაძლებლობებს შეიძლება დაბრალდეს. სხვა ეჭვის გამოთქმის საფუძველი ჩვენ არა გვაქვს".**

და კიდევ ერთი: FBI-ის ექსპერტებმა გამოუსადეგრად ჩათვალეს ვუდროფის თავიდან ამოღებული ლითონის ფრაგმენტი, რომელიც ქართველმა სამართალდამცველებმა და ექსპერტებმა ტყვიის გარსის ფრაგმენტად მიიჩნიეს, თუმცა, აღნიშნეს, რომ ამის მიხედვით ტყვიისა და, მით უმეტეს, იარაღის ტიპზე მსჯელობა შეუძლებელია. ამერიკელმა ექსპერტებმა დასკვნაში ასეთი რამ ჩაწერეს: **"ეს ლითონის ფრაგმენტი ტყვიის არანაირ ნიშანთვისებას არ ატარებს და შეუძლებელია, იარაღთან რაიმე კავშირი ჰქონდეს. ამ ლითონის ფრაგმენტს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს."**

გამოძიებამ ბოლომდე ვერ მიაგნო ვუდროფისთვის საბედისწერო ტყვიის ისეთ ფრაგმენტს, რომლითაც დადგინდებოდა, რომ ის ნამდვილად ანზორ შარმაიძის იარაღიდან იყო ნასროლი.

საქართველოში სპეციალისტების მირ შეგროვებულმა მასალებმა ერთ დასკვნაში მოიყარა თავი. ამ დასკვნამ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლის ფრედ რასელ ვუდროფის საქართველოში მკვლელობით დაირღვა შეერთებული შტატების ფედერალური კანონის მე-18 მუხლი.

FBI-ის სპეცაგენტები საქართველოში, ვუდროფის ამერიკაში გადასვენების შემდეგ, 19 აგვისტომდე დარჩნენ. FBI-ის პოლიტიკის თანახმად, მათ კატეგორიულად ეკრძალებოდათ პრესასთან ურთიერთობა. მეტიც: ვუდროფის მკვლელობისა და საქართველოში ამერიკელი ექსპერტების ჩამოსვლის შესახებ ჟურნალისტებთან საუბარი აეკრძალათ საქართველოში ამერიკის საელჩოს თანამშრომლებსაც. უშუალოდ ნივთმტკიცებებზე მუშაობის გარდა (მარტო მანქანას, რომელშიც ვუდროფი მოკლეს, FBI-ის ანგარიშის თანახმად, 12 საათის მანძილზე ათვალიერებდნენ), FBI-ის ჯგუფი ხვდებოდა სხვადასხვა პირებს, მათ შორის იყო ისეთიც, ვინც **"დიდი რაოდენობით ინფორმაცია მოგვაწოდა ვუდროფსა და საქართველოში მის საქმიანობაზე."** საქართველოში წარგზავნილებმა აქედან უამრავი ფოტოსურათი (437 ცალი), ექსპერტიზის ჩასატარებელი მასალა და ასეთი დასკვნა წაიღეს: **"ქართველი სამართალდამცველების მიერ შეგროვებულ დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი არც ერთი მასალა, რომელიც დაადასტურებდა შეთქმულებას ვუდროფის წინააღმდეგ."** მათ ვერც პირველი ხარისხის მკვლელობაში დადანაშაულებული პატიმრის კავშირის კვალს მიაგნეს მათთვის საინტერესო პიროვნებასთან (აქვე აღვნიშნავთ, რომ ყველა სახელი და გვარი FBI-დან გამოგზავნილ მასალებში დღემდე დაშიფრულია. ჩვენც კონკრეტულ პიროვნებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიხსენიებთ, თუ მათი კავშირი სპეცსამსახურის ანგარიშებთან სხვა წყაროებითაა დადასტურებული).

საქართველოდან ჩატანილ მასალებზე FBI-მ 1993 წლის შემოდგომაზე, ფაქტობრივად, დაასრულა მუშაობა.

თავისი მისია, ამ რამდენიმე ექსპერტიზის ჩატარებით, ამერიკის ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ, თითქმის, შესრულებულად ჩათვალა.

მაშინ FBI-ის პირველი ჯგუფის საქართველოში ჩამოსვლის, აქ მათი მუშაობისა და თან ამერიკაში, გარკვეული გაუხმაურებელი მასალების წაღების შესახებ ინფორმაციამ, მართალია, ზედაპირულმა, მაინც გაჟონა. სამაგიეროდ, ჩვენი ინფორმაციით, სულ რამდენიმე ადამიანმა თუ იცოდა იმის შესახებ, რომ 1994 წლის თებერვალში ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ ფრედ ვუდროფის მკვლელობის ირგვლივ გამოძიება კვლავაც აქტიურად განაახლა. განახლდა FBI-ს ფარულ აგენტთა საქართველოში ვიზიტებიც.

რა გახდა სპეცაგენტთა თითქმის ექვსთვიანი შესვენების მიზეზი, ჩვენთვის ძნელი სათქმელია. 1993 წლის ზაფხულიდან 1994 წლის გაზაფხულამდე ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ჯერ ერთი, დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა – რუსეთის სამხედრო დახმარებით აფხაზმა სეპარატისტებმა კონფლიქტის ზონიდან ქართული საჯარისო ნაწილები და ქართული ეროვნების მოსახლეობა გამოყარეს. საქართველოს უმაღლესი ხელისუფალის მყისიერი სიბრაზე მეზობელი სახელმწიფოს მიმართ უმალ ჩაცხრა და იგი რუსეთის მიერ ორგანიზებულ კავშირში – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შეუძღვა საქართველოს.

კლინტონის დანაპირები კარგა ხანს დანაპირებად დარჩა. როგორც ამბობენ, რჩევად დარჩა საქართველოში ამერიკის იმდროინდელი ელჩის კენტ ბრაუნის რჩევაც ედუარდ შევარდნაძის მიმართ. არაოფიციალური ცნობით, კენტ ბრაუნმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ხელახლა შესთავაზა სახეშეცვლილი და უშიშროების სამინისტროდ გადაკეთებული საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის შეფის კანდიდატურა. თუმცა, უშიშროების მინისტრი მაინც საბჭოთა სუკ-ის სკოლაგამოვლილი კადრი იგორ გიორგაძე გახდა.

საქართველოში მიმდინარე მოვლენებისგან სრულიად დამოუკიდებლად საკუთარ დანაკარგებს ითვლის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო.

### CIA-ში გამოზრდილი

### მოღალატე

1994 წლის 21 თებერვალს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს აგენტებმა ქალაქ არლინგტონში, საკუთარ ვილაში დააპატიმრეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაღალჩინოსანი, CIA-ში მუშაობის 31-წლიანი სტაჟის მქონე, რუსეთში მომუშავე აგენტების საქმიანობაზე პასუხისმგებელი, აგრეთვე, მუშაობის ბოლო წლებში CIA-ის რიგებში ორმაგი აგენტების გამოვლენაზე მეთვალყურე 54 წლის **ოლდრიჯ ჰაზენ ეიმსი** და მისი მეუღლე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი **მარია დელ როსარიო-ეიმსი**. ოლდრიჯ (რიკ) ეიმსის საქმის ძიებას დიდი დრო არ დაჭირვებია – ამერიკის სპეცსამსახურები მას უკვე რამდენიმე წლის მანძილზე ადევნებდნენ თვალს. დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში გამართულმა სასამართლომ მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა – საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტთან თანამშრომლობისთვის.

ოლდრიჯ ეიმსი ორმაგი აგენტი გახლდათ. 1985-დან 1994 წლამდე ის ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის უშიშროების კომიტეტს აწვდიდა ინფორმაციას. დღეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აღიარებს, რომ მისი არსებობის მანძილზე ამ სპეცსამსახურისთვის მსგავსი ზიანი არავის მიუყენებია. მეტიც: როგორც ამბობენ, CIA-ს ხელმძღვანელობას დღემდე არა აქვს ზუსტი წარმოდგენა, რამდენი და რა სახის საიდუმლო ინფორმაცია გადასცა ეიმსმა სუკ-ს. ერთი რამ კი უდავოა: სწორედ CIA-ს ოფიცრის შეტყობინების საფუძველზე 1985-1992 წლებში რუსებმა გამოააშკარავეს ამერიკის დაზვერვის ათზე მეტი აგენტი და სამშობლოს ღალატისთვის უმეტესობა სიკვდილით დასაჯეს.

აგენტთა უმრავლესობის გამოვლენა 1986 წელს დაიწყო, რამაც, ცხადია, უკიდურესად შეაშფოთა ამერიკის სპეცსამსახურები. მათ ცალ-ცალკე, ყოველგვარი კოორდინაციის გარეშე დაიწყეს ინფორმაციის გაჟონვის წყაროს ძიება. სწორედ არაკოორდინირებულმა მუშაობამ გამოიწვია ის, რომ ეიმსის გამოვლენა დროში გაიწელა. მასზე ეჭვი მიიტანეს ჯერ კიდევ 80-ანი წლების დასასრულს, როდესაც სპეცსამსახურების იმ 40 თანამშრომლის სიაში მოხვდა, რომლებსაც ბოლო ხანებში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებთან ჰქონდათ კონტაქტი. ამ ადამიანების დოსიეებისა და მონაცემების გადამოწმებისას ეიმსის საბანკო ანგარიშზე დაუსაბუთებელ თანხებს მიაკვლიეს. ძიებისას მისი იმ ძვირფასი შენაძენების შესახებაც მიიღეს ინფორმაცია, რომელთა ყიდვა CIA-ის მაღალჩინოსნის ხელფასის პირობებშიც კი გადაჭარბებულ ფუფუნებად იქნა მიჩნეული. ეს არც იყო გასაკვირი - CIA-ის ოფიცრის წლიური 70-ათასდოლარიანი ანაზღაურების პირობებში ის ოთხ წელიწადში სულ რაღაც 280 ათასს გამოიმუშავებდა, როცა ამავე ოთხწლიან პერიოდში სუკ-მა მისი მუშაობა 2 მილიონ დოლარამდე შეაფასა. ოლდრიჯ ეიმსზე ეჭვის აღებიდან მის დაპატიმრებამდე რამდენიმე წელიწადმა განვლო. ამ ხნის მანძილზე მას ორმაგი მუშაობა არ შეუწყვეტია.

1993 წლის ივლისის ბოლოს, ვუდროფის მკვლელობამდე ათი დღით ადრე, ოლდრიჯ ეიმსი თბილისში ვიზიტით იმყოფებოდა.

**"მისი თბილისში ჩამოსვლა შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპეცსამსახურების ცენტრის საქართველოში გახსნის შესახებ პროექტს უკავშირდებოდა,"** - ამბობს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მაშინდელი შეფი, ამჟამად თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი.

თუმცა, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ეიმსს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედი CIA-ის აგენტების, მათ შორის, ფრედ ვუდროფის მუშაობის რევიზიაც ევალებოდა.

რამდენიმე წლის წინ რუსული პრესა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეცაგენტის მკვლელობას სწორედ ეიმსის საქართველოში ვიზიტს და ხელქვეით ვუდროფის მიერ მისთვის საერთაშორისო ნარკომაფიის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას უკავშირებდა...



ვუდროფის ცხედარი პროზექტურაში.


ოლდრიჯ ჰაზენ ეიმსი.



საბედისწერო ტყვიის გულა.

### შემდეგ ნომერში წაიკითხავთ:

- ფრედ ვუდროფი ამერიკის ხელისუფლებასთან საქართველოს ლობირებდა.
- ვუდროფი და მისი განხორციელებული და განუხორციელებელი პროექტები.
- საქართველო – საერთაშორისო ნარკომაფიასთან შეერთებული შტატების მიერ წარმოებული ბრძოლის ეპიცენტრში.
- რუსეთის სპეცსამსახურები პანკისში კრიმინალური ანკლავის შესაქმნელად ნიადაგს ვუდროფის მკვლელობაზე სპეკულირებით ამზადებდნენ.
- ოლდრიჯ ეიმსის ღალატი და ფრედ ვუდროფის საქმიანობა ნარკობიზნესთან ბრძოლის ხაზით – სად იკვეთება ინტერესები, რომელსაც მკვლელობამდე მივყავართ.

# "იტერა" საკადრო პოლიტიკაში უპირატესობას ძალოვანებს ანიჭებს

მაია მოსიაშვილი

"იტერას" შვილობილი კომპანია "საქგაზი" თავის შვილობილ "რუსთავგაზში" მნიშვნელოვან ცვლილებებს გეგმავს. ორი დღის წინ "რუსთავგაზის" აქციონერთა კრება გაიმართა, სადაც შემაჯამებელი მოხსენებით კომპანიის გენერალური დირექტორი გენრი მახარაძე წარსდგა. "საქგაზმა" მახარაძის ორწლიანი მუშაობა კომპანიისათვის წამგებიანად და უარყოფითად შეაფასა. ამას დაემატა ისიც, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ საოლქო საგადასახადო ინსპექციამ, უკვე მერამდენედ, "რუსთავგაზის" ანგარიშებს ყადაღა დაადო და გამოაცხადა, რომ ვალების არდაფარვის შემთხვევაში, მას აუქციონზე გაყიდის. როგორც მახარაძე აცხადებს, კომპანიას ბიუჯეტის საკმაოდ დიდი ვალი აქვს, მაგრამ დავალიანება "რუსთავგაზის" მიზეზით არ წარმოქმნილა და ეს არის პრეზიდენტის ბრძანებულებებით ჯერ კიდევ 1994 წელს ჩამოწერილი ვალები, რომლის დღგ-სა და მოგების გადასახადის გადახდა რატომღაც მაინც დაეკისრათ. "საწყის თანხას წლების მანძილზე საურავები ერიცხებოდა და თანხამ დღეისათვის რამდენიმე მილიონი ლარი შეადგინა. ეს არარეალური დავალიანებაა," - აცხადებს მახარაძე.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ "საქგაზმა" "რუსთავგაზის" გენერალური დირექტორის პოსტი რუსთავის პოლიციის უფროსის მოადგილეს დავით მჭედლიშვილს შესთავაზა. ეს ინფორმაცია თავად მჭედლიშვილმაც დაადასტურა. "24 საათთან" საუბარში მან აღნიშნა, რომ წინადადება "საქგაზიდან", უფრო ზუსტად, ლეონიდ დეიკალოსგან მოდის და მასზე არჩევანის შეჩერება პირადი ნაცნობობის დამსახურებაა. მჭედლიშვილს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, თუმცა არ მალავს, რომ შეთავაზება მოსწონს.

"რუსთავგაზის" გენერალურ დირექტორად ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლის დანიშვნა საქმეში ჩახედულ ხალხს არ გაჰკვირვებია. მით უფრო, რომ "იტერამ" თავის სტრუქტურებში უკვე ბევრი ქართველი ძალოვანი დაასაქმა და ეს ტენდენცია კომპანიაში როგორც ჩანს მომავალშიც გაგრძელდება.

# საგანგებო ლეგიონს ახალი უფროსი ჰყავს

*ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურებში საკადრო ცვლილებები გრძელდება. გუშინ საღამოს ცნობილი გახდა, რომ საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელმა თემურ ძიძიგურმა სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადება დაწერა. "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ამავე განცხადებაში ძიძიგურმა ლეგიონის უფროსის სავარძლის "მემკვიდრედ" თავისი მოადგილე, ნუგზარ კახნიაური დაასახელა.*

მაია ურუშაძე

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა ძიძიგურის გათავისუფლებასა და კახნიაურის დანიშვნას დაუყოვნებლივ, გუშინვე მოაწერა ხელი.

შედეგად, გუშინ, საღამოს 9-ის ნახევრამდე, საგანგებო ლეგიონის ოფისში ნუგზარ კახნიაური და ლეგიონის სხვა თანამშრომლები სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესა და ფინანსთა მინისტრ მირიან გოგიაშვილს ელოდნენ, რომელსაც მათთვის ახალი უფროსი, ნუგზარ კახნიაური ოფიციალურად უნდა წარედგინა. თუმცა, ჯორბენაძემ და გოგიაშვილმა "ლეგიონერებისა" და ჟურნალისტების მოლოდინი გააცრუეს: მათ წარდგენის ოფიციალური ცერემონიალი დღეისთვის – 16 მაისისთვის გადადეს.

ლეგიონის ახალი უფროსის ვინაობის ღიად დასახელებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია მისი სამომავლო გეგმების შესახებ. თუმცა, კახნიაური ამ გეგმების შესახებ დეტალურად საუბრისაგან თავს იკავებს და პრესისათვის ვრცელ კომენტარს მანამდე არ აკეთებს, **"სანამ წარდგენა ოფიციალურად არ მოხდება."**

**"დაველოდოთ წარდგინებას. საგანგებო ლეგიონში, პირველ რიგში, სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს, ლეგიონი უნდა იქცეს სპეცსამსახურად, როგორც თავის დროზე იყო ჩაფიქრებული,"** – აცხადებს ის.

ამ ცვლილებებზე კახნიაური ადრეც, ლეგიონის უფროსის მოადგილის რანგშიც საუბრობდა.

შეგახსენებთ, რომ "საქართველოს ავღანელთა კავშირის" თავმჯდომარემ ნუგზარ კახნიაურმა საგანგებო ლეგიონის უფროსის მოადგილის სავარძელი ორი თვის წინ, ანუ მას შემდეგ დაიკავა, რაც "ავღანელთა კავშირი" სახელისუფლებო ბლოკში გაერთიანდა. ის ამ თანამდებობაზე ავთანდილ ჯორბენაძის რეკომენდაციით დაინიშნა.

საგანგებო ლეგიონში მოსალოდნელი საკადრო ცვლილების შესახებ ინფორმაცია, უკვე ორი თვეა, მუსირებს. მთელი ამ დროის მანძილზე ლეგიონის ძველი უფროსი თემურ ძიძიგური ბიულეტენზე იმყოფება.

საგანგებო ლეგიონის უფროსის შეცვლის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ამ ორი კვირის წინ გახდა, როცა საბაჟოს უფროსის თანამდებობაზე ალეკო ასლანიკაშვილი დავით თარხან-მოურავმა შეცვალა.


ვახო ხაჩიძის ფოტო

*ნუგზარ კახნიაური*

# ყალბი ანგარიშ-ფაქტურები ბიუჯეტს სერიოზულ საფრთხეს უქმნის

*პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითმა კომისიამ თბილისის საგადასახადო და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციებში დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურების მართებულად გამოყენების საკითხი შეისწავლა და დაადგინა, რომ გადასახადის გადამხდელებს, საგადასახადო ინსპექციების თანამშრომლებთან ერთად, გამოძებნილი აქვთ გადასახადისათვის თავის არიდების გზები, რის გამოც ბიუჯეტი ზარალდება. როგორც ირკვევა, თაღლითებმა ყალბი ანგარიშ-ფაქტურებით მანიპულირების ტექნოლოგიები ისე დახვეწეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს მათ მიმართ სოლიდური დავალიანებაც კი დაუგროვდა.*

მაია ურუშაძე

2002 წლის 1 სექტემბრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც დამატებული ღირებულების გადახდის ახალი, გართულებული ფორმა დაინერგა, საქართველოში ეკონომიკური თაღლითობის ახალი პრაქტიკა დამკვიდრდა: კონტრაბანდული საქონლის შესყიდვის შემთხვევაში, კერძო ფირმები დამატებული ღირებულების გადასახადს ბიუჯეტში ბაზრობებზე 50-100 ლარად ნაყიდი ყალბი ანგარიშ-ფაქტურების გამოყენებით იხდიან. **"უფრო იაფი გვიჯდება,"** – აცხადებენ ისინი. ეს ბუნებრივიცაა: გამოდის, რომ კონტრაბანდული საქონლის რეალიზაციისთვის დამატებული ღირებულების გადასახადი ბიუჯეტში გადახდილია. როცა საბუთები წესრიგშია, ბიზნესიც ლეგალური გამოდის.

ანგარიშ-ფაქტურების გაყალბება ერთგვარ ბიზნესადაც კი იქცა. ზოგიერთი კერძო ფირმა, რომელიც საგანგებოდ - დამატებული გადასახადის გადამხდელად რეგისტრირების მიზნით იქმნება, მხოლოდ ყალბი ანგარიშ-ფაქტურების გამოწერითაა დაკავებული და ამ საქმიანობისთვის გარიგების თანხიდან 5-10 პროცენტს იღებს.

ვინაიდან გადამხდელს დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ბიუჯეტში გადახდილი თანხის უკან მოთხოვნა შეუძლია, ყალბი ანგარიშ-ფაქტურები სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ამმხრივაც საფრთხეს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ბიუჯეტიდან თანხების მიღება პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამის გამო, ყველაზე იოლი ბიუჯეტიდან ამ გადასახადის "ჩათვლის" საშუალებით გაქვითვაა. ხშირ შემთხვევაში, ჩათვლები რამდენიმე საფეხურად ხორციელდება, რაც გაყალბების შემთხვევების გამოვლენის პროცედურას კიდევ უფრო ართულებს.

**"ე.წ. "მრავალსაფეხურიანი ჩათვლის" მეთოდს საგადასახადო კანონმდებლობაში კარგად გარკვეული პიროვნებები ახორციელებენ. არის შემთხვევები, როცა საგადასახადო დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის მიერ უკანონოდ მიჩნეული და გაუქმებული ჩათვლები სასამართლოს აღუდგენია,"** – ნათქვამია პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი კომისიის მიერ გაკეთებულ დასკვნაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი მიიჩნევს, რომ **"ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის თაღლითობისაკენ არის მიმართული."** მაგალითად კი ფინანსთა მინისტრს აშშ დოლარის გამყალბებლები მოჰყავს. **"ამერიკის კანონიც კრძალავს გაყალბებას, მაგრამ დოლარს მაინც აყალბებენ. სამწუხაროდ, ამისგან დაზღვევა არ არსებობს,"** – აცხადებს ის.

სწორედ ამის გამო იქცა ყალბი ანგარიშ-ფაქტურების საკითხი პარლამენტის ანტიკორუფციული კომისიის შესწავლის საგნად. ვითარებიდან გამოსავალს კომისია დღგ-თი დაბეგვრის არსებული მეთოდის შეცვლაში, საგადასახადო ორგანოებისა და გადამხდელების მიმართ კანონის მოთხოვნების გამკაცრებასა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ზედნადების აღრიცხვა-გაცემაზე მკაცრი პირადი პასუხისმგებლობის დაწესებაში ხედავს. **"გადამხდელს ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდის უფლება უნდა მიეცეს. ანგარიშ-ფაქტურები უნდა გამოიწეროს იმ შემთხვევაში, თუ დღგ-ს თანხა 84 ლარს არ აღემატება, ამის ზემოთ კი, მხოლოდ საბანკო ანგარიშების გამოყენება უნდა მოხდეს,"** – ასეთ რეკომენდაციას აძლევს კომისია ფინანსთა სამინისტროს.

# საბაჟო და საგადასახადო აქციზებს ვერ იყოფენ

სოფო კვინტრაძე

*პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტმა აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს საქმიანობა შეისწავლა და არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. პარლამენტარები ბიუროს გაუქმებას და საგადასახადო დეპარტამენტთან შეერთებას მოითხოვენ. თავის მხრივ, საბაჟო დეპარტამენტის ახალი უფროსი დავით თარხან-მოურავი აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს გაყოფისა და მისი ფუნქციების საბაჟო და საგადასახადო უწყებებში განაწილების მომხრეა.*

გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ რომან დალაქიშვილმა წარმოადგინა აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს საქმიანობის შემსწავლელი მასალები. როგორც ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი აცხადებს, ბიუროს მიერ გაწეული საქმიანობა საგანგაშოა, რადგან, ექსპერტთა გათვლებით, საქართველოში საავტომობილო ბენზინის მოხმარება წელიწადში 600 ათას ტონას შეადგენს, დიზელის საწვავისა კი 400 ათას ტონას. ბიუროს მონაცემებით კი, 2002 წელს საქართველოში 264 ათასი ტონა იმპორტირებული ბენზინი და 89 ათასი ტონა დიზელი დაფიქსირდა. კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს საგადასახადო დეპარტამენტისათვის შეერთება მოითხოვა, ამას გარდა, პარლამენტარები მიიჩნევენ, რომ ბიუროს უნდა ჰქონდეს არა მარტო მონიტორინგის ფუნქცია, არამედ უშუალოდ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა აქციზიდან ამოღებულ გადასახადებზე. საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელი იასე ზაუტაშვილი თანახმაა, რომ ბიურო მის უწყებას შეუერთდეს. საბაჟო დეპარტამენტის ახალი უფროსი დავით თარხან-მოურავი კი ბიუროს ნაწილის მისი უწყებისათვის გადაცემის ინიციატივით გამოდის.

შეგახსენებთ, რომ აქციზული საქონლის მონიტორინგის ბიურო, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, 2000 წლის ნოემბერში შეიქმნა. ბიურო უშუალოდ ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარება და მის ფუნქციებში აქციზური საქონლის, კერძოდ - ნავთობპროდუქტების ბრუნვის მონიტორინგი შედის.

კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორი ფირმების წარმომადგენლები. ბიზნესმენები ერთხმად აცხადებენ, რომ მათთვის უმჯობესია, ერთ უწყებასთან ჰქონდეთ ურთიერთობა. დღევანდელი კანონმდებლობით, აქციზის გადასახადს იმპორტიორები საგადასახადო ინსპექციაში იხდიან, ხოლო ინფორმაციას შემოტანილი აქციზური საქონლის თაობაზე წარუდგენენ აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს.

# ევროკავშირში ერთიანი საპენსიო სისტემა იქმნება

თორნიკე შარაშენიძე

ევროკავშირის ფინანსთა მინისტრებმა მწვანე შუქი აუნთეს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, საპენსიო ფონდებს საშუალება მიეცემათ, მთელი კავშირის ტერიტორიაზე განახორციელონ ოპერაციები. ევროკავშირი იმედოვნებს, რომ ამ გზით საპენსიო კომპანიების მუშაობა გაცილებით უფრო ეფექტური გახდება და ძველი კონტინენტის მთელ რიგ ქვეყნებში მოსახლეობის დაბერების გამო საპენსიო ხარჯების ზრდის პრობლემაც მოგვარდება.

შეთანხმების მიხედვით, უნდა შემუშავდეს ერთიანი სქემა ყველა საპენსიო ფირმისათვის. დღეს ყველა ქვეყანაში განსხვავებული წესები არსებობს. ახლა ეს განსხვავება აღარ იარსებებს.

ევროკავშირის შიდა ბაზრის კომისრის ფრიც ბოლკეშტაინის თქმით, ერთიანი სქემა საპენსიო ფირმებს წელიწადში დაახლოებით 56 მილიონ ევროს დააზოგინებს. თუმცა, კომისარი აღიარებს, რომ ასეთი სქემის შემუშავება მთელი ევროკავშირისათვის არც ისე იოლი იქნება და საამისოდ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

ეს ისტორიული შეთანხმება საფრანგეთსა და ავსტრიაში საპენსიო რეფორმების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო გაფიცვებს დაემთხვა. ამ სახელმწიფოებში განსაკუთრებული სიმწვავით გრძნობენ იმ პრობლემას, რომლის წინაშეც მალე მთელი კონტინენტი დადგება. საუბარია მოსახლეობაში პენსიონერთა ხვედრითი წილის მნიშვნელოვან გაზრდაზე. ზრდის მიზეზია არა მხოლოდ შობადობის ბუმი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, არამედ სამედიცინო მომსახურებისა და ცხოვრების დონის ამაღლების ხარჯზე ევროპელთა სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი გაზრდაც.

საფრანგეთი პენსიონერთა რიცხვის ზრდის გამო 2020 წლისათვის 50 - მილიარდიან ბიუჯეტის დეფიციტს ელოდება. ევროპაში კი, 2050 წელს, პენსიონერთა ხვედრითი წილი 40 პროცენტამდე ავა. თავის დროზე ვინც პენსია მოიგონა, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ იმ დროისათვის მთავრობისათვის ეს მეტად მომგებიანი სიახლე (ადრე ცხოვრების დონე და, შესაბამისად, სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო დაბალი იყო, პენსიონერებიც უფრო ადრე კვდებოდნენ და მათ მიერ თავის დროზე გადახდილი საპენსიო შენატანებით სახელმწიფო მოგებაში რჩებოდა ხოლმე) ოდესმე ასეთ პრობლემებს შექმნიდა.

## მონიტორინგი

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 14 მაისისთვის

მილიონ ლარებში

| დასახელება | ექვსი თვის პროგნოზი | შესრულება | % | 13 მაისი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 529.80 | 309.60 | 58% | 2.16 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 385.09 | 220.08 | 57% | 1.60 |
| საგადასახადო შემოსავლები | 310.64 | 184.96 | 60% | 1.15 |
| სოციალური ფონდი | 116.81 | 76.44 | 65% | 0.49 |
| საგზაო ფონდი | 24.05 | 13.22 | 55% | 0.06 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | 118.66 | 83.30 | 70% | 0.91 |

სას "დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

www.dvnk.ge
office@dvnk.ge

## მოკლედ

**თბილისი.** ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კაპანაძე, თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრისა და საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიზნით, საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატივით გამოდის. კაპანაძის აზრით, თამბაქოს ადგილობრივი წარმოება რომ განვითარდეს, ამისათვის უფილტრო სიგარეტისა და პაპიროსის აქციზური მარკის ღირებულება ერთ კოლოფზე 7-დან 2 თეთრამდე უნდა შემცირდეს. მისი განმარტებით, ცვლილებების აუცილებლობა უკანასკნელ წლებში თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდის კატასტროფულ ზრდას უკავშირდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს 2002 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა და არსებულ დარღვევებზე პასუხისმგებლობა საბიუჯეტო პოლიტიკის განმსაზღვრელ უწყებებს დააკისრა. კონტროლის პალატის თავმჯდომარემ დარღვევების მიზეზებს შორის არაკოორდინირებული მუშაობა, საბიუჯეტო პროცესების არასწორი მართვა, საკანონმდებლო ხარვეზები და კორუფცია დაასახელა. **ინტერ-პრესი**

# მთავრობა და "ეი-ი-ეს თელასი" საერთო ენას ვერ პოულობენ

**"შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა,"** - განაცხადა გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში, მთავრობისა და ამერიკულ კომპანია "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენელთა შორის გამართული შეხვედრის შემდეგ "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა.

"ეი-ი-ეს თელასისა" და მთავრობის ეკონომიკური ბლოკის საუბრის ძირითადი თემა ამერიკული კომპანიის 17 მილიონი ლარის ოდენობის საბიუჯეტო დავალიანება, საგზაო ფონდთან არსებული ანგარიშსწორების პრობლემა და სოციალურად დაუცველ პირთათვის ელექტროენერგიის საფასურზე შეღავათების გადამხდელის ვინაობის დადგენა იყო.

იგნასიო ირიბარენის თქმით, სოციალურად დაუცველ პირებს შეღავათი ამერიკულმა კომპანიამ კი არა, სახელმწიფომ აღუთქვა. ამდენად, თანხა იმისათვის, რომ "ეი-ი-ეს თელასმა" ომის ვეტერანებს, ინვალიდებსა და სხვა სოციალურად დაუცველ პირებს შეღავათი გაუწიოს, კომპანიას მთავრობამ უნდა გადაუხადოს.

*"24 საათი"*



# პაუელი მოსკოვში ვიზიტით იმედგაცრუებული დარჩა

შოთა უტიაშვილი

აშშ სახელმწიფო მდივანმა, კოლინ პაუელმა ერაყზე დაწესებული სანქციების მოხსნის აუცილებლობაში რუსული მხარის დარწმუნება ვერ შეძლო. მოსკოვი სანქციების მოხსნის აუცილებელ პირობად ერაყში შეიარაღების ინსპექტორების დაბრუნებას ასახელებს.

კოალიციის მხრიდან, მოსკოვის დარწმუნების ეს უკვე მეორე მცდელობა იყო. ორი კვირის წინ, რუსეთში ამავე მიზნით ჩამოსული დიდი ბრიტანეთის პრემიერი, ტონი ბლერი შინ ხელცარიელი დაბრუნდა.

მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ პაუელმა განაცხადა, რომ ერაყთან დაკავშირებით გადაუწყვეტელი საკითხები რჩება და მხარეები მათზე მუშაობას უახლოეს მომავალში გააგრძელებენ.

"ჩვენ ერაყის პრობლემის ირგვლივ ბევრი ვისაუბრეთ და ვიკამათეთ, – განაცხადა პუტინმა, - მაგრამ მე ვფიქრობ, ჩვენ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისათვის ფუნდამენტის შენარჩუნება მოვახერხეთ".

პაუელი აცხადებს, რომ ვაშინგტონი არ ეთანხმება მოსკოვის პოზიციას და ინსპექტორების დაბრუნებას აუცილებლად არ მიიჩნევს. ახლახან დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯეკ სტროუმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მასობრივი განადგურების იარაღის აღმოჩენას კოალიცია დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. რუსეთთან "ჩვენ ამ საკითხზე ვერ შევთანხმდით", – თქვა პაუელმა.

კენჭისყრა, ერაყისთვის სანქციების მოხსნის შესახებ წუხელ, გვიან ღამით გაიმართა. უშიშროების საბჭოს უნდა გადაეწყვიტა, მიიღებდა თუ არა ამერიკის წინადადებას, რომელიც ერაყის წინააღმდეგ 1991 წლის შემდეგ დაწესებული სანქციების მოხსნას გულისხმობს და საშუალებას აძლევს მოკავშირეებს, ერაყის ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მინიმუმ, ერთი წლის მანძილზე გააკონტროლონ. კოალიცია აცხადებს, რომ ეს ფული ერაყისავე აღდგენას უნდა მოხმარდეს.



პაუელი მოსკოვიდან ბრუნდება.

მოსკოვის პოზიციას მეტ-ნაკლებად მხარს უჭერს უშიშროების საბჭოს კიდევ ორი მუდმივი წევრი, საფრანგეთი და ჩინეთი, თუმცა, მათ შედარებით რბილი პოზიცია უკავიათ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ივანოვი ამტკიცებს, რომ მის ქვეყანას არ სურს, ერაყის რეკონსტრუქციას ხელოვნური ბარიერები შეუქმნას და კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის მზადაა (ალბათ, იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა რუსეთის პირობებს დათანხმდა)

მომავალ თანამშრომლობაზე საუბრობს პაუელიც. მისი თქმით, ომის დასრულების შემდეგ, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში ახალი ფურცელი უნდა გადაიშალოს და მხარეებმა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ და ცხელ წერტილებში (ავღანეთი, ჩრდილოეთ კორეა) ვითარების დარეგულირების მიზნით თანამშრომლობა უნდა გააგრძელონ.

თუმცა, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში, ერაყის გარდა, სხვა მწვავე საკითხებიც არსებობს, პირველ რიგში, ირანის ბირთვული პროგრამის სახით. პაუელის თქმით, მოლაპარაკებებისას საუბარი ამ საკითხსაც შეეხო და ახლა მხარეები საერთო აზრამდე მისვლასთან "ცოტა უფრო ახლოს" არიან, ვიდრე ადრე.

"იმედი მაქვს, პრეზიდენტ ბუშის ვიზიტი რუსეთში (იგი დაგეგმილია 1 ივნისს) ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებას ხელს შეუწყობს", - განაცხადა მან.

თუმცა, პაუელი აშკარად იმედგაცრუებული იყო. მან თავს მწარე ხუმრობის ნებაც მისცა, რასაც იშვიათად აკეთებს. როდესაც რუსები საუბრობდნენ იმაზე, რომ დუმის მიერ სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მანიშნებელია, პაუელმა ცინიკურად უპასუხა: "ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მართლაც უკეთესი საჩუქარია, ვიდრე, ჩვეულებისამებრ, ჰალსტუხი იქნებოდა".

# აშშ-ს ახალი რეზოლუცია უშიშროების საბჭოში

თეთრმა სახლმა გუშინ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციის პროექტი წარუდგინა, რომელიც ერაყისათვის გაერო-ს სანქციების მოხსნას ითვალისწინებს. ამის თაობაზე აშშ-ს ელჩმა გაერო-ში ჯონ ნეგროპონტემ განაცხადა. სააგენტო "როიტერის" ცნობით, რეზოლუცია, პირველ რიგში, პოსტსადამისეულ ერაყში გაერო-ს როლს შეეხება და პროგრამის "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" გაუქმებას მოითხოვს. საფრანგეთის ხელისუფლება ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ რეზოლუციაში გაერო-ს როლი არასათანადოდ არის შეფასებული. რაც შეეხება რუსეთს, ოფიციალური მოსკოვი შეშფოთებულია, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია, ამ რეზოლუციის დამტკიცების შემთხვევაში, ერაყის ნავთობზე სრულ კონტროლს დააწესებს.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის - გერმანიის პოზიციაც უკვე ნათელია. გერმანიის ფედერაციის ელჩი გაერო-ში გიუნტერ პლოიგერი თვლის, რომ გაერო-მ ერაყის განვითარების საქმეში უმთავრესი როლი უნდა შეასრულოს, რაც რეგიონში სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესების შესაძლო დაპირისპირებას გაანეიტრალებს. მისი თქმით, ერაყის ეკონომიკის აღდგენის პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალე უნდა იყოს.

რასაკვირველია, რეზოლუციის განხილვა უშიშროების საბჭოში არცთუ უმტკივნეულო პროცესი იქნება. თუმცა, ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ საფრანგეთის, რუსეთის და ჩინეთის წინადადებების გათვალისწინებით, უშიშროების საბჭოში ახალი კონფრონტაციის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდება.

აშშ-ს მიერ შეთავაზებული რეზოლუცია ერაყული ნავთობის მყიდველისათვის იურიდიული გარანტიების დაწესებას ითვალისწინებს, ვიდრე ერაყის მთავრობის საერთაშორისო აღიარება მოხდება. გარდა ამისა, იარაღით ვაჭრობაზე ემბარგოს გარდა, ერაყს ყველა ეკონომიკური სანქცია მოეხსნება.

# სომხეთს, რუსეთის სატელიტობის გამო, დასავლეთისგან იზოლაცია ემუქრება

პირველი გვერდიდან

- ოპოზიციამ ადეკვატური სტრატეგიის გამომუშავება, ჩემი აზრით, იმიტომ ვერ შეძლო, რომ ამჟამინდელი ლიდერები გამოუცდელები არიან. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ხელისუფლება დაწერილ კანონებს ხშირად იგნორირებას უკეთებს და ამ კანონებსაც ცალმხრივად ძალზე ხშირად ცვლის.

**- აქვთ თუ არა პოლიტიკურ პარტიებს ჩამოყალიბებული კონცეფციები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე? რაში მდგომარეობს მათ შორის განსხვავება?**

- არ აქვთ. ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობისას ნათელი გახდა, რომ ორივე კანდიდატი ყარაბაღის საკითხში რაიმეს დათმობას მიუღებლად მიიჩნევდა, ორივე ლაპარაკობდა ეკონომიკურ აღმავლობაზე, ინვესტიციების მოზიდვასა და პენსიების გაზრდაზე და ა.შ. მაშინაც და ახლაც სერიოზულად არავინ ლაპარაკობს, როგორ უნდა განხორციელდეს ეს მიზნები. ხალხი პროგრამებს შორის კი არა, პირად სიმპათიებს შორის აირჩევს. ეს, პრინციპში, კანონზომიერი მოვლენაა იმ ქვეყნისათვის, სადაც საშუალო ფენა ვერა და ვერ ჩამოყალიბდა. ამას გარდა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მოუგვარებლად, სომხეთში ეკონომიკური განვითარების არც ერთი პროგრამა არ იმუშავებს.

**- ზოგიერთები ვარაუდობენ, რომ მეორე ვადით არჩეული პრეზიდენტი კოჩარიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ მოლაპარაკებებისას უფრო თამამ გადაწყვეტილებებს მიიღებს და გარკვეულ დათმობებზეც წავა. რამდენად რეალისტურია ამგვარი შეხედულება?**

- მე დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედულება მაქვს. კოჩარიანის ლეგიტიმურობა ძალზე საეჭვოა და იგი საგარეო ფაქტორებზე ძალიან არის დამოკიდებული. ასე რომ, გადაწყვეტილებების მიღებისას, კოჩარიანი ყველა მიმართულებით დაიწყებს ყურებას. საიდანაც ყველაზე დიდი ზეწოლა იქნება, ის სწორედ იმ მიმართულებით დაიწყებს დრეიფს.

**- შეიძლება ვთქვათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების არასათანადოდ ჩატარების გამო, სომხეთმა დასავლეთთან დაახლოების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან?**

- ერთმნიშვნელოვნად. სომხეთმა, ერთი მხრივ, იმგვარი არჩევნები ჩაატარა და იმგვარი შედეგი მიიღო, რომ დემოკრატიული ღირებულებების მქონე ევროპულ ოჯახში სომხეთის ინტეგრაცია ძალიან გართულდება. მეორე მხრივ, იმ ფაქტმა, რომ ამგვარი არჩევნები რუსეთმა უპრობლემოდ სცნო, დასავლეთის რეაქცია გაამძაფრა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სომხეთი რუსეთის ორბიტაზე კიდევ უფრო მჭიდროდ იქნება მიბმული და დასავლეთიდან მეტი იზოლირება მოხდება.

**- გადავიდეთ სომხეთის სტრატეგიულ პარტნიორ რუსეთზე. სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში მჭიდრო თანამშრომლობის გარდა, რუსეთი სომხეთის უმსხვილესი ეკონომიკური პარტნიორია. "ქონება ვალის სანაცვლოდ" პროგრამის ფარგლებში ერევანმა მოსკოვს, თითქმის, ყველა მნიშვნელოვანი საწარმო გადასცა. როგორ უყურებენ ამ პროცესს სომხურ საზოგადოებაში და გადაცემულ საწარმოებში რეალურად თუ შეიცვალა რაიმე უკეთესობისაკენ?**

- სომხური საზოგადოება ამ საკითხისადმი საკმაოდ აპათიურად არის განწყობილი. ერთი მხრივ, ძლიერი და "ბრძენი" რუსეთის მიმართ ნოსტალგია კვლავ იგრძნობა, რომელიც მოვა და ყველაფერს გამოასწორებს. მეორე მხრივ, რუსეთის უზარმაზარი ზეწოლის ქვეშ მოხვედრილი პარტიები გრძნობენ, რომ ქვეყნის "გინდა, ბითუმად და გინდა, ცალობით" გაყიდვა დამღუპველია. თუმცა, პოლიტიკური პარტიები ამ საკითხის მიმართ მკვეთრი პოზიციის გამოხატვას დღემდე ერიდებიან.

რაც შეეხება ამ საწარმოებში განხორციელებულ ცვლილებებს, არაფერი ხელშესახები არ მომხდარა. ამ საწარმოების მოდერნიზებისათვის საჭიროა ფულის ჩადება. რუსეთს კი ამის ფული არ აქვს. რომ ჰქონდეს, ჯერ საკუთარ საწარმოებში დააბანდებდა.

**- თუკი სომხეთ-რუსეთის თანამშრომლობას შევაჯამებთ, რეალურად, რა მოიგო და რა წააგო სომხეთმა?**

- რუსეთთან კავშირით სომხეთმა რუსეთის სამხედრო ბაზა და კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულება მოიგო. ამბობენ (თუმცა, დიდად არ მჯერა), რომ ეს ნატო-ს წევრი თურქეთისაგან თავდაცვის გარანტიაა. რაც შეეხება დანაკარგებს, სომხეთმა თავისი სუვერენიტეტის ნაწილი დაკარგა რუსეთისათვის გადაცემული საწარმოებისა და რუსეთისათვის მისაღები საეჭვო არჩევნების სახით, ასევე ცალმხრივი საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, რომელმაც სომხეთი დემოკრატიული სახელმწიფოების ოჯახიდან გარიყა.

**- ბევრისათვის მოულოდნელად, თურქეთის პრეზიდენტმა დასავლეთის მიერ დაგმობილ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ კოჩარიანს გაპრეზიდენტება მიულოცა. თქვენი აზრით, ყარაბაღის კონფლიქტის მოუგვარებლად, თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა შესაძლებელია თუ არა?**

- ის, რომ სომხეთსა და თურქეთს შორის მესამე ქვეყნის – აზერბაიჯანის გამო დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს, ნონსენსია. მე ვფიქრობ, რომ სომხეთისა და თურქეთის უფრო მოქნილი პოლიტიკისა და დასავლეთის მხრიდან ორივე ქვეყანაზე განხორციელებული უფრო დიდი ზეწოლის შემთხვევაში, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა შესაძლებელია. რაც შეეხება თურქეთის პრეზიდენტის მილოცვას, მას აწყობს, რომ სომხეთს სუსტი პრეზიდენტი ჰყავს.

**- სომხეთის პოლიტიკაში ძალიან დიდ როლს თამაშობს არმია, რომელსაც ბევრი ყველაზე ბრძოლისუნარიანად მიიჩნევს სამხრეთ კავკასიაში. თქვენ როგორ შეაფასებდით სომხეთის არმიის როლს საზოგადოებაში, ამ ინსტიტუტის დიდი გავლენა სომხეთში დემოკრატიის შეზღუდვას ხომ არ განაპირობებს?**

- შევეცდები, მოკლედ გიპასუხოთ. თავის დროზე არმია სომხეთის პოლიტიკის განსაზღვრისას გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ეს, პირველ ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის მოპოვება აზერბაიჯანთან დაპირისპირების პარალელურად მოხდა. ამან, რასაკვირველია, დემოკრატიულ პროცესზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. ახლა, არმიის როლი თანდათან მცირდება პოლიტიკაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით დემოკრატიული რეფორმების ტემპი არ მომატებულა.

**- სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობებში ჯავახეთი ცენტრალურ ადგილს იკავებს. საქართველოში ხშირად საუბრობენ ჯავახეთში არსებულ პოტენციურ საფრთხეზე. როგორ ჩანს ჯავახეთში მიმდინარე პროცესები ერევნიდან?**

- სომხეთში ჯავახეთის პრობლემის შესახებ საკმაოდ გაწონასწორებული შეხედულება აქვთ. ჩვენ გვესმის, რომ იქ საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ. როდესაც არსებობს ჰუმანიტარულ ან კულტურულ სფეროში მხარდაჭერის აუცილებლობა, სომხეთი ცდილობს ამის გაკეთებას. ჩემი აზრით, ჯავახეთში კონფლიქტის გაღვივებას იქ მცხოვრები სომხების და ბაზის მეშვეობით სწორედ რუსეთი ცდილობს.

**- სომხეთის ხელისუფლება საქართველოსთან ურთიერთობის დროს ყოველთვის აყენებს აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის აღდგენის საკითხს. საქართველოს ხელისუფლება კი მიიჩნევს, რომ ერევანს შეუძლია, თავის სტრატეგიულ მოკავშირე რუსეთზე და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სომხებზე გარკვეული გავლენა მოახდინოს, რათა სარკინიგზო მიმოსვლის სანაცვლოდ, ქართველი დევნილების დაბრუნების პროცესი დაიწყოს. თქვენი კომენტარი ამის თაობაზე.**

- აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო ხაზი სომხეთისათვის მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ერაყში ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთისათვის ეს რეგიონი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება. ეს სარკინიგზო ხაზი კი ძალზე მნიშვნელოვანი არტერიაა, რომელიც რუსეთსა და ევროპას ახლო აღმოსავლეთის რეგიონებთან დააკავშირებს. სომხეთისა და საქართველოსათვის ეს ძალზე პერსპექტიული შეიძლება აღმოჩნდეს. რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას, დღემდე მხოლოდ რუსეთი ახორციელებს ზეწოლას სომხეთზე. აფხაზეთში მცხოვრებ სომხებთან კავშირები კი ძალზე უმნიშვნელო და ჯერ ჩამოუყალიბებელია.

*ესაუბრა რევაზ ბახტაძე*

# პარიზი ვაშინგტონს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს



*საფრანგეთის ელჩი ამერიკაში ჟან-დავიდ ლევიტი.*

დეზინფორმაციის ბინძური კამპანია, რომელიც საფრანგეთისათვის სახელის გატეხვას ისახავს მიზნად, ბუშის ადმინისტრაციის გარკვეული წრეებიდან მოდის, – ნათქვამია ვაშინგტონში საფრანგეთის ელჩის, ჟან-დავიდ ლევიტის მიერ გავრცელებულ წერილში.

ელჩის თქმით, ბოლო ცხრა თვის განმავლობაში, გავლენიანი ამერიკული გაზეთები თეთრი სახლის ადმინისტრაციაში და სადაზვერვო სამსახურებში მომუშავე ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით, ხშირად ბეჭდავდნენ ინფორმაციას, რომელშიც საფრანგეთს ერაყთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდნენ.

ომის დროს, აშშ-ში ნამდვილი ანტიფრანგული ისტერია მიმდინარეობდა, რომელსაც ფრანგული ღვინოებისა და ყველის ბოიკოტი და ზოგიერთი ფრანგული ტერმინის ინგლისურენოვანი ექვივალენტით შეცვლა ახლდა თან. აშშ უკმაყოფილო იყო იმით, რომ პარიზი უშიშროების საბჭოს მიერ ერაყისათვის ომის გამოცხადებას ბლოკავდა და ასევე წინააღმდეგი იყო თურქეთში ნატო-ს დამატებითი სამხედრო აღჭურვილობის გადასროლისა.

ლევიტის თქმით, ამგვარი დაპირისპირების ფონზე, გარკვეული წრეები ბუშის ადმინისტრაციაში ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ და პრესაში "ორგანიზებულ დეზინფორმაციას ავრცელებდნენ".

ვაშინგტონის გაზეთები "ტაიმსი" და "პოსტი", ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით, ავრცელებდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ ერაყს სპეციალური ჩამრთველები მიჰყიდეს, რომლებიც ატომური ბომბისათვის გამოიყენება. გაზეთები, ასევე, საფრანგეთს ერაყისათვის თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების სათადარიგო ნაწილების მიყიდვაში სდებდნენ ბრალს.

ანტიფრანგული კამპანიის კულმინაცია იყო "ვაშინგტონ ტაიმსში" გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ საფრანგეთის საკონსულომ სირიაში ერაყიდან დევნილ სადამის გარემოცვას ფრანგული პასპორტები დაურიგა და გაქცევაში დაეხმარა. სტატიის კომენტირებისას, თავდაცვის მინისტრმა რამსფელდმა განაცხადა, რომ "ადმინისტრაცია ამ საკითხს შეისწავლიდა".

ლევიტი მოითხოვს, რომ ამ ბინძური კამპანიის შესაჩერებლად ადმინისტრაციამ რამე იღონოს.

თუმცა, ლევიტის ბრალდებებთან დაკავშირებით, "ვაშინგტონ პოსტთან" საუბარში აშშ ადმინისტრაციის ანონიმმა წარმომადგენელმა ელჩის განცხადებას "სრული სისულელე" უწოდა.

# ნესტორ კირხნერი - არგენტინის მოულოდნელი პრეზიდენტი

არგენტინის ყოფილმა პრეზიდენტმა კარლოს მენემმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ქვეყნის ხელმძღვანელის პოსტისათვის აღარ იბრძოლებს. ეს კი მის კონკურენტს და ერთ-ერთი პროვინციის გუბერნატორს ნესტორ კირხნერს საშუალებას აძლევს, გახდეს არგენტინის პრეზიდენტი, ისე რომ კვირას დანიშნულ მეორე ტურს აღარ დაელოდოს.

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ, არგენტინის საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ მენემი მეორე ტურში აღარ გავიდოდა. სამშაბათს მენემმა თავის ამომრჩევლებს იმ სასტუმროს აივნიდან მიმართა, სადაც მისი საარჩევნო შტაბი იყო განთავსებული. "მე არ მინდა თქვენი მოტყუება, დაელოდეთ სიახლეს," - განაცხადა მენემმა. მეორე დღეს, თავის მშობლიურ პროვინცია ლა რიოხაში მრავალათასიანი მომხრეების წინაშე გამოსვლისას, მენემმა ხაზგასმით აღნიშა, რომ საპრეზიდენტო მარათონის დასრულებისათვის სათანადო პირობები ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული. მან მოქმედ პრეზიდენტს ედუარდო დუალდეს ბრალი დასდო მისი მოწინააღმდეგის – კირხნერის აშკარა მხარდაჭერაში და მენემის წინააღმდეგ სიცრუის კამპანიის გაჩაღებაში.

აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, რომელიც ჯერ კიდევ აპრილის თვეში გაიმართა, 72 წლის კარლოს მენემმა ყველაზე მეტი ხმა დააგროვა. წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვები კი ამ დროს სრულიად საპირისპირო შედეგებს იძლეოდა. საზოგადოებრივი გამოკითხვების შედეგების თანახმად, კირხნერის უპირატესობა აშკარა იყო. სოციოლოგების დასკვნის მიხედვით, კირხნერს შეეძლო 60%-ის მიღება, ხოლო მენემი 30%-ზე მეტს ვერ მიიღებდა. თუმცა, სოციოლოგთა ვარაუდი არ გამართლდა. კარლოს მენემმა თავისი კონკურენტი აშკარად დაჯაბნა.

მიუხედავად ამისა, ყველას გასაოცრად, გამარჯვებულმა კანდიდატმა მეორე ტურში გასვლაზე უარი განაცხადა და თავისი კანდიდატურა მოხსნა.

ამჟამად არგენტინის პრეზიდენტად, რასაკვირველია, კირხნერი გამოცხადდება. საინფორმაციო საშუალებები ბუენოს-აირესიდან იტყობინებიან, რომ კირხნერს არჩევნებში გამარჯვების გარეშე პოსტის დაკავება აშკარად არ ესიამოვნა. რამდენიმე დღის წინ, როდესაც გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ მენემი ტოვებდა საარჩევნო მარათონს, კირხნერმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ გზით არგენტინის ექსპრეზიდენტი თავის ხალხს არჩევნის უფლებას ართმევს. როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, კირხნერისათვის ლეგიტიმაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ის მოსახლეობისათვის ძალზე მტკივნეული ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას აპირებს.

# ჯორჯ რობერტსონი: „კონფლიქტების დარეგულირების პასუხისმგებლობა, რეგიონის ქვეყნებმა უნდა იტვირთონ"

*სომხეთში ვიზიტს, ისევე, როგორც საქართველოში, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა საგაზეთო წერილი წარუმძღვარა. წერილში კავკასიით ნატო-ს განსაკუთრებულ დაინტერესებაზე და ამ რეგიონის საერთაშორისო მნიშვნელობაზე იყო საუბარი.*

*ერევანში, ჯორჯ რობერტსონი, ოთხშაბათ საღამოს ჩაფრინდა. ხუთშაბათს კი, სომხეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, ბრიფინგი გამართა, რომელზეც პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის" სომხეთის მნიშვნელოვან როლს გაუსვა ხაზი.*

თამარ ხორბალაძე

ჯორჯ რობერტსონმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე პრეზიდენტმა კოჩარიანმა (ისევე, როგორც ერთი დღის წინ საქართველოს პრეზიდენტმა) დაადასტურა, რომ სომხეთი პროგრამაში უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

ერევანში გამართული შეხვედრების მთავარი თემა სომხეთში "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ეგიდით სამხედრო სწავლებების ჩატარების ორგანიზების საკითხები გახლდათ. მსგავსი სწავლებები სომხეთში პირველად 16-26 ივნისს გაიმართება. რობერტსონის თქმით, **"ეს ძალიან სასარგებლო იქნება რეგიონისა და თავად სომხეთისათვის"**.

ნატო-ს გენერალური მდივნის აზრით, ამიერკავკასია ნატო-სათვის პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ **"აწუხებს ზოგიერთი პრობლემა, აქვს უზარმაზარი პოტენციალი"**.

რაც შეეხება ნატო-ს სამხერთ კავკასიამდე გაფართოების პერსპექტივას, რობერტსონმა ერევანშიც აღნიშნა, რომ არ შეუძლია იმის წინასწარმეტყველება, თუ რა მიმართულებით გაფართოვდება ნატო. მან მხოლოდ ხაზი გაუსვა, რომ: **"აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გამყოფი ხაზი აღარ არსებობს"**.

ერევანში, ცხადია, დაისვა შეკითხვა დსთ-ს ფარგლებში კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების შექმნასთან დაკავშირებით. ჯორჯ რობერტსონმა კითხვას დიპლომატიური პასუხი შეაგება: **"მივესალმებით ყველა ქვეყნის ძალისხმევას, მიმართულს უშიშროების უზრუნველყოფისაკენ, იქნება ეს ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ საფუძველზე. ამაში ნატო-ს მეტოქეობას ვერ ვხედავ, უფრო სწორად, ეს იქნება რეგიონის უშიშროების თვალსაზრისით გადადგმული დამატებითი ნაბიჯი"**, – აღნიშნა მან.

რობერტსონმა ერევანში საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ **"ნატო-ს კავკასიის კონფლიქტების დარეგულირებაში წამყვანი როლის შესრულების პრეტენზია არ აქვს. ეს პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, რეგიონის ქვეყნებმა უნდა იტვირთონ. თუმცა, ნატო მზადაა, დარეგულირების პროცესს ხელი შეუწყოს ..."**

გუშინ საღამოსვე ნატო-ს გენერალური მდივანი ბაქოში გაემგზავრა.

## ინფორმაცია

### გაიხსნა ექვთიმე თაყაიშვილის მემორიალური მუზეუმი

ვაშლოვანის ქუჩა № 6-ში გაიხსნა დიდი ქართველი მოღვაწის, ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის მემორიალური მუზეუმი. მუზეუმის გახსნის ინიციატორია გურამ შარაძე, დამფინანსებლები - ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი, ბიზნესმენი ბადრი კაკაბაძე და პარლამენტარი ზაზა სიორიძე. ამ სახლში ექვთიმე თაყაიშვილი ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ, 1945-1953 წლებში ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა. ბინის მესაკუთრემ, ბიზნესმენმა ბადრი კაკაბაძემ უსასყიდლოდ დათმო ეს ოთახი ექვთიმეს მემორიალური მუზეუმ - სამლოცველოსთვის. მემორიალური მუზეუმის გამდიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვით ექვთიმე თაყაიშვილის შთამომავლებს. მათ უსასყიდლოდ გადასცეს მუზეუმს ძალიან ძვირფასი მემორიალური ნივთები: თაყაიშვილის მეუღლის ნინო პოლტარაცკაიას სურათი, რომელიც ექვთიმეს სასთუმალთან ეკიდა. ქალბატონმა გრეტა ნიჟარაძემ (ექვთიმე თაყაიშვილის ნათესავი) მუზეუმს გადასცა ექვთიმეს ცოლის ფრანგული პასპორტი და ყოველდღიური ჩანაწერების დღიური. მუზეუმში დაცული იქნება ექვთიმე თაყაიშვილის საწერი მაგიდა, რომელიც ხელოვნების მუზეუმმა დაუბრუნა საჩუქრად, აგრეთვე, ექვთიმეს ძმების - ვარლამის და ნიკოს ფერწერული ტილოები და არაბი ქალის ქანდაკება, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ცოლის ოჯახისთვის ილია ჭავჭავაძეს უჩუქებია. გურამ შარაძის შეკვეთით, მხატვარმა დავით ხიდაშელმა შექმნა ექვთიმე თაყაიშვილის ხატი, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა. მუზეუმის გახსნის შემდეგ, სტუმრები მთაწმინდის პანთეონში გაემართნენ, ყვავილებით შეამკეს ექვთიმე თაყაიშვილის საფლავი, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ პარაკლისი გადაიხადა. სახლ-მუზეუმის გახსნის ცერემონიალს ესწრებოდა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ***მედია-ნიუსი***

### ჩინეთი ზომებს ამკაცრებს

ჩინეთის ხელისუფლებამ ახალი, უმკაცრესი ზომები მიიღო ატიპური პნევმონიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩინეთის უმაღლესი სასამართლოსა და გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, ატიპური პნევმონიის განზრახ გავრცელებისთვის, კერძოდ, კარანტინის დარღვევისთვის, ჩინეთის მოქალაქეებს სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯაცაა გათვალისწინებული. ჩინეთში ატიპური პნევმონიით უკვე 267 ადამიანი გარდაიცვალა. ამ დაავადების მსხვერპლთა საერთო რიცხვი კი მსოფლიოში 600-ს აღემატება. უკეთესი ამბებია კანადიდან. კანადის ხელისუფლებამ ატიპური პნევმონიის ეპიდემიის შეჩერება მოახერხა. დღეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კანადა იმ ქვეყნების სიიდან ამიღო, სადაც ატიპიური პნევმონიის გავრცელების საფრთხე არსებობს. ბოლო ოცი დღის განმავლობაში იქ დაავადების არც ერთი ახალი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ეს ვადა ორჯერ აღემატება ვირუსის საინკუბაციო პერიოდს. **ინტერ-პრესი**

### ინციდენტი მერიაში

თბილისის მერის კაბინეტში შეღწევას გუშინ მოქალაქე ეთერ გელაშვილი ცდილობდა, რომელიც ზოდელავამ, მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, არ მიიღო. 1999 წელს ქალიშვილისთვის ოპერაციის გასაკეთებლად მან დედაქალაქის მერს, ვანო ზოდელავას 2000 დოლარის ექვივალენტური თანხა სთხოვა. მერიამ თხოვნა არ დააკმაყოფილა, მისი ქალიშვილი კი დაიღუპა. ორი შვილის დედა ეთერ გელაშვილი ამჯერად ფინანსურ დახმარებას ობოლი შვილიშვილისთვის ითხოვს. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, იოსებ შატბერაშვილი ეთერ გელაშვილს საქმის არსში გარკვევასა და დახმარებას დაჰპირდა. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ჯულული ახვლედიანი საგზაო პოლიციას დიდუბე-ჩუღურეთში მანქანებიდან უკანონო ვაჭრობის არსებობაში ადანაშაულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლში რეგიონის არაქართული მოსახლეობის მიერ, საქართველოს სახელმწიფო ენის შესწავლის მიზნით, 88 საგანმანათლებლო ცენტრი დაფუძნდება. პროექტი ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მე-9 საავადმყოფოს მედპერსონალის საჩივრების საფუძველზე, გენერალურმა პროკურატურამ გუშინ საავადმყოფოს ტერიტორიაზე მიმდინარე უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კავკასიის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჯგუფის ინიციატივით, ამოქმედდა ცხელი ხაზი, ფალსიფიკაციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე კონსულტაციისთვის. ხაზის ტელეფონის ნომერია 95-81-10. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ქართუ ჯგუფის" დაფინანსებით, განხორციელდება ქარელის ხრცისის ნათლისმცემლის ეკლესიისა და საჩხერის რაიონის სოფელ ეხვევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები. **ინტერ-პრესი**

საქართველოს
სანაპირო ინტეგრირებული მართვის პროექტი

სამუშაოები: [illegible]
[illegible] 3156-GE (GEF-ის გრანტი TF-021598)
[illegible]: GICMP-NCB-01

[illegible]

A. [illegible]
B. [illegible]
C. [illegible]
D. [illegible]
E. [illegible]
F. [illegible] 1:5,000 [illegible]
G. [illegible]

[illegible] (220 [illegible]) [illegible] (5 [illegible]). [illegible] 2003 [illegible]

[illegible] IBRD-ის [illegible] IDA-ს [illegible] 1995 [illegible] 1996 [illegible] 1997 [illegible] 1999 [illegible]

[illegible] 09:00 [illegible] 12:00 [illegible] 15 [illegible] 50 [illegible]

[illegible]

[illegible]: [illegible]
[illegible]: 2700854 [illegible]
[illegible]: 220101830
[illegible]: [illegible] 11,380079 [illegible]

[illegible]

INTERMEDIARY: DEUTSCHE BANK AG
D-6236, Frankfurt/Eschborn
SWIFT: DEUT DEFF
BLZ 50070010
Correspondent Account N #949096 (USD, EUR)

BENEFICIARY'S BANK: TBC-BANK 11 Chavchavadze Ave., 380079
Tbilisi, Georgia

BEN'S ACCOUNT: SWIFT: TBCB GE22
BENEFICIARY: 39070971 (USD)
ICZM Centre

[illegible] 5,000 [illegible] 2003 [illegible] 18 [illegible] 18 [illegible]

[illegible] 87 [illegible]

[illegible]: +995 (32) 25-20-50
[illegible]: +995 (99) 54-66-16
[illegible]: +1 (419) 791-6651
[illegible]: PHASIS@ICZM.org.ge
[illegible]: www.ICZM.org.ge

# ხმაურიანი ნგრევა

ნანა ქადაგიშვილი

*ქალაქის ახალ მთავარ არქიტექტორს მოსახლეობამ უკანონოდ მშენებარე ბენზინგასამართი სადგურისა და ავტომანქანების სამრეცხაოს დანგრევა არ დაუფასა - თუ ვაჟკაცია, მსხვილი მშენებლობები დაანგრიოსო. როსტომაშვილმა ეს გაითვალისწინა და ადმინისტრაციულ ინსპექციასთან ერთად მარჯანიშვილის ქუჩაზე მიწისქვეშა გვირაბის თავზე მშენებარე სავაჭრო პავილიონს შეუტია. "მსხვილი მშენებლობის" ნგრევა არც ისე იოლი აღმოჩნდა; ადმინისტრაციული ინსპექციის თანამშრომლებს ცხვირწინ სულ მუშტები უტრიალეს.*



გუშინ შუადღისას მარჯანიშვილის ქუჩაზე მცხოვრებლები და გამვლელები რამდენიმესაათიანი გაწევ-გამოწევისა და ლანძღვა-გინების მოწმენი გახდნენ. 14 საათისათვის გვირაბის თავზე გადაჭიმულ რკინის რკალებს ადმინისტრაციული ინსპექციის თანამშრომლები მიადგნენ და მათი გადაჭრა დაიწყეს. ინსპექციას ზურგს უმაგრებდნენ ქალაქის მთავარი არქიტექტორი და "ნაციონალური მოძრაობის" რამდენიმე წარმომადგენელი. პავილიონის მფლობელმა "ინდმეწარმე ნიკოლოზ ბაჩილავამ" დაცვის ისეთი ჯანიანი ბიჭები გამოიძახა, რკინის რკალების გადამჭრელი ორი მუშა ლამის ხარაჩოებიანად ჩამოიღეს. ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელის დავით მუმლაძის მობილურ ტელეფონზე გამაფრთხილებელი ზარებიც გაისმა, მაგრამ მუმლაძე ამას არ შეუშინებია და თანამშრომლებს ნგრევის გაგრძელება კატეგორიულად მოსთხოვა. უკან არც დაცვის ბიჭებს დაუხევიათ და შეხლა-შემოხლის სერია გაგრძელდა. სეირის მაყურებელი მოსახლეობა ადმინისტრაციულ ინსპექციას შეძახილებით ამხნევებდა. **"ეგრე უნდათ მაგათ, გაგვიბანძეს უბანი, ვისაც ფული აქვს, ჰგონია, რომ ყველაფრის გაკეთება შეუძლია",** - გაჰკიოდნენ მოქალაქეები. ინსპექციის მოწინააღმდეგეთაგან, დაცვის ბიჭების შემდეგ, ყველაზე მეტად პავილიონის მფლობელის ადვოკატი, ხათუნა გრიგალაშვილი აქტიურობდა.

**"ნიკოლოზ ბაჩილავა ერთი ეკლესიური ბიჭია - სამი შვილის მამა. ბევრი ფული რომ ჰქონდეს, ამ შენობას აქამდე ცხრაჯერ ააშენებდა. მამუკა ხაზარაძემ აჯობა და ადმინისტრაციული ინსპექცია მოისყიდა. ამიტომაც არის მუმლაძე დიდ გულზე, თორემ სასამართლოს გადაწყვეტილება არ აქვს და მშენებლობას უკანონოდ ანგრევს. ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავთ",** - იმუქრებოდა ადვოკატი.

აღნიშნული სავაჭრო პავილიონის მშენებლობის ნებართვა არქიტექტურის დეპარტამენტს 2001 წელს გაუცია. "თი-ბი-სი ბანკი" რომ არა, მალე



ვახო ხაინდრავას ფოტოები

*ასე დაიწყო ნგრევა.*

გვირაბის თავზე მინის არცთუ დაბალი პავილიონი წამოიმართებოდა. როგორც ცნობილია, "თი-ბი-სი"-მ მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ყოფილი უნივერმაღი იყიდა და შენობის ფორმის შეუცვლელად მისი რეკონსტრუქციაც ითავა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში პავილიონის მფლობელს სწორედ "თი-ბი-სი ჯგუფის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მამუკა ხაზარაძემ უჩივლა, - პავილიონი ქუჩის ისტორიულ იერსახეს დაამახინჯებსო.

როგორც გაირკვა, "ინდ. მეწარმე ნიკოლოზ ბაჩილავას" მშენებლობის პროექტი ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან არ შეუთანხმებია. მისი ადვოკატი ამ ფაქტს იმით ამართლებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში, რომელიც ისტორიულ უბნებში მშენებლობის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებას მოითხოვდა, 2002 წელს შევიდა ცვლილება. პავილიონის მშენებლობის ნებართვა კი, როგორც აღვნიშნეთ, ერთი წლის წინათ გაიცა. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი კი განმარტავს, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანამდეც იგულისხმებოდა, რომ თბილისის მკაცრი დაცვისა და რეგულირების ზონაში მშენებლობა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან უნდა შეთანხმებულიყო. უბრალოდ, მაშინ ეს კანონში პირდაპირ არ იყო მითითებული და ვისაც როგორ უნდოდა, ისე იგებდა. აქედან გამომდინარე, მშენებლობა უკანონოა. ადმინისტრაციულ ინსპექციას კი მისი დანგრევის უფლება მაინც არ ჰქონდა, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია.

**"სარჩელის შეტანის შემდეგ, ამა წლის თებერვალში სასამართლომ მშენებლობა შეაჩერა, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ პავილიონის მეპატრონემ შენება განაგრძო. მშენებარე პავილიონის დანგრევა ამიტომაც გადავწყვიტეთ. ჯერჯერობით იმ ნაწილს დავანგრევთ, რაც მშენებლობის შეჩერების შემდეგ უკანონოდ მიამატეს.**

**სანამ სასამართლო მისი დანგრევის შესახებ გადაწყვეტილებას გამოიტანდა, პავილიონი აშენდებოდა და მერე უფრო ველარ დავანგრევდით. ამ ადგილას ასეთი მშენებლობა, რამდენიმე ნებართვაც რომ ჰქონდეს, მაინც უკანონოა და აქაურობას საშინლად ამახინჯებს. ამიტომაც ვანგრევთ და ვისაც უნდა, გვიჩივლოს",** - განაცხადა როსტომაშვილმა.

მთავარ არქიტექტორსა და ადმინისტრაციულ ინსპექციას საკრებულოს თავმჯდომარეც გვერდში ამოუდგა და ფულიანი მშენებლები გააფრთხილა, - ამიერიდან ფული ველარ გიშველით, უკანონოდ აღარაფერს აგაშენებინებთ, ხოლო მშენებარეს დაგინგრევთო. სააკაშვილმა წინადადებაც წამოაყენა, - ქალაქის ყველა რაიონში კომიტეტები შევქმნათ, რომ თბილისში უკანონოდ ერთი ხეც აღარ მოიჭრას და ერთი შენობაც აღარ აშენდესო.

# გეოლოგიის დეპარტამენტის შენობა ისევ დევნილებმა დაიკავეს

თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე მდებარე გეოლოგიის დეპარტამენტის შენობაში, დღეს, გუშინ გამოსახლებული დევნილები, კვლავ შეასახლეს.

იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა გუშინ დილით სასამართლოს გადაწყვეტილება აღასრულა და შენობიდან გამოასახლა აფხაზეთიდან დევნილი 300-მდე პირი, რომლებიც იქ შარშან, 17 მაისს შეიჭრნენ.

თბილისის საოლქო სასამართლომ დევნილების გამოსახლების გადაწყვეტილება 2002 წლის 7ოქტომბერს მიიღო. სასამართლომ ამით დააკმაყოფილა მოსარჩელეების - სს „გეოლოგის", შპს „ინჟგეოსერვისის", შპს „ჰიდროსაინჟგეოსა" და შპს „სტიქიას" მოთხოვნა.

დევნილების გამოსახლებასთან დაკავშირებით გუშინ პროტესტი გამოთქვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა, რომელიც ამ საკითხზე საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა. გადაწყდა, რომ დევნილები მათთვის ახალი საცხოვრებლის გამოძებნამდე, გეოლოგიის დეპარტამენტის შენობაში იცხოვრებენ. დევნილები შენობაში დილის 4 საათზე დაბრუნდნენ.

*მედია-ნიუსი*

# აბსანძის პარტია დევნილების გამოსახლების წინააღმდეგია

ლენა მიქაძე

14 მაისს გეოლოგიის ინსტიტუტიდან დევნილთა გამოსახლების ფაქტი "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის კავშირმა" ხელისუფლების მხრიდან "დემოკრატიის დაცინვად" და "ფაშისტურ სისასტიკედ" შეაფასა. გურამ აბსანძის პარტიის წევრების - მურმან ზაქარაიასა და მაგული ხუბუას განცხადებით, **"აღმასრულებელი პოლიციიდან გაგზავნილმა გაბოროტებულმა მხეცებმა ორი უმწეო გოგონა შენობის მეორე სართულიდან გადმოყარეს. ორივე საავადმყოფოშია მოთავსებული ხერხემლის მძიმე ტრავმითა და ტვინის შერყევის დიაგნოზით".** "თანხმობის კავშირი" ამ კონკრეტული ფაქტის გამო მოითხოვს კანონის სრული სიმკაცრით დამნაშავეების დასჯას, დაზარალებულების უფასო სამედიცინო მომსახურებას და მათ დაბრუნებას ბინებში. გარდა ამისა, აბსანძის თანაპარტიელები დევნილთა დასაცავად ხმის ამოღებას სთხოვენ ყველა პოლიტიკურ პარტიას, ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს. პარტიის წარმომადგენელთა შეფასებით, ეს საჭიროა "ამგვარი ვანდალური აქტის" მომავალში თავიდან ასაცილებლად. **"ძალისმიერი მეთოდებით დევნილების გამოსახლება და ქუჩაში გაყრა მასობრივ ხასიათს მიიღებს, ვინაიდან ყველა ის შენობა, სადაც ისინი არიან განთავსებულნი, ფარულად პრივატიზირებულია. ეს მაშინ, როდესაც არსებობს პრეზიდენტის განკარგულება, ყველა დაცარიელებულ შენობაში დევნილთა ჩასახლების შესახებ",** - აცხადებენ ზაქარაია და ხუბუა. ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციებისა და სტრუქტურების გარდა, ისინი ცენტრალურ და აფხაზეთის ხელისუფლებასაც მიმართავენ და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში არსებული დაუმთავრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების დევნილებისათვის გადაცემას მოითხოვენ.

# ვირთხები კარგი მეგობრებივით იყურებიან

*მესამე წელია, გურამიშვილის 70 ნომერში, ე.წ. საუწყებო სახლში მცხოვრებნი აქტიურად "მეგობრობენ" მღრღნელებთან. ეს ნაძალადევი ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მათ გვერდით, ორ ბენზინგასამართ სადგურს შორის კიდევ ერთი ასეთი სადგურის მშენებლობა წამოიწყეს. ხალხის პროტესტის გამო, მშენებლობა ველარ გაგრძელდა, თუმცა, დარჩა საძირკვლისთვის გათხრილი უზარმაზარი ორმო, რომელიც ნაგავსაყრელად იქცა. ამ მიზეზით მომრავლებული ვირთხები ისე შეეჩვივნენ უბნის მოსახლეობას, რომ თვალებში უკვე კარგი მეგობრებივით უყურებენ.*

მაკა ჭაიანი

გარდა იმისა, რომ ვირთხისთვის თვალებში ჩახედვა დიდი ვერაფერი სიამოვნებაა, ასეთი თანაცხოვრება საშიშიც გახლავთ. იმ მარტივი და ყველასთვის, წესით, გასაგები მიზეზით, რომ, მართალია, ვირთხა სულიერია, თანაც - საკმაოდ ჭკვიანი, მაგრამ მაინც მღრღნელია და უამრავ დაავადებას ავრცელებს. ნობელიანტი ეგზისტენციალისტის ცნობილი ნაწარმოების გარდა, ამას ეპიდემიოლოგიის ისტორიაც ადასტურებს, მაგრამ ვირთხები მაინც თავისუფლად ცხოვრობენ ჩვენს დედაქალაქში, მრავლდებიან და თეთრი დროშების "გამოფენას", როგორც ჩანს, არც აპირებენ.

გურამიშვილის 70-ში მცხოვრებთა მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ გამზირზე მდებარე ათ მრავალსართულიან კორპუსს ორი ბუნკერი ემსახურება. ამ ბუნკერებს რომ ბოლომდე ცლიდნენ, კიდევ არაფერი გვიჭირს - მოვლენ, ნახევრამდე ამოასუფთავებენ და ისე ტოვებენ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მდგომარეობა უნდა იყოსო, - წუხს მოსახლეობა. გლდანი-ნაძალადევის რაიონის კომუნალური სამსახურის უფროსის მხრიდან ამას ოფიციალური პასუხი ხვდება. **"ორი ბუნკერი - ათ კორპუსს? გამორიცხულია. დაცლა კი დღეში ორჯერ, დილა-საღამოს ხდება",** - ირწმუნება მურმან კაპანაძე.

არადა, ამ მისამართზე მართლაც ორი ბუნკერი დგას, მათი მიმდებარე, ნაგვით გამოვსებული პარკებით "განოყიერებული" ნიადაგი კი სულაც არ ტოვებს დღეში ორჯერ დასუფთავებულის შთაბეჭდილებას. ვისაც ამაში დარწმუნების სურვილი გაუჩნდება, უმჯობესი იქნება, თუ დაკვირვებისთვის დღის შედარებით გრილ საათებს შეარჩევს. ხელოვნურ ნაგავსაყრელად ქცეულ ამ ადგილს ქვეწარმავლებიც შეეჩვივნენ. მიტოვებული მშენებლობისგან დარჩენილ გახურებულ რკინებზე ნებივრობენ; იქვე კი, ეზოებში, ბავშვები მონდომებით ცდილობენ, შეირგონ ბავშვობა.

მათი დედებისა და მამების ინფორმაციით, ბენზინგასამართ სადგურს "კანარგო სტანდარტ ოილი" აშენებდა. კომპანიაში ამას დღეს უარყოფენ. შესაბამისად, არც ორმოს დახურვაზე აპირებენ ზრუნვას. ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ჯულული ახვლედიანი ვითარებაში გარკვევას რამდენიმე დღეში გვპირდება. სპეციალურ სიაში ეს ობიექტი სამსახურმა უკვე შეიტანა. იმედია, ამას იქამდე მოუვლიან, ვიდრე "ახალი ეგზისტენციალისტები," თბილისის მაგალითზე, ახალ "შავ ჭირს" დაწერდნენ.

# ჩეჩენთა პატიმრობის ვადა იწურება

## ექსტრადირების საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია

ხათუნა ჯანგირაშვილი

ორთაჭალის მეხუთე საპყრობილეში მყოფ სამ ჩეჩენს – გელოგაევს, ალხანოვსა და ელიხაჯიევს, რომელთა რუსეთში ექსტრადირების საკითხი თვეების განმავლობაში განიხილებოდა ქართული მართლმსაჯულების თითქმის ყველა ინსტანციაში, პატიმრობის ვადა სამ დღეში ეწურებათ.

მათი ექსტრადირების კანონიერება-არაკანონიერებაზე საბოლოო გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოს გუშინ უნდა მიეღო, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, საბოლოო ვერდიქტი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ გუშინაც ვერ გამოიტანა. ამის მიზეზი კვლავ სახელმწიფო ბრალმდებლებსა და ადვოკატებს შორის გამართული დაუსრულებელი საქმის გარჩევა და კამათი გახდა. როგორც წინა პროცესებზე, ორივე მხარე მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციების ჭეშმარიტებას ირწმუნება და ოპონენტის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს ყალბსა და შეთითხნილს უწოდებს.

გუშინდელ პროცესზე კვლავ ელიხაჯიევად ცნობილი პატიმრის ვინაობის დადგენას ცდილობდნენ. ადვოკატები აცხადებენ, რომ იგი მულკოევია და არა ელიხაჯიევი. პროკურორები კი ადვოკატების მიერ სასამართლო პროცესზე წარმოდგენილ პასპორტს, რომლის მიხედვითაც, ელიხაჯიევის ნამდვილი გვარი მულკოევია, ყალბს უწოდებენ.

ჩეჩენთა დამცველები ეჭვით უყურებენ გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის პაატა მსხილაძის მიერ წინა პროცესზე წარმოდგენილ, რუსეთიდან მიღებულ დოკუმენტაციას, საიდანაც ირკვევა, რომ ადვოკატების მიერ წარმოდგენილი რუსტამ ელიხაჯიევის ახალი პასპორტი ყალბია და ამ დოკუმენტში დაფიქსირებულ მელიხან სეიდი მულკოევის გვარზე ჩეჩნეთის რესპუბლიკაში პასპორტი საერთოდ არ გაცემულა. ადვოკატებს აინტერესებთ ამ დოკუმენტაციის მიღების პროცედურის დეტალები.



მოსამართლეები ბჭობენ.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, გუშინდელ პროცესს არ ესწრებოდნენ ჩეჩენი პატიმრები, რაც ადვოკატთა კიდევ ერთი, ახალი მოთხოვნის მიზეზი გახდა. მათ მოითხოვეს ექსტრადიციის მომლოდინე ჩეჩნების პროცესზე დასწრება.

ადვოკატთა თქმით, მათი დაცვის ქვეშ მყოფი რუსტამ ელიხაჯიევი, რომელიც რეალურად მულკოევია, აუცილებლად უნდა დაესწროს პროცესს, რათა მან თავისი ნამდვილი ვინაობის დამტკიცება შეძლოს. **"მან უშუალოდ უნდა მისცეს სასამართლოს განმარტებები და პროკურორებს დაუმტკიცოს, რომ ის არა ელიხაჯიევი, რომელსაც მძიმე დანაშაულებისთვის უყენებენ ბრალს, არამედ მულკოევი, რომელსაც არანაირი ბრალი არავის მიმართ არ მიუძღვის",** - არწმუნებდა სასამართლო კოლეგიას ადვოკატი ლია მუხაშავრია. ადვოკატთა ეს მოთხოვნა სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა. დღევანდელ პროცესზე, რომელზეც საბოლოოდ ბევრი რამ უნდა გადაწყდეს, მეხუთე საპყრობილიდან სამ ჩეჩენ პატიმარს მოიყვანენ.

გუშინ სასამართლო კოლეგიამ გამოაქვეყნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის სახელზე დაწერილი განცხადება-მოთხოვნა. **"არ გაართულოთ კავკასიელ ხალხთა მეგობრობა და ურთიერთობა, არ გაამგზავროთ ჩეჩენი პატიმრები რუსეთში, სადაც მათ სასტიკად გაუსწორდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ პროტესტის სხვადასხვა ფორმას, მოვაწყობთ აქციებს",** – ასეთია სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ერთობლივი საპროტესტო განცხადებები. ისინი, ჩეჩნების რუსეთში ეტაპირების შემთხვევაში, მასობრივი გამოსვლებით იმუქრებიან. გუშინვე გამოქვეყნდა "კავკასიური სახლის" ხელმძღვანელობის ასეთივე შინაარსის წერილიც. "კავკასიური სახლის" ხელმძღვანელობა უზენაეს სასამართლოს კანონის დაცვასა და ჩეჩენ პატიმართა საქართველოში დატოვებას სთხოვს.

ერთი სიტყვით, საზღვრის დამრღვევი ჩეჩნების ბედი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ საბოლოოდ დღეს უნდა გადაწყვიტოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩეჩენი პატიმრები სამ დღეში გათავისუფლდებიან და მათი ექსტრადირების საკითხიც მოიხსნება, რადგანაც, როგორც უკვე გითხარით, მათი პატიმრობის ვადა სამ დღეში იწურება.

# გუდაურში მომხდარი გახმაურებული მკვლელობის საქმე წინასწარ გამოძიებას უბრუნდება

თეა ხოფერია

*1999 წლის 13 მარტს გუდაურში მომხდარი გახმაურებული მკვლელობის საქმე უზენაესმა სასამართლომ წინასწარ გამოძიებაში დააბრუნა და ამით ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოკლული გიორგი შავგულიძის დედის მარინა შაქარაშვილის შუამდგომლობა. დაზარალებულის ძირითადი მოთხოვნა გახლავთ, რომ მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი გუდაძისა და ხულიგნობაში ბრალდებულ დავით კიკნაძის საქმეებს ასევე ხულიგნობაში ბრალდებული რამდენიმე ახალგაზრდის საქმე გაუერთიანდეს.*

გიორგი შავგულიძე 1999 წლის 13 მარტს, გუდაურში, სასტუმრო "შინო-4"-ში მოკლეს. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს კოლეგიის განჩინების თანახმად, სასტუმროს ბარში, დაახლოებით ღამის 23.00 საათზე, გიორგი კიკნაძესა და გიორგი შავგულიძეს შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა, რაც შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა.

**"ჩხუბში გიორგი კიკნაძის ძმა - დავით კიკნაძე, გიორგი გუდაძე, მოლაშხია, ორახელაშვილი, თაყაიშვილი და სხვები ჩაებნენ. შავგულიძის მიმართ მათ ჯგუფურად მიმართეს ძალადობას... ჩხუბის დროს, მოძალადეების წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, შავგულიძემ გაზის პისტოლეტი ამოიღო, რომელსაც იგი კანონიერად ატარებდა და თავდამსხმელთა მოგერიებას შეეცადა... მან თავი დააღწია თაყაიშვილის წინააღმდეგობას და გაისროლა. ამ დროს გუდაძემ და ორახელაშვილმა მათ ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღებით - "მაკაროვისა" და "პსმ-ის" სისტემის 5,45 მმ ყალიბის პისტოლეტებით - შავგულიძის მოკვლის განზრახვით, პირდაპირი დამიზნებით აწარმოეს თითო-თითო მიზანმიმართული გასროლა. გუდაძის მიერ წარმოებული სროლის შედეგად შავგულიძემ გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში მსუბუქი ხარისხის ცეცხლნასროლი ჭრილობა მიიღო, ხოლო ორახელაშვილის მიერ გასროლის შედეგად - გულ-მკერდის მარჯვენა ნახევარში სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება... მიღებული დაზიანებების შედეგად შავგულიძეს მწვავე სისხლნაკლებობა განუვითარდა და სამედიცინო პუნქტში მიყვანამდე გარდაიცვალა,"**-ნათქვამია განჩინებაში.

მოკლულის დედის მარინა შაქარაშვილის მტკიცებით, მან შუამდგომლობა სამი გარემოების გამო დააყენა: საქმეები არასწორად არის ერთმანეთისგან გამოყოფილი, რამაც საქმის გარემოებათა არასრული გამოძიება განაპირობა. ამან კი ბრალდებულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია გამოიწვია. ასევე, მარინა შაქარაშვილის თქმით, არსებობს საფუძველი განსასჯელთათვის უფრო მძიმე ბრალდების წაყენებისა; კერძოდ, განსასჯელი გუდაძე იმხილება კონსტანტინე ოთხმეზურის განზრახ მკვლელობაში, ხოლო დავით კიკნაძე - პატიმრობიდან გაქცევაში. გამოძიების მიერ არ არის გარკვეული სხვა გარემოებებიც, რომელთა გარკვევას მნიშვნელობა აქვს ფაქტების სრულად დადგენის თვალსაზრისით.

სასამართლო კოლეგიამ დაზარალებულის ძირითადი მოთხოვნები დასაბუთებულად მიიჩნია გარდა იმ მოტივისა, რომ განსასჯელ დავით კიკნაძეს დამატებით უნდა წარედგინოს პატიმრობიდან გაქცევის ბრალდება. კოლეგიის დასკვნით, საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნებამ გამოძიებას სამართლებრივად დასრულებული სახე უნდა მისცეს.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განჩინებას ნაწილობრივ ეთანხმება ერთ-ერთი განსასჯელის - გიორგი გუდაძის ადვოკატი ზურაბ ტაბიძე.

**"ნაწილობრივ ვეთანხმები და მოსამართლის განჩინება რეალურად მიმაჩნია. ასე ხელაღებით გიორგი გუდაძისათვის უმძიმესი მუხლის - განზრახ მკვლელობის წარდგენა უსამართლობად მიმაჩნია,"**- განაცხადა ზურაბ ტაბიძემ.

თავის მხრივ, ბრალდებულთა მხარესაც აქვს პრეტენზიები სამართალდამცველებისა და მართლმსაჯულების მიმართ. ისინი მოკლულის ახლობლების მხრიდან გამოძიებაზე ზეწოლაზე საუბრობენ.

უზენასი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება გასაჩივრებას 14 დღის მანძილზე ექვემდებარება. თუკი ეს მოხდა, საქმე განსახილველად უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას დაუბრუნდება.

# „კანონიერ ქურდებზე" და პატიმრებზე დარდმა მოქალაქეობის გამოცვლა გადააწყვეტინა

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის" ხელმძღვანელი ლალი აფციაური პრეზიდენტის სახელზე მიმართვას ამზადებს. მიმართვა, რომელიც რამდენიმე დღეში გადაეცემა ქვეყნის პირველ პირს, საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას ეხება. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს გადაწყვეტილი აქვს, რუსეთის ფედერაციის საკონსულოს რუსეთის მოქალაქეობის მიღების მოთხოვნით მიმართოს. "ამის მიზეზი ქვეყანაში გამეფებული უკანონობაა. საქმის კეთების საშუალება არ გვეძლევა", - ამბობს ლალი აფციაური და მისი ორგანიზაციის ორ დღეში მოსალოდნელი თვითლიკვიდაციის შესახებ განცხადებას აკეთებს.

აფციაური უკმაყოფილოა სასამართლო რეფორმითაც და მას „დეფორმას" უწოდებს. მან მექრთამეობაში დაადანაშაულა იმერეთის ოლქის პროკურორი თამაზ ჭუმბურიძე. მოშიმშილე პატიმრების მოთხოვნის შესაბამისად, გენერალურ პროკურატურაში შექმნილ კომისიას, რომელმაც მსჯავრდებულთა საქმეები უნდა შეისწავლოს,

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის" ხელმძღვანელი უნდობლობას უცხადებს. მისი თქმით, გენერალურ პროკურატურაში შექმნილი კომისიის მიერ პატიმართა საქმეების შესწავლა მათ თავზე ლაფის დასხმა და დაცინვაა. "პატიმრების საქმის გადასინჯვა იმავე ორგანოს მიერ, რომელთანაც მსჯავრდებულებს პრეტენზიები გააჩნიათ, უშედეგო იქნება", - აცხადებს აფციაური და ე.წ. "კანონიერი ქურდების დაკავების საკითხსაც ეხება. მისი მტკიცებით, „კანონიერ ქურდებს" ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ მათი სტატუსის გამო აპატიმრებენ".

# საგანგებო ლეგიონი შპს "გულისტანის" წინააღმდეგ

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ოზურგეთში, რამდენიმე წელია, წარმატებით ფუნქციონირებს თურქულ-ქართული ერთობლივი საწარმო "გულისტანი", რომელიც ჩვეულებრივ წისქვილკომბინატს წარმოადგენს.

"გულისტანის" პროდუქცია - ფქვილი და ქატო - ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი გამოდგა. ქარხნის მცირე ხნით შეჩერებაც კი (რაც აქამდე, უმეტესწილად ელექტროენერგიის წყვეტით იყო გამოწვეული), მომხმარებლების უკმაყოფილებას იწვევს, რადგან პროდუქცია ხარისხიანიცაა და იმპორტირებულზე იაფიც. ამასთან, "გულისტანის" სახით ადგილობრივ ბიუჯეტს, ფაქტობრივად, ერთადერთი მსხვილი გადამხდელი შეემატა.

ამ დღეებში კი მყიდველი "გულისტანის" პროდუქციას ბაზარზე ამაოდ დაეძებდა - ქარხანა გაჩერდა, რასაც ფქვილსა და ქატოზე ფასების მეყსეულად, 3-4 ლარით აწევა მოჰყვა.

ქარხნის გაჩერება იმან გამოიწვია, რომ მის ხელმძღვანელობას დავა აქვს საგანგებო ლეგიონის მე-4 სამმართველოს მე-3 განყოფილების ხელმძღვანელობასთან, რომელმაც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ქარხნის ტერიტორიაზე შესაბამისი დოკუმენტაციის არ მქონე, ხორბლით დატვირთული რამდენიმე ტრაილერი აღმოაჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ხორბლის მესაკუთრემ, რომელსაც არსებული კანონმდებლობის საფუძველზე უფლება ჰქონდა, შესაბამისი დოკუმენტაცია 3 დღეში წარმოედგინა, პროცედურა ვადაში აღასრულა, საგანგებო ლეგიონის ეჭვები ამით არ ამოიწურა და ამ უწყების ინსპექტორმა გადაწყვიტა, დაეზუსტებინა - როდესმე ქარხანაში კონტრაბანდული ნედლეულისა და უსაბუთო პროდუქციის შემოტანას ხომ არ ჰქონდა ადგილი. კანონის თანახმად, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ შესაბამისი სანქცია გასცა და ამის საფუძველზე შპს "გულისტანის" სასაწყობო მეურნეობა კომისიური წესით შეამოწმეს. კომისიის დასკვნა საწარმოს ხელმძღვანელებისათვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა: "გულისტანს", საერთო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 1.500 000 ლარის გადახდა დაეკისრა.

კომისიის მიერ მოკვლეული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გენერალურ პროკურატურას გადაეცა.

ქარხნის ხელმძღვანელობა კომისიის დასკვნებს არამოტივირებულად თვლის და, მართალია, არ გამორიცხავს, რომ ბიუჯეტთან ურთიერთობაში რაღაც გაუგებრობები შეიძლება იყოს, მაგრამ მილიონნახევარ ლარს, არც მეტი არც ნაკლები, 10-ჯერ გაზრდილად მაინც მიიჩნევს.

საქმეში საქართველოს ელჩი თურქეთში ტარიელ ლორთქიფანიძე ჩაერია, რომელმაც გურიის გუბერნატორს კარლო გუჯაბიძეს შექმნილ სიტუაციაში გარკვევა სთხოვა. სწორედ გუბერნატორის ინიციატივით მოხდა მოდავე მხარეებს შორის შეხვედრა (რაც მანამდე არ ხერხდებოდა) სადაც "გულისტანის" ადვოკატებმა ლეგიონის კომისიის მუშაობის თაობაზე თავიანთი დასკვნები წარმოადგინეს. თავის მხრივ გუბერნატორი მიიჩნევს, რომ მართალია მას უფლება არა აქვს, უხეშად ჩაერიოს ამ საქმეში, ან მოკვლევისა და გამოძიების პროცესის დასრულებამდე საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს, მაგრამ ქარხნის შეჩერება არასწორ ქმედებად მიაჩნია. ამიტომ, მისი წინადადებით, საწარმოს ადვოკატთა დასკვნები გასაცნობად გურიის საოლქო პროკურორს გადაეცა (რომელიც საგანგებო ლეგიონის უფროსის ბიძა გახლავთ).

მოკლედ, ქარხანა გაჩერებულია, ბაზარი - "გულისტანის" პროდუქციისაგან თავისუფალი, მომხმარებელი - უკმაყოფილო, ლეგიონის თანამშრომლები - გაბრაზებულები.

ამჟამად მოკვლევისა და გამოძიების პროცესი მიმდინარეობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჭეშმარიტება დადგინდება და გაირკვევა, რომელი თავნებობს - ინვესტორი თუ ლეგიონი.

# კიდევ ერთი მკვლელობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში

გუშინ, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამავალ სარკინიგზო მაგისტრალთან ახლოს გამვლელებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული ქართველის ცხედარი იპოვეს. მოკლული გალის რაიონის სოფელ სიდის მკვიდრი აბესალომ ართანია აღმოჩნდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის ერთ-ერთი ქართული პარტიზანული დაჯგუფების წევრია, თუმცა, მოგვიანებით ეს ინფორმაცია სამართალდამცველებმა უარყვეს. მომხდართან დაკავშირებით გუშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ცხედარი ზუგდიდის პროზექტურაში გადაასვენეს, სადაც მას ექსპერტიზა ჩაუტარდება. ქართველი სამართალდამცავებისთვის უკვე ცნობილი გახდა, რომ აბესალომ ართანია აფხაზებმა მოკლეს. "მკვლელობაში კონკრეტული ეჭვმიტანილები, ჯერჯერობით, არ გვყავს. თუმცა, რომელი აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფების წევრების ხელი ურევია აბესალომ ართანიას მკვლელობაში, ამის შესახებ მონაცემები უკვე გვაქვს", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გალის პოლიციის უფროსმა ჯემალ გოგოხიამ.

გუშინ მომხდარი მკვლელობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედი ოთხმხრივი საგამოძიებო კომისია გამოიძიებს.

## მოკლედ

**თბილისი.** გორში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის სხდომის მონაწილეებს გუშინ ცხრა თვის წინათ კონფლიქტის ზონიდან გატაცებული ზურაბ დურგლიშვილის დედა, როზა დურგლიშვილი შეხვდა. როზა დურგლიშვილმა სხდომის მონაწილეებისგან დახმარება მოითხოვა. უამრავი დაპირების მიუხედავად, მისი შვილის, ცხინვალში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ვიცე-პოლკოვნიკის ზურაბ დურგლიშვილის ადგილსამყოფელის შესახებ კვლავ არაფერია ცნობილი. „დახმარების თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს წერილიც კი გავუგზავნე, მაგრამ – ამაოდ; ჩემი შვილის ბედი არავის აინტერესებს", — აცხადებს დურგლიშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, ზუგდიდის რაიონის სასამართლოში, შიმშილობა დაიწყო ვახტანგ (ლოთი) ქობალიას დამ ეთერ ქობალიამ. მისი პროტესტი მიმართულია სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღმსრულებლო ბიუროს მიმართ, რომელიც ამ სასამართლოს შენობაშია განთავსებული. ეთერ ქობალიას განცხადებით, გასული წლის 1 მაისს მის მეუღლეს, ვალიკო კვარაცხელიას, ქალაქ ფოთში დაეჯახა სამარშრუტო ტაქსი, რის შედეგად მას ფეხი მოკვეთეს. ფოთის რაიონულმა სასამართლომ განიხილა საკითხი და სამარშრუტო ტაქსის მძღოლს - რამი ჯავახიას დააკისრა 14 ათასი ლარის გადახდა დაზარალებულის სასარგებლოდ. ეთერ ქობალიას თქმით, სააღსრულებლო ბიურო ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და თანხა დაზარალებულ მხარეს დღემდე არ მიუღია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის, შეწყალების კომისიის წევრის რუსუდან ბერიძის თქმით, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრე გენერალს, ლოთი ქობალიას, ამ ეტაპზე არ შეიწყალებენ. „ქობალია პრეზიდენტმა ერთხელ უკვე შეიწყალა, როცა სიკვდილით დასჯა პატიმრობით შეუცვალა", - აცხადებს რუსუდან ბერიძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ალიანსის "სამშობლოს" ლიდერი თემურ ჟორჟოლიანი სახელმწიფო კანცელარიასთან სამდღიანი მჯდომარე აქციის გამართვას აპირებს. მისი ერთ-ერთი მოთხოვნაა ფართომასშტაბიანი საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება და 24 მარტს დაპატიმრებული ვეტერანი გვარდიელების გათავისუფლება. „ვეტერანი გვარდიელების გათავისუფლებას მჯდომარე აქციების გამართვა არ სჭირდება. ამისთვის შეწყალების კომისიას უნდა მიმართონ სათანადო განცხადებით, რის შემდეგაც პრეზიდენტი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას", - აცხადებს რუსუდან ბერიძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს უზენაეს სასამართლოში განახლდება „თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის ლევან რამიშვილის წინააღმდეგ პარლამენტარ გურამ შარაძის სარჩელის განხილვა. უზენაესი სასამართლო თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას იხილავს, რომლითაც ძალაში დარჩა თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 2002 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება ლევან რამიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში გერმანელი მოსამართლე ელენ ბესტი ქართველ ჟურნალისტებს წაუკითხავს ლექციას „იუსტიცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა, მასმედიის საუკუნე". ბრემენის ლანდის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე და პრესსამსახურის უფროსი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების ექსპერტი ელენ ბესტი ქართველ ჟურნალისტებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს. **მედია-ნიუსი**




# რა ელის რუსეთს?

პირველი გვერდიდან

აირჩევს რუსეთი საგარეოპოლიტიკური მეტამორფოზის პირობებში, ეს ხვალ პრეზიდენტის ტრადიციულ მიმართვაში აისახება.

**გენადი ზიუგანოვი**, *კომპარტიის ლიდერი:*

- პირადად მე არაფერს ველი, ისევე, როგორც არაფერს ელის რუსი ხალხი ჩვენი სახელმწიფოს თვალუწვდენელ ტრამალებზე. ხალხი გაღარიბებული და იმედწართმეულია. პუტინმა ვერ გაამართლა რუსი ხალხის იმედი, ვერ გამოიყვანა ქვეყანა კრიზისიდან, წინ ვერ აღუდგა ოლიგარქთა თარეშს, თავად გახდა რუსეთის დაუნდობელი დაშლის პროცესის დასაწყისის თანაავტორი. ჩვენ არ შეგვიძლია, მშვიდად ვუყუროთ აშშ-სთან ურთიერთობებში რუსეთის ეროვნული ინტერესების იგნორირებას; ვერ შევურიგდები იმას, რომ დღეს კრემლი ვაშინგტონის მითითებების უკრიტიკო შემსრულებელია. ასეთ პირობებში ქვეყანა და ხალხი უკეთესობას არ უნდა ელოდოს. პოლიტიკური მკვლელობები და კორუფცია უმაღლეს ეშელონებში ჩვენი ხელისუფლების სახელის გატეხვასთან ასოცირდება.

**ირინა ხაკამადა**, *რუსეთის მემარჯვენე ძალთა ერთ-ერთი ლიდერი:*

- პრეზიდენტის ტრადიციული მიმართვისაგან ველოდებით გლობალურ შემობრუნებას რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა თანდათან უახლოვდება საერთაშორისო პროგრესული საზოგადოების მოთხოვნებს და იმედი მაქვს, მთელი ეს პროცესი დემოკრატიის ნიშნით ჩაივლის.

მე არ ვარ მომხრე იმ თვალსაზრისისა, რომ რუსეთი აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე იქნება ორიენტირებული, ჩვენ მხოლოდ საკუთარ ინტერესებს უნდა მივდიოთ. მომხრე ვარ იმისა, თუკი თანამედროვე რუსეთის ინტერესები არ დაშორდება ამერიკის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რადგანაც ეს მთელი მსოფლიოს უშიშროების ინტერესებშია. ამდენად, იმედი მაქვს, რომ ვლადიმირ პუტინის მიმართვა ფედერალური საკრებულოსადმი გლობალური შემობრუნება იქნება რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- მედიაცია ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა.
- უფასო იურიდიული კონსულტაცია.

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

თქვენს სამსახურშია ასოციაციის ოფისები: თბილისში, ქუთაისში, გორში, ოზურგეთში, ახალციხეში გურჯაანში და დედოფლისწყაროში.

დაგვიკავშირდით მისამართზე:
ქ. თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8, ტელ: 93 12 76, 93 19 69, 93 16 81.

# "აგვისტოს ბოლოს აფხაზეთში ომი დაიწყება"

პირველი გვერდიდან

**- რა იყო აფხაზთა კონგრესის ძირითადი თემა? რატომ არ დაუშვეს სხდომაზე რუსი ჟურნალისტებიც კი?**

- კონგრესის ალმასკომის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ დელეგატები თურქეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, აფხაზეთიდან და რუსეთში მცხოვრები აფხაზეთის დიასპორა. სხდომა ტარას შამბას მიჰყავდა. მთავარი საკითხი იყო მომავალი ყრილობის გამართვის ადგილისა და დროის დადგენა. გადაწყდა, რომ აფხაზი და აბაზგინელი ხალხების ყრილობა გაიმართება აფხაზეთის საქართველოზე გამარჯვების ათი წლისთავზე. დელეგატები 27 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებენ საზეიმო ღონისძიებებში, ხოლო 28-30-ში ყრილობა გაიმართება. კონგრესზე ჟურნალისტები არ დაუშვეს სხვადასხვა მოსაზრებების გამო.

**- საინტერესოა, როგორ ჩავლენ უცხოელი დელეგატები სოხუმში?**

- თუ ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთიდან, ამერიკიდან და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან ჩამოსულ დელეგატებს საზღვრის გადაკვეთისას პრობლემები გაუჩნდებათ, ყრილობა მოსკოვში ჩატარდება. თუმცა მათ აფხაზეთამდე მაინც რამდენიმე გზა რჩებათ - ზღვით, თურქეთის გავლით, ან სხვა მარშრუტით. არავის სურს თბილისის გავლით მგზავრობა.

**- თუ მიიღეს სოჭის კონგრესში მონაწილეობა აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა?**

- პირველ დღეს სოჭში ჩამოვიდა აფხაზეთის პარლამენტის სპიკერი ნუგზარ აშუბა და მხარი დაუჭირა სოხუმში აფხაზი და აბაზგინელი ხალხების ყრილობის ჩატარების იდეას. მეორე დღეს მოხსენებაც გააკეთა აფხაზური დიასპორის წინაშე მდგომი აქტუალური საკითხების შესახებ.

**- თუ არის დაგეგმილი ყრილობაზე აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურის განხილვა?**

- პოლიტიკა გამორიცხულია. ყრილობაზე სამი მთავარი საკითხი იქნება წამოწეული: აბაზას სახელმწიფოებრიობის გამყარება, კულტურის განვითარება და ეკონომიკური საკითხები. ასევე, ტარას შამბას, რომელიც უკვე ათ წელზე მეტია კონგრესის პრეზიდენტია, პოსტიდან საკუთარი სურვილით გადადგომა.

**- საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხი სოჭში არ განხილულა და არც სოხუმში განიხილება?**

- სოჭში ამაზე საუბარი არ ყოფილა. იქ ყურადღება გამახვილდა, თუ რაში გამოიხატება აფხაზეთის საერთაშორისო დიასპორის დახმარება აფხაზი ხალხისადმი. ამის შემდეგ ჩვენ აფხაზეთში გავემგზავრეთ და შევეცადეთ, გაგვერკვია "ამცახარას" ირგვლივ მიმდინარე მოვლენები. შეკრების მიზეზი იყო "ამცახარას" ძველი თავმჯდომარის გარდაცვალება და მოძრაობის ახალი თავკაცის არჩევა. მაგრამ, ანრი ჯერგენიას მონაწილეობამ პოლიტიკური ასპექტი შეიტანა "ამცახარას" მუშაობაში. სწორედ ჯერგენიამ წამოაყენა აფხაზეთში ახალი საპრეზიდენტო არჩევნების გამართვის იდეა და არძინბას წინააღმდეგ გაილაშქრა. ალექსანდრ შაბანოვი, დმიტრი როგოზინის მოადგილე, სოხუმში ყოფნისას ჯერგენიას კანდიდატურის ლობირებას ცდილობდა. აი, რაულ ხაჯიმბას კანდიდატურა კი ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა. იგი პრორუსულადაა განწყობილი, შრომისმოყვარეა - დილის ხუთი საათიდან შუაღამემდე მუშაობს. მას ეკონომიკური განათლებაც აქვს და "კაგებეს" რამდენიმე სკოლაც აქვს გავლილი. რაც მთავარია, მასზე არ არსებობს არავითარი კომპრომატები. იგი ღირსეული კაცია და მუდამ შორს იდგა კლანური ბრძოლისაგან. რაული არასოდეს ყოფილა საკუთარი პიარით გართული და უპირატესობას შრომას ანიჭებს. აფხაზეთის ომის დროს იგი აღმოსავლეთის ფრონტის დაზვერვაზე მუშაობდა და ამ ფრონტის მიღწევებიც მისი დამსახურებაა.

**- რატომ ჩამოვიდა მოსკოვში ხაჯიმბა?**

- პრემიერ მინისტრის რანგში ეს მისი პირველი ვიზიტია. იგი შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და "თეთრი სახლის" წარმომადგენლებს.

**- ხომ არ ხედავს ამ კაცში მოსკოვი აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურას?**

-ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება აფხაზეთის საკანონმდებლო რეფორმა, რის შემდეგაც საბოლოოდ გახდება ცხადი, ვინ გახდება მომავალი პრეზიდენტი. თუ ეს რეფორმა კარგად ჩაივლის, მაშინ არჩევნებში მოსკოველი აფხაზები მიიღებენ მონაწილეობას, თუ არა და, რამდენიმე ადგილობრივი კანდიდატურა იბრძოლებს.

**- როგორ გრძნობს თავს არძინბა?**

- მას საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს, "ამცახარას" ყრილობის შემდეგ არძინბას შეგნებაშიც და ხალხშიც სერიოზული გარდატეხა მოხდა. კი, მას რუზველტივით შეუძლია, მართოს ქვეყანა, მაგრამ ახლა ყველა შეთანხმდა, რომ მაინც ახალი პრეზიდენტი უნდა მოვიდეს. ან თავად არძინბა დაასახელებს კანდიდატურას და დაეხმარება მას პრეზიდენტად გახდომაში, ან თავის სიტყვას იტყვის მოსკოვური დიასპორა. არძინბას კანდიდატურა რუსლან არძინბა იყო, მაგრამ როცა აფხაზებმა გაიგეს, რომ იგი საქართველოს მოქალაქეა, მას უნდობლობა გამოუცხადეს. დღეს აფხაზეთის პრეზიდენტის კანდიდატურებში მოიაზრებიან ალიკ ანქვაბი, ტარას და სერგეი შამბები, ლეონიდ ლაკერბაია, ნოდარ ხაშბა, ვიაჩესლავ ლაკობა. არიან სხვებიც...არ არის გამორიცხული, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ვადამდე ადრე ჩატარდეს. რუსლან ხაჯიმბა თუ პრემიერის პოსტზე კარგად იმუშავებს, მას შანსები გაუჩნდება. რაც შეეხება ანრი ჯერგენიას, "ამცახარას" ყრილობაზე გამოსვლისას შანსები კი გაუჩნდა, მაგრამ მას იქვე შეახსენეს, თუ როგორ გაიქცა აფხაზეთიდან ომის დაწყებისთანავე და როგორ მოაწერა ხელი 1995 წელს დოკუმენტს, რომელშიც აფხაზეთი საქართველოს შემადგენელ ნაწილადაა გამოცხადებული. გენერალური პროკურატურა მისი მოღვაწეობის უარყოფით დახასიათებას იძლეოდა. იგი ცუდი პრემიერი იყო და მისი მომხრეებიც კი მისით იმედგაცრუებულები დარჩნენ. ახლა ჯერგენია დისკრედიტებულია და მის კანდიდატურას სერიოზულად არავინ განიხილავს.

**- საქართველოსთან აფხაზეთის დამოკიდებულებაში ბოლო დროს ხომ არ შეინიშნება რაიმე შემობრუნება ან სასიკეთო ძვრები?**

- როგორი პროცესებიც არ უნდა განვითარდეს, აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს საქართველოსაგან დამოუკიდებლად არსებობას. თუკი აფხაზი ხალხი დათანხმდება საქართველოსთან თანაცხოვრებას, ისიც იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი და საქართველო რუსეთს ერთად შეუერთდებიან. აფხაზეთში სერიოზულად აშფოთებთ საქართველო-აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობაზე მიღებული შეთანხმება. საქმე ის არის, რომ ქართულმა ოპოზიციამ დღემდე კარგად ვერ გაიგო, რომ ამ დოკუმენტის რატიფიკაციით შევარდნაძემ საკუთარი ოპოზიცია მოხერხებულად გააცურა. ოპოზიციამ ტყუილად დაუჭირა მხარი ამ შეთანხმებას. საქართველოს მმართველი ხელისუფლება დღეს ყველაფერს გააკეთებს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და არჩევნების ჩაშლისათვის, რის პარალელურადაც გაძლიერდება საქართველოში აშშ-ს სამხედრო გავლენა.

აფხაზეთში დღეს უკვე არსებობს სადაზვერვო ინფორმაცია საქართველოს მხრიდან აგვისტოს დასასრულსა და სექტემბრის დასაწყისში მოსალოდნელ სამხედრო აგრესიაზე. აფხაზეთში ოპერაციას ამერიკელი სამხედრო ექსპერტები ამზადებენ. ამაზე მეტყველებს ამერიკელი შპიონი თვითმფრინავების ფრენა აფხაზეთის თავზე. ჩვენი სამხედრო დაზვერვის მონაცემებით, აფხაზეთში აშშ-ს სამხედრო აგრესიის დროს გამოყენებული იქნება კოდორის ხეობა. ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ ენგურის ზონაში ამერიკელები შეტევას განახორციელებენ იქ დისლოცირებულ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტზე, რისთვისაც აქტიურად გამოიყენებენ საზღვაო დესანტს. უკვე მონიშნულია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სამიზნეებიც და ჩვენ ამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია გვაქვს.

საქმე ისაა, რომ 1992 წელს აფხაზეთის ხელში ჩაგდების სამხედრო ოპერაციას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი გეგმავდა და რამდენიმე სერიოზული შეცდომა იქნა დაშვებული, რადგანაც საქართველოს არმიას მაშინაც ძნელად უწოდებდი არმიას. 1998 და 2000 წელს კოდორისა და გალის მოვლენების გაანალიზებამ საშუალება მოგვცა, დავსახოთ სტრატეგია, თუ როგორ მოვიგერიოთ საქართველოს აგრესია. მაგრამ აქ შემდეგი პრობლემა ჩნდება: გაიხსენეთ, რომ კოდორის ხეობაში საბრძოლო მოქმედებების შემდეგ საქართველოში ადგილი ჰქონდა საპარლამენტო და სახელისუფლებო კრიზისს. ახლაც, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების პარალელურად, საქართველოში საპარლამენტო არჩევნებისწინა კრიზისი იჩენს თავს. შევარდნაძე ამ კრიზისის წყალობით მოახერხებს ოპოზიციის გარეკვას და რეგიონში აშშ-ს სამხედრო გავლენის გააქტიურებას. საქართველოს პრეზიდენტი ამით საკუთარ მიზანს მიაღწევს, ხოლო ომი აფხაზეთში კვლავ ქართველების დამარცხებით დასრულდება. ამერიკელების მთავარი შეცდომა ის იყო, რომ კოდორის ხეობაში საბრძოლო მოქმედებების შემდეგ მხარი კვლავ შევარდნაძეს დაუჭირეს და იგი გილაევთან არ გააიგივეს. ამით ამერიკელებმა, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირეს საერთაშორისო ტერორიზმთან თანამშრომლობაში დადანაშაულებულ შევარდნაძის რეჟიმს - ალბათ, დასავლეთისადმი წარსული დამსახურებებისათვის. გაიხსენეთ, სწორედ ამერიკელების წყალობით შეწყდა მაშინ საქართველოს პარლამენტში ანტიშევარდნაძისტული გამოსვლები. ახლა მათთვის ხელსაყრელია აფხაზეთში ომის წარმოება, კონფლიქტის ზონის ინტერნაციონალიზაცია, მაგრამ ამისაგან არაფერი გამოვა.

ერთი სიტყვით, აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში ომი დაიწყება. ჩვენ ვიცით, რომ ამ ომს შედეგად საქართველოს დაქუცმაცება მოჰყვება. ვიცით, რომ ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლი იქნება. ისიც ცხადია, რომ საქართველო ამ ომში ვერ გაიმარჯვებს, რადგანაც მას ხელს არ აძლევს გამარჯვება, მმართველი რეჟიმისთვის ქაოსი და საგანგებო ვითარებაა ხელსაყრელი.



www.24hours.ge
24 B

ნომრის პერსონა

# შოკი გადასალახავია, თამაშის ახალი წესები - შემოსაღები...

## უფასო ლანჩი კი არ არსებობს...

*"სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკური და ეკონომიკური ფილოსოფია" - კონცეფცია, რომელიც გია მაისაშვილმა შექმნა და რითიც ახალი, ჯანსაღი ძალების ინტელექტუალურ დახმარებას აპირებს, მოსახლეობას ნამდვილად დააყენებს არჩევანის წინაშე. ყველა არჩევანი კი იწვევს რომელიმე სხვა არჩევანის მიტოვებას და ამას მიტოვებული შესაძლებლობების ღირებულება ჰქვია... მოკლედ, გვიმძიმს თუ არა კორუფციის, უკანონობის, ცინიზმისა და გაჭირვების მიტოვება, უახლოეს ხანში ჩვენი გადასაწყვეტი იქნება...*
*ჩვენი დღევანდელი პერსონა, გია მაისაშვილი, 1962 წელს თბილისში დაიბადა, დაამთავრა 51-ე საშუალო სკოლა და თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი; ეროვნული მოძრაობის გააქტიურებისა და კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟის პერიოდში იყო "მრგვალი მაგიდის" ეკონომიკური პლატფორმის კოორდინატორი და ერთ-ერთი ავტორი. 1990 წელს დააარსა საქართველოში პირველი სააქციონერო საზოგადოება - თბილისის უნივერსალური ბირჟა, რომელიც ერთ წელიწადში ღვინის ბირჟად გადაკეთდა. გადატრიალების შემდეგ ხელისუფლებისგან მორალური თუ ფიზიკური ზეწოლის გამო საქართველოს დატოვება მოუწია. ცოტა ხანში კი სასწავლებლად კალიფორნიაში, სტენფორდის უნივერსიტეტში წავიდა. 1993 წლიდან აშშ-მ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. 1997 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, აშშ-ს უზარმაზარმა ენერგოკომპანია "ენრონმა" მიიწვია სამუშაოდ, სადაც შეიმუშავა ე.წ. მატრიცა, რომელიც მარეგულირებელ და საგარეო რისკებს დაითვლიდა. ეს მენეჯმენტის იარაღი იყო, რათა კომპანიას ყოველდღიურად სცოდნოდა, რა რისკის წინაშე იდგა და როგორ შეიძლებოდა ამ რისკის შემცირება. ეს უნიკალური იარაღი კომპანიამ არასწორად გამოიყენა და გია მაისაშვილმა, პროტესტის ნიშნად, "ენრონის" გაკოტრებამდე რვა თვით ადრე თანამდებობა დატოვა.*

მაია ჭალაგანიძე

**- კომპანია პოლიტიკას შეეწირა თუ უგუნურებას?**

- პოლიტიკას. "ენრონი" უაღრესად ინოვატორული კომპანია იყო. ახლა კი ინოვაციების ერაა. როდესაც ზედიზედ ხუთი წლის მანძილზე ყველაზე ინოვატორ კომპანიად ითვლები, გაგაჩნია უზარმაზარი რესურსი სიკეთის გასაკეთებლად და ბიზნესსა თუ სახელმწიფო პოლიტიკაში პროგრესის მისაღწევად.

ძალიან დიდი და გავლენიანი ბიზნესი საზოგადოებასა და სახელმწიფო პოლიტიკაზე უარყოფითი ზემოქმედების მატარებლად შეიძლება იქცეს. როდესაც დიდი ხარ, იკარგება ე.წ. "ვოჩ დოგ," ანუ ბალანსირებისა და ურთიერთგადამოწმების მექანიზმი. ასეთ პირობებში ჩნდება ცდუნება, რომ ბოროტად გამოიყენონ შენი მატერიალური დამოუკიდებლობა.

"ენრონიდან" წამოსვლის შემდეგ მუშაობა დავიწყე ენერგეტიკის სფეროში, საკონსულტაციო კომპანიაში, სადაც კასპიის აუზის ენერგეტიკის დეპარტამენტს ვხელმძღვანელობდი. დიდი ენერგოკომპანიები, რომლებიც კასპიის აუზსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნავთობისა და გაზის პროექტებში იყვნენ ჩართული, ჩვენთან კონსულტაციების გარეშე ინვესტირებას არ აკეთებდნენ. ამ რანგში, “ენრონის” კოლაფსის შემდეგ, ამერიკის კონგრესთან და სენატთან ურთიერთობა მომიწია. "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნდა სტატია მატრიცასთან დაკავშირებით, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მრავალ დიდ კომპანიას სურდა ამის კოპირება, რადგან ეს ორგანიზაციის მართვის რევოლუციური, ინოვატორული სქემა და იარაღი იყო.

რადგანაც ასეთი მოთხოვნა გაჩნდა, მე და ჩემმა კოლეგებმა ახალი კომპანია - Perklis club - დავაარსეთ. ამოცანად დემოკრატიის, ბიზნესისა და სახელმწიფო მმართველობის ერთმანეთთან სათანამშრომლო ფორმებზე მუშაობა დავისახეთ. ახლა ამ რანგში ვმოღვაწეობ.

**- სახელმწიფო აპარატისა და ბიზნესის ურთიერთობა პრობლემა არა მხოლოდ აქ, არამედ ძლიერ ქვეყნებშიცაა. რა არის ის სუსტი წერტილი, რის გამოც იშლება ზღვარი ბიზნესსა და პოლიტიკას შორის, რაც სახელმწიფოებრიობისთვის საზიანო ხდება?**

- ყველა საზოგადოება კერძო ინტერესების მქონე ჯგუფებისგან შედგება. ბიზნესიც სწორედ ერთ-ერთი ასეთი ჯგუფია. ყველა ქვეყნის ბიზნესმენი ბუნებით ხარბია. მისი მიზანი მაღალი შემოსავლისა და მოგების მიღება, კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაა. ხელისუფლების, მთავრობის ვარგისიანობის ხარისხი კი იმაში გამოიხატება, რომ მოქნილი პოლიტიკა აწარმოოს. ამ პოლიტიკის ნაწილია ზედამხედველობის, მარეგულირებელი პოლიტიკა, კომერციული კანონი, საბანკო კანონმდებლობა, კანონი გაკოტრების შესახებ, ბიზნესის საქმიანობის კოდი, კანონი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ... არსებობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ე.წ. "ვოჩ დოგის" - მეცხვარე ძაღლის როლს ასრულებენ, რათა რომელიმე ინტერესჯგუფმა მისთვის მინიჭებულ უფლებებს არ გადაამეტოს. ამიტომაცაა ძალზე მნიშვნელოვანი მთავრობის როლი, ბიუკროკრატიის ხარისხი. ჩემს მიერ ჩამოთვლილი კანონები ფუნდამენტურია და იმ უფლება-მოვალეობის გადამეტებას უშლის ხელს, რასაც საზოგადოებისთვის დამანგრეველი შედეგის მოტანა შეუძლია.

**- სად გადის ბიზნესისა და პოლიტიკის გამყოფი ხაზი?**

- როდესაც ერთი ინტერესთა ჯგუფი, ამ შემთხვევაში ბიზნესი, ფლობს ყველა სადავეს და ჩინოვნიკებზე უზარმაზარი გავლენა აქვს, სახელმწიფო პატარა ბიზნესინტერესების მსახური გამოდის. ამ დიდი მონსტრების ხელში წვრილი და საშუალო ბიზნესი, ჯანსაღი ეკონომიკური უჯრედები, ფაქტობრივად, კვდება, ეკონომიკა ინგრევა. ამის მიზეზი კი გავლენიანი, ბიუროკრატი, სასათბურე პირობებში ჩამოყალიბებული ბიზნესმენები არიან. მონოპოლიზებული პირობების ხელოვნურად შექმნა ჩვენი ქვეყნისთვის დამაქცეველია, ამის შენარჩუნება შეუძლებელია.

**- რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს ასეთ ურთიერთობებს ბიზნესსა და სახელმწიფო აპარატს შორის?**

- როცა გავლენიანი ე.წ. ბიზნესმენები განუსაზღვრელ უფლებებსა და შესაძლებლობებს მოიპოვებენ, დადგება ეტაპი, როდესაც მათ ხელისუფლებაში მოსვლა მოუნდებათ. პოსტულატი შემდეგია: წარმატებული ბიზნესმენები ვართ, ჩვენ შეგვიძლია ხელისუფლებაში მოსვლა და ხალხის მართვა... ბიზნესსა და სახელმწიფოს მართვას შორის კი უზარმაზარი განსხვავებაა. ბიზნესი დიქტატის მეთოდით წარიმართება, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. პოლიტიკა და სახელმწიფოს მშენებლობა კი კონსენსუსზეა დაფუძნებული. პოლიტიკურ ლიდერს უნდა ჰქონდეს მომავლის სტრატეგიული ხედვა, უნდა ხედავდეს, საით მიდის მსოფლიო, საით მიდის 21-ე საუკუნე, როგორ შეიძლება საქართველო ამას მოებას და ბოლოს, ამ ყველაფრის ამომრჩევლებამდე მიტანაა საჭირო.

ეკონომიკა არის მართვის და აზროვნების აპარატი, მაგრამ ეკონომიკური განვითარება ეკონომიკის დისციპლინის საკითხი არ არის. ეს არის სოციალურ-პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური აჯაფსანდალი იმისთვის, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელი შემუშავდეს.


გია მაისაშვილი

შესაბამისი პოლიტიკური ინფრასტრუქტურის გარეშე ეკონომიკა საზოგადოებისთვის უდიდესი ტკივილის მომტანია. ეს ქვეყანაში ბევრი დამარცხებულისა და ცოტა გამარჯვებულის გაჩენას იწვევს. აუცილებელია ისეთი დამცავი მექანიზმის ჩამოყალიბება, რაც დამარცხებულების რაოდენობას გარკვეულ დონეზე შეინარჩუნებს. ამისთვის მეტად მნიშვნელოვანია მთავრობის ნდობის ვოტუმი, რათა ამ დამარცხებულებმა ობსტრუქცია არ მოუწყონ და მთავრობას სრულიად არ დაუკარგონ ქმედუნარიანობა.

უნდა გამოჩნდეს გუნდი, რომელიც ამბობს: ჩვენ ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ, არ მაქვს ჩემი დაფარული ინტერესებიო... ამ გაჭირვებულ სიტუაციაში შეიძლება, გადასახადების აწევა და ხარჯვითი ნაწილის შემცირება გახდეს საჭირო, რათა ეკონომიკის სტაბილიზაცია მოხდეს. მოსახლეობა ამის გადატანას მხოლოდ და მხოლოდ იმ მთავრობის ხელში შეძლებს, რომელსაც ნდობის ვოტუმი აქვს, ვის პროფესიონალიზმშიც მოსახლეობა დარწმუნებულია.

1997 წელს, ტაილანდის ეროვნული ვალუტის კურსი დაეცა და ამას ინფლაცია, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისები მოჰყვა. მთავრობა წავიდა. შემდეგ მოსული ხელისუფლებაც ასევე კორუმპირებული იყო. დაიწყო გაფიცვები, რასაც მმართველობის პარალიზება მოჰყვა. მოვიდა ნდობით აღჭურვილი ახალი მთავრობა, რომელიც ატარებს აუცილებელ, მაგრამ მტკივნეულ პოლიტიკას და ამის არტიკულირებას ახდენს. მოსახლეობას სავალუტო რეზერვის შესაქმნელად ცენტრალურ ბანკში თავისი დანაზოგი, ქორწინების ბეჭდები და ძვირფასეულობა მიჰქონდა. ტაილანდში ეს შოკი გადალახეს... ასევე მოხდა სამხრეთ კორეაშიც... შევარდნაძისნაირი, კორუფციის ჭაობში ჩაფლული ადამიანები საქართველოში ამ მტკივნეულ პოლიტიკას ვერ გაატარებენ და ქვეყანას გაჭირვებული მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანენ.

**- დღევანდელი ხელისუფლების გარშემო შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაში გაზრდილი პოლიტიკოსები თუ შეძლებენ ამას?**

- რთული იქნება, რადგან, შევარდნაძის გარშემო შეკრებილი ეს თაობა ძველი პარტნომენკლატურაა და მათი ინსტიტუციონალური მეხსიერება ესაა. მათგან რაიმე რადიკალურის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. ეს ჯგუფები შევარდნაძის მიერ შემოღებული თამაშის წესების გაუმჯობესებას ცდილობენ, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში კორექტირება კი არა, თამაშის სრულიად ახალი წესების შემოღებაა საჭირო.

**- დღეს საბჭოთა სისტემის, "პერესტროიკის" ხანაში ჩამოყალიბებული ბიზნესმენთა ჯგუფები აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას. რამდენად განაპირობებს კაპიტალი სახელმწიფოს მართვისთვის საჭირო რესურსს?**

- მოსახლეობას ამგვარი ადამიანების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეს და მათ კრიტიკულად უნდა შეხედოს. წარმატებული ბიზნესმენისთვის პოლიტიკაში მოსვლა მთავარი არ არის. მისი მიზანი საკუთარი ბიზნესის განვითარება, მართვის გაუმჯობესებაა. სხვა ქვეყნებშიც იყო და არის ასეთი ცდუნება - ბიზნესმენები ყველგან ცდილობენ ხელისუფლებაში მოსვლას, მაგრამ წარმატებული ბიზნესმენი არც ერთ ქვეყანაში არ გამხდარა ასევე წარმატებული პოლიტიკური ლიდერი. სახელმწიფოს მართვასა და ბიზნესს განსხვავებული მენტალიტეტი სჭირდება, ბიზნესი უფრო ავანტიურისტულ და დიქტატორულ ელემენტებს გულისხმობს, თუმც კი, თანამედროვე ბიზნესში ესეც გამორიცხულია. როდესაც დიქტატორულს ვამბობ, ვგულისხმობ, რომ ისინი ისევ გუშინდელი ბიზნესმენები არიან. თანამედროვე ბიზნესში დიქტატურა გამორიცხულია.

ვიღაც ბერლუსკონის დამისახელებს. ის სულაც არ არის წარმატებული პოლიტიკოსი იტალიაში და ჯერ კიდევ უცნობია, როგორ დაამთავრებს... ვიღაცამ, შეიძლება, ბუში დაასახელოს, მაგრამ ის გაკოტრებული ბიზნესიდანაა მოსული და მამამისის მიერ არის შექმნილი. არც ის ვიცით, არის თუ არა უმცროსი ბუში წარმატებული პრეზიდენტი. როცა პრეზიდენტი გახდა, გამოკვეთილი ხედვა არ ჰქონია. 11 სექტემბრის შემდეგ მოწინააღმდეგე გამოუჩნდა; ამერიკელები კი, როდესაც მტერი უტევს, ტრადიციულად, პრეზიდენტის ირგვლივ ერთიანდებიან.

სამაგიეროდ, ამერიკის დამფუძნებელი პრეზიდენტი - ვაშინგტონი - მხედართმთავარი და გენერალი იყო. ლინკოლნი, რომელმაც გახლეჩილი ამერიკის ერთიანობა შეინარჩუნა - იურისტი გახლდათ; რუზველტი, რომელმაც მარტომ გადაარჩინა კაპიტალიზმი - იურისტი, და არავითარი შეხება არ ჰქონია ბიზნესთან. ზოგი კამათობს, მაგრამ ჩემი აზრით, ასევე დიდი პრეზიდენტი იყო რეიგანი - მსოფლიო ცივი ომიდან ახალ პოლიტიკურ რეალობაში გადაიყვანა. ის კი - მსახიობი იყო. ამერიკის ისტორიიდან, თუნდაც, საშუალო დონის პრეზიდენტიც კი არ ყოფილა წამოსული ბიზნესის სფეროდან.

**- მაშ როგორი უნდა იყოს პოლიტიკური ლიდერი?**

- ლიდერობა პროფესია არ არის. ჯერ ერთი, შენს პროფესიაში უნდა წარმოადგენდე რაღაცას, უნდა გქონდეს მსახურების უდიდესი სურვილი, გქონდეს შინაგანი ინტუიცია, ხედვის უნარი და უნდა იცოდე, როგორ უნდა მიხვიდე ამ გზამდე. მერე ხალხს შენი გზა უნდა დაანახო და წაიყოლიო, თორემ დღევანდელ პოლიტიკაში ძალზე პოპულარულია საზოგადოების პულსზე ხელის დადება და გამოკითხვები - რას ფიქრობს ხალხი?! პოლიტიკის ასე წარმართვა კატასტროფამდე მიმყვანია. ლიდერი ხალხის აზრს უნდა აყალიბებდეს, წინ უძღოდეს და არა უკან მიჩანჩალებდეს. მაგრამ, ვიდრე წინ წარუძღვები, უნდა ხედავდე, რა არის იმ კუთხის უკან.

**- "მრგვალი მაგიდის" ეკონომიკური კონცეფციის ავტორი ხართ. მაშინ საქართველოსთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება იყო უმთავრესი და ლიდერები ეკონომიკაზე ნაკლებად ფიქრობდნენ... ახლა რა ეკონომიკური ამოცანები დგას ქვეყნის წინაშე, რამდენად გახდება ჩვენი ეკონომიკური კანონმდებლობა ქვეყნის ახალი პოლიტიკური რეალობისთვის მოსამზადებელი საფუძველი?**

- ეკონომიკური კანონმდებლობის სფეროში გარკვეული ინფრასტრუქტურა შექმნილია, მაგრამ ეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ პირდაპირ გადმოქართულებულია და ერთ თარგზეა აწყობილი. ამ ერთთარგიანობის გამო დღეს კრიტიკის ქარცეცხლშია გახვეული სავალუტო ფონდიცა და მსოფლიო ბანკიც.

დღეს უამრავი საშუალებაა, ისწავლო, რა იწვევს ეკონომიკურ განვითარებასა და რა მოდელი უნდა იყოს საქართველოში. ამ ცოდნის დიდი ბაზა არსებობს და აქედან გამომდინარე, ადვილი იქნება ამ ნაბიჯის გადადგმა. ახლა მსოფლიოში ისეთი ვითარებაა, რომ ოცნებასა და რეალობას შორის სხვაობა მცირდება. ეს საქართველოსთვის უნიკალური პერიოდია - შეგვიძლია სხვა ქვეყნების მიერ განვლილი გზის გაუვლელად გადავდგათ დიდი ნაბიჯი პროგრესისკენ.

ცოდნის წყაროები იმდენად უნივერსალურია, რომ ახლა დაყოფა ღარიბ და მდიდარ ქვეყანას შორის კი არა, უგუნურსა და ინტელექტუალურ ქვეყანას შორის იქნება.

**- უფულობა დღეს პოპულარული მიზეზია. ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით ბევრი პოლიტიკოსი საეჭვო კაპიტალის მქონე ბიზნესმენს უკავშირდება - კრიმინალურ ფულზეც კი არ ამბობენ უარს.**

- ფულის არქონის მომიზეზება პრობლემის ძებნის და თავის მართლების ხერხია - ჩემი ბრალი არ არის, სხვისი ბრალიაო... თანამედროვე პირობებში უნდა მოვახერხოთ შესაძლებლობებზე ორიენტაცია და არა პრობლემებზე.

ცვლილება ყოველთვის დიდიდან იწყება - მაჰათმა განდის ფული ან ძალაუფლება ჰქონდა?! ნელსონ მანდელას?! ჯეფერსონს?! არადა, ამ ადამიანებმა უზარმაზარი გავლენა მოახდინეს მსოფლიო რეალობაზე. არ არსებობს პრობლემა, რომლის გადაწყვეტის შესაძლებლობაც არ გამოიძებნოს. უფულობის მომიზეზება გუშინდელი აზროვნებაა, ამით ჩვენ საქართველოს ადგილს 21-ე საუკუნის მსოფლიოში ვერ ვიპოვით... ამას დამოკიდებულების თეორია ჰქვია და კარგად მხოლოდ ჩამორჩენილ ქვეყნებში მუშაობს. საქმეში ჩახედული და ბრძენი ხალხი უფრო თავის თავსა და ქვეყანაში ეძებს გასაღებს და სვამს კითხვას - რა გავაკეთეთ არასწორად?!... ის ხალხი, ვინც გარეთ ეძებს ამ პასუხს, ყოველთვის გარედან ელის დახმარებას. საქართველოშიც ასეთი პოლიტიკაა. აშშ-ს არ შეუძლია საქართველოში კორუფციის აღმოფხვრა, გახლეჩილი საზოგადოების გაერთიანება და არაეფექტური მთავრობის ეფექტურად გადაქცევა...

**- წინასაარჩევნოდ აუცილებლად იქნება თქვენი სახელის და არა პოტენციალის გამოყენების მცდელობა. თუ გაქვთ შექმნილი მატრიცა საკუთარი თავის გარეშე რისკისგან დასაცავად?**

- ჩამოსვლისას, ჩემდა უნებურად, ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი, აჟიოტაჟის მიზეზი გავხდი. დიახ, ბევრს აქვს ამის მცდელობა, მაგრამ ჩემი დამოკიდებულება ასეთია - მინდა ვემსახურო ჩემს ქვეყანას, მინდა ქვეყანამ გამომიყენოს. მე ვერ გამომიყენებს რომელიმე პარტია.

ჩემი კონცეფციით მიხეილ სააკაშვილს ვეხმარები. მე არც მათი პარტიის წევრი ვარ, არც მეგობარი და არც ნათესავი... ამით საშუალება მეძლევა, ეს კონცეფცია ფართო განხილვის საგანი გახდეს. ეს არის ჩემი ძირითადი ამოცანა და თუ ამას სააკაშვილი გამოიყენებს - მეორადი პრობლემაა.

**- საზოგადოება არ ენდობა მთავრობას, ოპოზიციას და ა.შ. არა მგონია, დღეს პოლიტიკოსებისთვის მისაღები იყოს თქვენი კონცეფცია – “სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკური და ეკონომიკური ფილოსოფია". როგორ გგონიათ, მზადაა საქართველო ამ თემაზე სამსჯელოდ?**

- მთავარია, რამდენად შევძლებთ ამის ხალხამდე მიტანას. ვფიქრობ, რომ ამ კონცეფციაში არის მუხტი და თითოეული მოქალაქე აღმოაჩენს რაღაც ემოციურ კავშირს.

რასაკვირველია, ნდობის ფაქტორი დღეს დეფიციტია. ყველას დეპუტატობა უნდა და არარსებულ, უფასო დაპირებებს აძლევენ მოსახლეობას. ასეთი გამოთქმაა - "ცხოვრებაში უფასო ლანჩი არ არსებობს..." ეს არის ფანდი, ცუდი პრეცედენტი. ამიტომაც, გარდა იმისა, რას ამბობ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ ამბობს, ვინ არის ამ მესიჯის ავტორი, რა ამოძრავებს მას. მთქმელის გულწრფელობა და მორალური ავტორიტეტი ძალზე მაღალი უნდა იყოს. საქართველოში არანაირი თანამდებობა და ბიზნესი არ მაინტერესებს. აქ ჩემი ბავშვობა, სული და გულია. ეს ჩემი ქვეყანაა და მინდა, რომ საქართველოს შესახებ ზღაპრებზე გაზრდილი ჩემი შვილები ამ ქვეყანაში ჩამოვიდნენ და ზღაპრულ ქვეყანასა და რეალობას შორის განსხვავება უმცირესი იყოს.







# ნიუ იორკში კინოფესტივალი ტატო კოტეტიშვილის ორი ფილმით გაიხსნება

თეონა ჯაფარიძე

*"მსოფლიო ციხეა, მაგრამ საქართველო ამ ციხის ყველაზე უარესი ჯურღმულია, საქართველო კარცერია." ნაწყვეტი ლიტერეტურული სცენარიდან სრულმეტრაჟიანი ფილმისათვის უილიამ შექსპირის "ჰამლეტის" მიხედვით. ტატო კოტეტიშვილი. 1992 წ. როტერდამი.* (ეს სიტყვები "საქართველო კარცერიდან" შორს, ჰოლანდიაში დაიწერა).

ნებაყოფლობით ემიგრაციაში მყოფ ცნობილ მწერალს, ჯეიმს ჯოისს ერთხელ ჰკითხეს, – ირლანდიაში არ აპირებ დაბრუნებასო? ჯოისმა კითხვითვე უპასუხა, – "ოდესმე დამიტოვებიაო?" კინორეჟისორ ტატო კოტეტიშვილსაც, მიუხედავად ათწლიანი განშორებისა, არასოდეს დაუტოვებია თავისი "კარცერი სამშობლო". ჯერ იყო და, თავისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმით, "ანემიით" მუშტი მოუღერა "სოროებში გამომწყვდეულ თაობასა" და იმ პერიოდში გამეფებულ კომუნისტურ ბიუროკრატიულ ცნობიერებას (გახსოვთ, ალბათ, "ანემიის" ეფექტური ფინალი და ყულფში თავგაყრილი ლევან აბაშიძის გმირის მონოლოგი: "როდემდე უნდა იჯდეთ სოროებში"...შეგახსენებთ, ლევან აბაშიძე, თითქმის, მისი ყველა ფილმის მუდმივი გმირი იყო). მოგვიანებით კი, იმ "ეროვნული მოძრაობის" წლებში ყალბმა პათეტიკამ და ცრუ პატრიოტიზმმა გაალიზიანა ხელოვანი. მისი ამ პერიოდის ფილმებში - "ქალაქის ცხოვრება" და "ია, ვარდი და ზამბახი"- არეული, მიტინგური თბილისის კადრები ცვლის ერთიმეორეს და ეჭვნარევი ტკივილიანი კითხვა გაისმის: "არის კი საქართველო ღირსი თავისუფლების? – არავინ იცის, არავინ".

მოდით, ტატოს შემოქმედებასა და კოტეტიშვილების გენეოლოგიას დროებით თავი დავანებოთ და მისი ცნობილი "საქციელების" შესახებ მის უახლოეს მეგობრებს მოვუსმინოთ: 1975-80 წლებში თეატრალური ინსტიტუტის კინოს ფაკულტეტზე უჩვეულო 11-კაციანი ჯგუფი ეუფლებოდა კინო-რეჟისურას. ამ ჯგუფში ტატო ყველაზე პატარა იყო. მათი პედაგოგი კი ელდარ შენგელაია გახლდათ. "მე როცა ეს ჯგუფი მყავდა, პრაქტიკულად, ხუთი წელი ფილმი არ გადამიღია", - იხსენებს ბატონი ელდარი.

კინორეჟისორი ოთარ შამათავა: "პირველად, ერთი შეხედვით, ფუმფულა, დედიკოს ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ ცოტა ხანში ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენს წინაშე სულ სხვა პიროვნება იდგა. თუ შეიძლებოდა, რაიმე შეგშურებოდა მისი, ეს ტატოს თავისუფლება იყო. მე ჯგუფხელი ვიყავი. ტატო აბსოლუტურად ანტიპოდიურად იყო განწყობილი ყოველგვარი "ჯგუფხელობის" მიმართ, მაგრამ ჩვენს შორის პრობლემა არ ყოფილა. იმიტომ, რომ შინაგანად დელიკატური პიროვნება და წესიერი კაცი გახლდათ. მაგრამ, ექსტრავაგანტული იყო. მაგალითად, შეეძლო ინსტიტუტში ბანანებითა და ჩირებით მორთული ქუდით მოსულიყო. მახსოვს, ჩემს ფილმზე, "ტურანდოტზე" რომ ვმუშაობდი, ტატოს ვთხოვე, დაბნეული უცხოელის როლი შეესრულებინა. კინოსტუდიის პავილიონში თეთრი ბალახონითა და საკუთარი ხელით გაკეთებული გრიმით მოვიდა. მოგვიანებით მაშინდელი სასტუმრო "თბილისის" კლასიკურ თბილისურ რესტორანში წავედით, სადაც ერთდროულად თავს იყრიდნენ თეატრალებიც, პოლიციის მაღალჩინოსნებიცა და ქუჩის ავტორიტეტებიც. ტატო იქაც იგივე გრიმითა და მორთულობით იჯდა. ოფიციანტები კი, როგორც უცხოელს ისე ემსახურებოდნენ".

**დათო ჯანელიძე,** კინო-რეჟისორი: "ტატო "ანემიას" თუშეთში იღებდა. უკვე დაზამთრებული იყო. მთელი გადამღები ჯგუფი ფინანსების გარეშე, მშიერ-მწყურვალი, ისევ თუშეთში აგრძელებდა მუშაობას. კარგად მახსოვს და, ალბათ, ბევრსაც გაახსენდება, თუ როგორ დაჯდა მოულოდნელად თბილისში პირდაპირ კინოსტუდიის ეზოში ვერტმფრენი. იქედან ტატო გადმოვიდა და კინოსტუდიის დირექციას ჩხუბი აუტეხა. მაშინ კინოსტუდია დღე და ღამე ხალხით იყო სავსე. თანამშრომლები ეზოში გამოვიდნენ და აპლოდისმენტებით შეხვდნენ მას. ბობოქარი კაცი იყო".



ტატო კოტეტიშვილი

**გიორგი ბერიძე** – ტატოს, თითქმის, ყველა ფილმის ოპერატორი: "იყო სცენარი, მაგრამ სად გადაღება იწყებოდა და სად ცხოვრება, ძნელი გასარკვევი იყო. რაც ცხოვრებაში ხდებოდა, მეორე დღეს სპონტანურად უკვე კინოში ვიღებდით. მაგალითად, თუშეთში "ანემიას" გადაღების დროს გადასაღებ მოედანზე მთვრალი თუში ცხენით შემოგვივარდა. მეორე დღეს ეს ეპიზოდი უკვე სპეციალურად კინოსთვის დავდგით".

**გიო ცინცაძე** - ტატოს ყველა ფილმის კომპოზიტორი: " უნდა ვაღიარო, რომ ის ყველაზე უსმენო კაცი იყო, ვისთანაც ამქვეყნად ყველაზე დიდი სიამოვნებით ვმუშაობდი. ყოველთვის იცოდა, სად როგორი მუსიკა სჭირდებოდა. როცა მის ბოლო ფილმზე, "ნოსტალგიაზე" ვმუშაობდი, არ მინდა სენტიმენტალური ვიყო, მაგრამ რაღაცნაირად სევდიანი მუსიკა გამომივიდა." .

მისი მეგობრების რიცხვი და ტატოზე მათი მოგონებები უზღვავია. მან ჰოლანდიელებიც ასევე მონუსხა. ამის დასტურად მარტო იმის აღნიშვნაც კმარა, რომ ტატოს გარდაცვალების შემდეგ მისმა ჰოლანდიელმა მეგობარმა, კინოს მხატვარმა, ბილიმ თავის ახლადშობილ შვილს ორი ქართული სიტყვა დაარქვა - "ჩემი ტატო."

დღეს ყველა ერთხმად ლაპარაკობს ტატოს აკვიატებულ და აუხდენელ ოცნებაზე – გადაეღო "ჰამლეტი". "ხან ციურკის შენობაში უნდოდა შოუსპექტაკლის დადგმა და ხან ფილმის გადაღება, მაია პლისეცკაიას მონაწილეობით," – იხსენებს დათო ჯანელიძე.

**"ერთი 30-მდე "ჰამლეტი" მაინც აქვს მოყოლილი ჩემთვის თავისი კადრირებით,"** – ამბობს გიო ცინცაძე. რეჟისორი ელდარ შენგელაია კი იხსენებს: **"მახსოვს, ბერლინის ფესტივალზე ვიყავი; ნომერში დამირეკა და მთხოვა, შევხვედროდი. ერთმანეთს ფესტივალის ოფისში, კორიდორში შევხვდით, სადაც უამრავი ხალხი იეროდა. ტატოს ხელში ქაღალდების გროვა ეკავა და მითხრა, რომ "ჰამლეტის" გადაღებას აპირებდა. როცა ვკითხე, თუ როგორ აპირებდა ამის გაკეთებას, მან პირდაპირ იატაკზე გაშალა ესკიზები წარწერებით, ტექსტები და "რასკადროვკები". ჩვენს გარშემო ხალხი შემოიკრიბა - ვერ გაეგოთ, რა ენაზე ვლაპარაკობდით. ფოტოგრაფებიც გამოჩნდნენ. ეს ერთ საათს გრძელდებოდა, ერთი შეხედვით, კარტის თამაშს მოგაგონებდათ. ტატოს გარდა, სხვა არავინ მოიქცეოდა ასე. სხვა, ალბათ, მონახავდა სკამს, მაგიდას და ა.შ."**

დღეს დარჩა ტატოს დასრულებული სცენარი სრულმეტრაჟიანი ფიმლისთვის დანიის პრინცის ვნებებითა და ტატოსეული ინტერპრეტაციით "კარცერ საქართველოზე." კოტეტიშვილების სახლში კი კედელზე თავის დროზე სპეციალურად ამ სცენარისთვის შექმნილი ტატოს ძმის, დიზაინერ გუგა კუტეტიშვილის მიერ შესრულებული გრაფიკული "რასკადროვკები" დღესაც ჰკიდია.

ტატო კოტეტიშვილი თბილისში ბოლოს 1998 წლის მაისში ჩამოვიდა და თავისი უკანასკნელი ფილმი "ნოსტალგია" გადაიღო. მაისშივე "რადიო თავისუფლების" ეთერიდან კინოკრიტიკოსი გიორგი გვახარია იუწყებოდა: **"ამ კვირაში ჩვენ, ქართველ 80-იანელებად წოდებული თაობა ვემშვიდობებით ამსტერდამში დაღუპულ ახალგაზრდა ქართველ რეჟისორს, ტატო კოტეტიშვილს. საახალწლოდ, როცა ის თბილისში ჩამოვიდა, ბევრი ამბობდა, რომ ის გარეგნობითაც დაემსგავსა რაინერ ვერნერ ფასბინდერს. მისი ყოველი ჟესტი ქუჩაში, თუ პოლიტიკურ-კულტურული ელიტის თავყრილობაზე წარმოთქმული თითოეული სიტყვა პროვოკაციას უფრო ჰგავდა. თბილისელები ხელოვანი კაცის ასეთ "ხულიგნობას" გადაჩვეულნი იყვნენ."**

**P.S.** დღეს საქართველოში სულ სხვა კატეგორიის ხალხია პოპულარული. ტატო კოტეტიშვილის ფილმებს მხოლოდ ვიწრო წრე - "კინოშნიკები" და კინომცოდნეები თუ იცნობენ. უცხოეთში კი მისი ხსოვნის დღეს აღნიშნავენ: გაზეთი "24 საათი" ამსტერდამში ტელეფონით დაუკავშირდა ტატო კოტეტიშვილის მეუღლეს, კინორეჟისორ ინეკე სმიტსს, რომლისგანაც შევიტყეთ, რომ დღეს ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში როტერდამის საერთაშორისო ფესტივალის დამაარსებლის, ჰუმბერტ ბალსის სახელობის ფონდი, ამ ფონდში შექმნილი 25 საუკეთესო ფილმის ჩვენებას იწყებს. მოგვიანებით ფილმებს ამერიკის სხვადასხვა შტატში აჩვენებენ, გამოქვეყნდება ფესტივალის კატალოგიც, რომელშიც ვრცელი მონოგრაფია დაიბეჭდება ქართველი კინორეჟისორის, ტატო კოტეტიშვილის შესახებ. ეს ფესტივალი ტატოს გარდაცვალების დღეს, 16 მაისს იხსნება მისივე ფილმებით - "ნოსტალგია" და "ია, ვარდი და ზამბახი."

# გმირიცაა და გმირიც



ანა კორძაია-სამადაშვილი

1957 წელს, ჩვენგან ძალიან შორს, მაგადანის ოლქის უკიდეგანო სივრცეების პატარა დასახლებაში, იური შევჩუკი დაიბადა.

თავიდან იურას მხოლოდ ხატვა იტაცებდა. როცა ოჯახი საცხოვრებლად უფაში გადავიდა, პიონერთა სახლში სახვითი ხელოვნების სტუდიაში დადიოდა, მისი ნახატები მრავალ კონკურსზე იყო გატანილი, ჯილდოებსაც იღებდა, და დარწმუნებული იყო, რომ დიდი მხატვარი გახდებოდა. ადგილობრივი პედაგოგიური ინსტიტუტის სამხატვრო გრაფიკული განყოფილების დამთავრების შემდეგ ის რამდენიმე წელი სოფლის სკოლებში მასწავლებლობდა. მართალია, მუსიკაც უყვარდა, აკორდეონზე უკრავდა, ლექსებსაც წერდა, ეერმდე საავტორო სიმღერის კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ეს ისე, მეორეხარისხოვანი საქმე იყო.

ეერ-მ ყველაფერი შეცვალა. უფას ერთ კლუბში შემდგარმა დებიუტმა სენსაცია მოახდინა – ეს ქალაქში პირველი ჯგუფი იყო, რომელმაც საჯაროდ იმღერა საკუთარი სიმღერები, თან შევჩუკის პოეზიაც უჩვეულოდ გაბედულად ჟღერდა... იმხანად, 1982 წელს, მუსიკოსებმა პირველი ალბომიც ჩაიწერეს – Свинья на радуге.

ეერ რთულად იკაფავდა გზას: შევჩუკს არც საბჭოთა კომპოზიტორების შესრულება იზიდავდა და არც პროფესიულ ასპარეზზე წინსვლისთვის სავალდებულო, "იდეოლოგიურად მისაღები" ალბომის ჩაწერა. შესაბამისად, მას საკმაოდ მტრულად უყურებდნენ. მაგალითად, 1983 წელს მოსკოვში სამდღიანი ფესტივალი ჩატარდა, "როკი მშვიდობისთვის", და მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი წარმატებით გამოვიდა, ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ტელეგადაცემაში ის არ ჩაურთავთ. ასეთი შემთხვევების ჩამოთვლას არ დავიწყებთ, უხვად იყო, ერთხელ იური შევჩუკს სულაც "ვატიკანის აგენტი" უწოდეს! შევჩუკს, ცხადია, ნორმალურად მუშაობის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ კერძო ბინებში ატარებდა ხოლმე კონცერტებს – ერთი ასეთი კოცერტი, Москва. Жара ჩანაწერის სახით მთელს საბჭოთა კავშირში გავრცელდა.

მოკლედ, ეერ თავის სახელწოდებას სავსებით ამართლებდა – ნამდვილად დუსტი იყო, ფრიად ნერვებისმომშლელი და ძალიან მდგრადი ნაერთი. სწორედ ამის წყალობაა, ალბათ, რომ მას დღესაც სიამოვნებით ვუსმენთ, და არამარტო ძველ ჰიტებს, არამედ ახალ ჩანაწერებსაც – მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებულმა გასტროლებმა, უამრავმა ჩანაწერმა და თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანმა არმიამაც ვერაფერი დააკლო – ეერ კვლავ ეერ-დ რჩება.

გუშინწინ ჯგუფი თბილისს ეწვია. ჩვენთან, გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში, ფესტივალ "ვივატ სანკტ-პეტერბურგის" ფარგლებში, ის ორ კონცერტს ჩაატარებს, მერე იური შევჩუკი თავის დაბადების დღეს იზეიმებს, როგორც თვავად ბრძანა, ნამდვილ ღვინოს დალევს და ნამდვილ მწვადს შეჭამს, მერე საქართველოს გაეცნობა (სულ ოდნავ მაინც), და მერე გაემგზავრება.

მაინც უცნაური შეგრძნებაა – კაცი, რომლის გვერდითაც ვზივარ, იური შევჩუკია, მუსიკოსი-ლეგენდა, რომელსაც, რაც თავი მახსოვს, აღტაცებული ვუსმენ, რომლის სიმღერებთანაც ჩემი ცხოვრების მთელი ეტაპებია დაკავშირებული. ეწევა, ხმადაბლა ლაპარაკობს, ჩანს, საკმაოდ დაღლილია. ასე, ახლოდან, ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ მაინც ვერ დავიჯერებ, რომ მისი გამოსვლები, თავგანწირული შესრულება მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინება იყოს. თავადაც მრავალგზის უთქვამს, რომ ცდილობს ის გააკეთოს ხოლმე, რასაც ამბობს.

ერთ-ერთ ინტერვიუში იური შევჩუკი ამბობდა, რომ რუსული ჯგუფები მხოლოდ რუსეთშია საჭირო. ახლა კი თბილისში ჩამოვიდა. ჩვენ ეს ამბავი ნებისმიერ შემთხვევაში გვახარებს, მაგრამ თავისთავად საინტერესოა – რა მოხდა: ჯგუფის ლიდერს ამ საქმის მიმართ დამოკიდებულება შეეცვალა, თუ?..

- ეს მართალია – ძირითადად, მაინც რუსეთისთვის ვმუშაობთ. მაგრამ, სხვა კუთხით რომ შევხედოთ, მუსიკა ხომ ყველგან მუსიკაა. თან ძალიან გამიხარდა, როცა საქართველოში დაგვპატიჟეს...

თან საქართველოში პირველად არიან, არადა, მათი თაყვანისმცემლების რაოდენობით ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებს ნამდვილად არ ჩამოვუვარდებით, თუნდაც იმის გამო, რომ იური შევჩუკის უკომპრომისობა და მოქალაქეობრივი გამბედაობა ჩვენს ზოგჯერ უმისამართო რევოლუციურ სულისკვეთებას ძალიან ეხმიანებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი თაობა მას ლამის გმირად აღიქვამდა. არადა, - ეს ასევე ინტერვიუებიდან შევიტყვე, - იური შევჩუკი თვლის, რომ გმირები არ არსებობენ. ვითომ?

- არა, როგორ არ არსებობენ.

- აბა, უბრალოდ, ისე თქვით?

- არა. (ეწყინასავით). ისე, უბრალოდ, არასოდეს არაფერს ვამბობ. აქ სხვა ამბავია. მე ხელოვნებაში მესიანელობა არ მიყვარს. ესეც ჩემი სიტყვები არაა, ბროდსკის დავესესხე, მაგრამ ამ აზრს სავსებით ვიზიარებ. სისულელეა, როცა ერთი-ორი სიმღერა გაქვს დაწერილი და მერე სხვას ჭკუას არიგებ და ცხოვრებას ასწავლი. დაბალი დონეა, ცუდი გემოვნების ნიშანი. სადაური მესია ხარ... თორემ გმირები, რასაკვირველია, არსებობენ, აბა, როგორ იქნება. ჩემი გმირობა? არა, გმირი ნამდვილად არა ვარ (იცინის), იმედია, კიდევ ბევრი დრო დამრჩა და ბევრჯერ მოვასწრებ "ჩაჭრას". მაგრამ ვინ იცის, იქნებ ბოლოს მოვახერხო და ამბრაზურაზე დავეცე და გადავეფარო...

მე გმირობა ცოტა სხვანაირად მესმის, მაგრამ ეგ არაფერი... მრავალთათვის, და პირადად ჩემთვისაც, იური შევჩუკი მუდამ აქტუალური სიმღერების ავტორად რჩება. ასე, Не стреляй! სულაც 1981 წელსაა დაწერილი – სამწუხაროდ, მისი თემა უკვდავი აღმოჩნდა.

- ჰო, ეს კარგი სიმღერები იყო – Не стреляй, Я получил эту роль, Дождь... მაგრამ ახლებიც კარგებია.

მართლაც, როცა ეერ-ზე საუბრობენ ხოლმე, სულ საბჭოთა წლებს იხსენებენ და იმდროინდელ ეერ-ს აქებენ. არადა, იური შევჩუკი ნამდვილად არ განეკუთვნება წარსულის ხარჯზე მყოფ ხელოვანთა რიცხვს, და ასეთი მიდგომა, ალბათ, ცოტა გამაღიზიანებელი უნდა იყოს.

- ცოტა. მაგრამ ბოლო დროს მთლად ასეც აღარაა საქმე. ახალ მუსიკას ვწერთ და მასზეც ბევრს ლაპარაკობენ. აი, კონცერტი რომ იქნება, ნახავ...

აბა, რას ვიზამ! რა ხანია, ამ კონცერტს ველით – მოგეხსენებათ, აპრილში უნდა ჩატარებულიყო, მერე კი გვითხრეს, რომ ჯგუფის ლიდერი ავად გახდა და ამიტომ მაისში ჩამობრძანდებაო. კარგად დაემთხვა – ეერ-ს პირველი სტუმრობა საქართველოში და იური შევჩუკის დაბადების დღე. ისე, მართლა, დაემთხვა თუ ცოტა ჩაწყობილი ამბავი იყო?

- არა, მართლა ავად ვიყავი. ვერც ახლა ვარ მთლად კარგად, ხმა მღალატობს. ნუ გეშინია, ორ კონცერტს ნამდვილად გავქაჩავ. მაგრამ მაინც კარგია, რომ დაემთხვა. გამიხარდა.

ჩვენც გაგვიხარდა, ბატონო იურა.



იური შევჩუკი




# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# ქინქლაძე "ლივერპულში"?

## ქართველი ნახევარმცველი ჟერარ ულიესთან მოლაპარაკებას აწარმოებს




გიორგი ქინქლაძე

საინფორმაციო სააგენტო "პრაიმ-ნიუსმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გიორგი ქინქლაძე "ლივერპულთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. სააგენტოს ცნობით, ამის შესახებ გუშინ თავად ფეხბურთელმა განუცხადა ინგლისელ ჟურნალისტებს. ქინქლაძის თქმით, "ლივერპული" სამი-ოთხი ახალი ფეხბურთელის შეძენას გეგმავს და ერთ-ერთი მათგანი, შესაძლოა, თავად აღმოჩნდეს. თუ "პრაიმ-ნიუსის" ინფორმაციას ვენდობით, ქინქლაძესა და "ლივერპულის" ფრანგ მწვრთნელს, ჟერარ ულიეს შორის უკვე შედგა შეხვედრა, თუმცა, საუბრის დეტალები უცნობია.

შესაძლოა ისიც, რომ თუ ქინქლაძე ირლანდია-საქართველოს მატჩში ითამაშებს, 11 ივნისს ჟერარ ულიე დუბლინში ჩაფრინდეს და ქართველ ნახევარმცველს დააკვირდეს.

ცხადია, შევეცადეთ, ეს ინფორმაცია თავად გიორგისთან დაგვეზუსტებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დავუკავშირდით (მისი მობილური ტელეფონი გამორთული იყო).

ქართველი ნახევარმცველის კონტრაქტი მის ამჟამინდელ კლუბთან, "დერბი ქაუნთთან", 30 ივნისს იწურება. როგორც თავად ქინქლაძემ არაერთხელ განაცხადა, "ცხვრებთან" ახალი ხელშეკრულების დადებას აღარ აპირებს და სხვა კლუბზე ფიქრობს. "ლივერპული" პირველად არ ამოტივტივებულა. ინფორმაცია ქინქლაძის ამ კლუბში გადასვლის შესახებ დროდადრო ვრცელდება, შემდეგ კი, როგორც წესი, არ დასტურდება. იმის გამო, რომ გუშინ ქინქლაძეს ვერ დავუკავშირდით, არ ვიცით, რამდენად შეესაბამება ეს უკანასკნელი ცნობა სიმართლეს. თუ "პრაიმ-ნიუსს" დავეყრდნობით, თავად ქინქლაძემ განაცხადა, რომ "ლივერპულში" მისი გადასვლის საკითხი მაისის ბოლოს გაირკვევა.

## მოკლედ

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა როი კინმა იტალიურ "Gazetta dello Sport"-თან საუბარში განაცხადა, რომ კლუბის გაძლიერებისთვის ცუდი არ იქნებოდა, მომავალი სეზონისთვის გუნდს "ინტერისა" და "იუვენტუსის" ფორვარდები კრისტიან ვიერი და ალესანდრო დელ პიერო შეეძინა.

"ვიერი - ეს არის ფეხბურთელი, რომელის ხილვასაც "მანიუში" ვისურვებდი, მაგრამ დელ პიერო ამ შემთხვევაში, ალბათ, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა. იგი იდეალურად მოერგებოდა ჩვენს გუნდს", - აცხადებს "წითელი ეშმაკუნების" კაპიტანი.

გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ კინმა აღიარა, რომ გუნდს ჰაერივით სჭირდება შემადგენლობის გაძლიერება, თუ, რა თქმა უნდა, კლუბს ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს.

■ ■ ■

იაპ სტამის აგენტის ერნესტო ბრონზეტის განცხადებით, მისი კლიენტით მადრიდის "რეალია" დაინტერესებული. "სამეფო კლუბს", ჰოლანდიელის გარდა, შესაძენთა სიაში ჰყავს "რომას" მცველი ვალტერ სამუელიც.

"იუვენტუსთან" მარცხის შემდეგ ესპანურმა პრესამ დელ ბოსკე დაცვის ხაზის უნიათობის გამო კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან იეროს, ელგერასა და რობერტო კარლოსის თამაშით. ადვილი შესაძლებელია, იეროს ადგილი სტამმა ან სამუელმა დაიკავოს.

■ ■ ■

დანიის ჩემპიონის "ბრონდბიუს" ხელმძღვანელობამ კიდევ ორი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი კლუბის მთავარ მწვრთნელს მიხაელ ლაუდრუპს. კლუბის ოფიციალური განცხადებით, ლაუდრუპი მწვრთნელის თანამდებობაზე 2006 წლის ივნისამდე დარჩება.

"ბედნიერი ვარ, ვიყო "ბრონდბიუს" მწვრთნელი. ამიტომ, ვერ ვხედავ მიზეზს, რომ კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი ვთქვა", - განაცხადა ლაუდრუპმა, რომელმაც სწორედ ამ კლუბში დაიწყო თამაში. 1982 წელს კი კლუბიდან წავიდა და "იუვენტუსში", "ბარსელონაში", "რეალსა" და "აიაქსში" გააგრელა თამაში.

## TV-სპორტი

პარასკევი. 16 მაისი

**НТВ + ФУТБОЛ**

05:35 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "პაისანდუ" (ბრაზილია) - "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა). საპასუხო მატჩი. პიდაპირი ტრანსლაცია
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "პაისანდუ" (ბრაზილია) – "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა). საპასუხო მატჩი.
15:05 "Football Mundial"
15:35 იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
16:30 "დარტყმა გოლისთვის"
16:45 "გასული კვირის ჰიტ-პარადი"
18:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:20 "გასული კვირის ჰიტ-პარადი"
20:55 "პოსტსკრიპტუმი"
21:25 სერია A. 33-ე ტურის წინ
21:55 მოლდავეთის ჩემპიონატი. "შერიფი" - "ზიმბრუ". პირდაპირი ტრანსლაცია
23:50 "გაიტანე"!
00:05 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "პაისანდუ" (ბრაზილია) - "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა). საპასუხო მატჩი.
01:50 ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**

04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
11:00, 14:00, 16:40, 20:00, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:45 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი.
14:15 NBA მიმოხილვა
14:40 პოკერი. "One Million Poker-2003". მე-6 ნაწილი
15:20 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
15:50 ბოულინგი. PBA Tour
16:55 ტაილანდური კრივი
17:50 "NHL პლუს"
18:00 ჩოგბურთი. "Masters Series". მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია ჰამბურგიდან
20:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
20:45 "ფარი და ბურთი"
21:30 "სპორტული გლობუსი"
22:30 ჩოგბურთი. "Masters Series". მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია ჰამბურგიდან
00:15 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. შესვენებისას (01:00) ახალი ამბები

**EUROSPORT**

11:30 გოლფი. სპეციალური მიმოხილვა
12:30 ჩოგბურთი. WTA. რომი. მე-4 დღე
13:30 მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი
14:30 ფეხბურთი. U-17 ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალები
16:00 ჩოგბურთი. WTA. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია რომიდან
19:00 ველორბოლა. ჯირო დ`იტალია. მე-6 ეტაპი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:45 ჩოგბურთი WTA. რომი
23:00 ფორმულა. ავტოსპორტული ჟურნალი
23:30 რალი. არგენტინა. მიმოხილვა
00:30 სუპერბოლის უიკ-ენდი. ჟურნალი
01:45 კრივი. სპეციალური გამოშვება
03:15 სერიები. ავტომოტოსპორტული ჟურნალი
03:45 ექსტრემალური სპორტის სახეობები

# იტალიური ფეხბურთი ფერფლიდან აღდგა

## ზინედინ ზიდანი: "ფინალში "იუვეს" ვუქომაგებ!"

ნინო პირველი

ტურინი სამი წლის განმავლობაში ამაოდ ელოდა 14 მაისის ჯადოსნურ ღამეს. მძაფრი განცდების მოყვარულ იტალიელ ტიფოზებს სამი სეზონის მანძილზე უდიდესი იმედგაცრუების გადატანა უხდებოდათ: "იუვენტუსი", "მილანი", "რომა", "ლაციო". სერია A-ს ვერც ერთი გრანდი ჩემპიონთა ლიგაში მეოთხედფინალამდეც კი ველარ აღწევდა, იტალიური ფეხბურთის ამბიციები და ოცნებები ჯგუფური ეტაპის პირველ ან მეორე წრეში იფერფლებოდა და ევროპული ფეხბურთის უმნიშვნელოვანესი ჯილდოსთვის ბრძოლა სერია A-ს კლუბების გარეშე გრძელდებოდა. "რეალი", "მანჩესტერი", "ბაიერნი", "ვალენსია", "ბაიერი". ფინალში გადიოდნენ ესპანელები, ინგლისელები, გერმანელები. იტალიელები კი, მეჯლისზე დაუპატიჟებელად მისული პლებეების მსგავსად, შორიდან შესცქეროდნენ არისტოკრატთა ჭრელ მასკარადს და იმ დღეზე ოცნებობდნენ, როცა ჩამქრალი იტალიური "კალჩო" ძალებს მოიკრებდა და ცეცხლში ჩამწვარი ფენიქსივით ფერფლიდან აღდგენილი მოევლინებოდა იტალიურ სტილს გადაჩვეულ საფეხბურთო ევროპას.

ეს საოცარი დღეც დადგა - იტალიელები ისევ საუკეთესონი არიან მთელ ევროპაში. 28 მაისს "მანჩესტერ იუნაიტედის" "ოლდ ტრაფორდზე" სწორედ ისინი ითამაშებენ და არა "სამეფო კლუბად" წოდებული მადრიდის "რეალი" ან მასპინძელი "მანჩესტერი". როგორც უნდა ამტკიცონ ესპანური ფეხბურთის ფანებმა, იტალიელები ანტიფეხბურთს თამაშობენო, როგორც უნდა აკრიტიკონ დაცვაზე ორიენტირებული "ინტერი" და "მილანი", იმ ფაქტს ვერავინ ვერსად გაექცევა, რომ მიმდინარე სეზონში სერია A-ს გრანდებმა ევროპული კრიზისი დაძლიეს და ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფით დაბრუნდნენ. წარმოგიდგენიათ, რა სურათი შეიქმნებოდა, "ლაციოს" რომ "პორტოსთან" არ წაეგო და უეფა-ს თასის ფინალში გასული ყო? სრული "იტალიანიზაცია" აბა მაშინ ინქნებოდა, თუ იქნებოდა! თუმცა, იტალიელი ტიფოზები არც ახლა უჩივიან ბედს - ჩემპიონთა ლიგის ფინალი ხომ აბსოლუტურ "კოზა ნოსტრად" იქცა. ეს მაფიოზური "ჩვენი საქმე" "იუვენტუსმა" და "მილანმა" ფეხბურთშიც გადმოიტანეს. დღეს იტალიელებისთვის ლიგა უკვე წმინდა წყლის "ჩვენი საქმეა". 28 მაისს მანჩესტერში არავის აღარაფერი ესაქმება, ლიგის თასის ახალი მფლობელის ვინაობა უშუალოდ იტალიური "საქმის გარჩევისას" გაირკვევა.

ოთხშაბათის მატჩში "იუვენტუსი" იმდენად კარგად თამაშობდა და "რეალი" იმდენად უსახური იყო, რომ მატჩის შემდეგ გაოგნებულ ესპანელებს ისღა დარჩენოდათ, ქათინაურები მიეძღვნათ გახარებული მასპინძლებისთვის, რომელთაც დამსახურებულად მოიპოვეს მანჩესტერში გამგზავრების უფლება. ხუმრობა ხომ არ არის, სამი გოლი გაუტანო კლუბს, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება! მართალი აღმოჩნდა ის, ვინც ფიქრობდა, რომ "იუვეს" უფრო მეტი მოტივაცია და ჟინი ჰქონდა, ვიდრე "რეალს". მადრიდელებს თითქოს აღარც



REUTERS

ალესანდრო დელ პიერო "რეალის" კარში გატანილი გოლის შემდეგ

კი უნდოდათ სამ წელიწადში მესამე ფინალში თამაში, ისე ინერტულად და დაფანტულად გამოიყურებოდნენ. დროებითი ჩავარდნა, ალბათ, ყველა გუნდისთვის საჭიროა, რათა შემდეგ ფეხბურთელები ტრიუმფალური დაბრუნების სურვილმა მოიცვას და იმ შემართებით ითამაშონ, რამაც 14 მაისს "იუვე" ფინალში გაიყვანა. ტურინელებს იმ საღამოს სიგიჟემდე უნდოდათ მოგება და მოიგეს კიდეც. მთავარი ხომ სწორედ მონდომებაა.

მაგრამ იმ დღეს ტურინში მხოლოდ ზეიმი არ ყოფილა, ცრემლებიც იყო... ბავშვივით ტიროდა პაველ ნედვედი და მისი დამშვიდება არავის შეეძლო, არავის დედამიწის ზურგზე. სტივ მაკმანამანის წაქცევის გამო აკიდებული სულელური ყვითელი ბარათი ჩეხი ნახევარმცველისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო. ის ხომ ასე ოცნებობდა ლიგის თასზე, ფინალზე, რომელიც მის გარეშე ჩაივლის. არადა, რაოდენ დიდია ნედვედის წვლილი იმაში, რომ დღეს "იუვე" ფინალისტია! რას ერჩოდი "მაკას," პაველ? ის ხომ მოედნის ცენტრში იყო და არც კი ფიქრობდა, ბუფონის კარისთვის ხიფათი შეექმნა? რატომ ჩაუვარდი ფეხებში? არ იცოდი, რომ ასე სასტიკად დაგსჯიდნენ და კარიერის უმნიშვნელოვანეს მატჩს წაგართმევდნენ? არა, თურმე არ ეგონა ნედვედს, რომ ასე გაიმეტებდა შვეიცარიელი რეფერი ურს მაიერი: "დაღლილი ვიყავი და ველარ გავაცნობიერე, რას ვაკეთებდი. დიდი უხეშობა სულაც არ ყოფილა, უკნიდან ფეხებში ნამდვილად არ ჩამირტყამს მაკმანამანისთვის. მსაჯმა ყვითელი ბარათი იმიტომ მიჩვენა, რომ "რეალის" ფეხბურთელები მოითხოვდნენ ამას. გაფრთხილებას არ ვიმსახურებდი. ახლა კი, ამ უაზრო შეცდომის გამო ფინალი უნდა გამოვტოვო. მთელი ცხოვრება ამ დღეზე ვოცნებობდი, 28 მაისს კი შორიდან უნდა ვუყურო თამაშს. ჩემს მეგობრებს შესწევთ თასის მოგების ძალა. მჯერა, რომ ისინი მანჩესტერში გაიმარჯვებენ და მე უდიდეს საჩუქარს მომიძღვნიან", - სევდიანად განაცხადა თვალებდაწითლებულმა ნედვედმა.

მარჩელო ლიპი დინჯად აბოლებდა სიგარას და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მისი კლუბისთვის დიდი არაფერი იყო "რეალის" დამარცხება, მაგრამ "იუვეს" თავკაცის თვალებში გამკრთალი სიხარულის ნაპერწკალი და ღიმილი უსიტყვოდ ლაღადებდა ყველაფერზე - ლიპი ბედნიერი იყო: "დარწმუნებული ვიყავი, "იუვეს" შეეძლო "რეალის" დაძლევა. ჩვენ ბევრი კარგი მომენტი შევქმენით და სამი გოლი გავიტანეთ. ჩაკეტილი თამაში არ ყოფილა, იმის მიუხედავად, რომ პირველი მატჩი 1:2 წავაგეთ და ერთ გოლსაც კი შეიძლება ფინალს მიღმა დავეტოვებინეთ. გული მტკივა, რომ პაველი ფინალში ვერ ითამაშებს. მანჩესტერში ფავორიტი არ იქნება. "მილანს" ბევრჯერ დავუმარცხებივართ, მაგრამ არც ჩვენ დავრჩენილვართ ვალში", - თქვა ლიპიმ.

ტურინელთა სიმპათიური კაპიტანი ალექს დელ პიერო, როგორც ყოველთვის, ახლაც თავმდაბლობის განსახიერება იყო და მორცხვად ილებდა ქათინაურებს: "შეიძლება ითქვას, რომ გაგვიმართლა კიდეც, მაგრამ ფორტუნა დაუმსახურებლად არაფერს არიგებს. სუსტად რომ გვეთამაშა, იღბალი ვერაფერს გვიშველიდა. ჩემი გოლი? ძალიან მიხარია, რომ გავიტანე. ამბობენ, ლამაზი გოლი იყოო. არ ვიცი, ალბათ, კიდევ ერთხელ ვნახავ ვიდეოჩანაწერზე. მინდა, მანჩესტერშიც გავიტანო ასეთი გოლი", - ოცნებას მიეცა "პინტურიკიო".

ვინსენტე დელ ბოსკე მხრებში ოდნავ მოხრილი, შემცბარი, დაღონებული. მისი სუპერგუნდი ფინალში ვერ გავიდა... ვინ წარმოიდგენდა ამას! "სამეფო კლუბის" თავკაცი უაღრესად დათრგუნულია, მაგრამ მაინც პოულობს იმდენ ძალას, რომ მოზეიმე ტურინელებს გამარჯვება მიულოცოს: "ორი შესანიშნავი მატჩი ჩავატარეთ. ჩვენც შეგვეძლო ფინალში გასვლა და "იუვესაც", მაგრამ ტურინელებმა უფრო მეტი მონდომებით და ჟინით ითამაშეს და მოგვიგეს. გუნდი, რომელიც ორ ასეთ რთულ მატჩს გამართავს და გაიმარჯვებს, მხოლოდ ქების ღირსია. ვულოცავ ტურინელებს და ფინალში წარმატებას ვუსურვებ", - ღირსეულად შეხვდა მარცხს დელ ბოსკე.

ყოფილ თანაგუნდელებს ზიდანმაც მიულოცა. ან კი სხვა რა გზა ჰქონდა. "ნახევარფინალში იგებს ის, ვინც უფრო ძლიერია. "იუვე" დღეს ძალიან ძლიერი იყო. შესანიშნავად ითამაშეს. მატჩის დაწყების წინ ყველა ფეხბურთელს გადავეხვიე. მათთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს. ტიფოზებიც პატივს მცემენ. ძალიან გამიხარდა, როცა "იუვეს" ფანებმა სტვენა არ დამიწყეს. ფინალში "იუვენტუსს" ვუქომაგებ", - თქვა "ზიზუმ".

რონალდომ, კი, რომელსაც ტრავმის მოშუშება არ აცალეს და, რაულის მსგავსად, საავადმყოფოდან ახლად გამოსული წაიყვანეს ტურინში, სევდიანად შენიშნა: ფიგუს რომ ის პენალტი გამოეყენებინა, იქნებ მატჩი სულ სხვანაირად წარმართულიყოო. შესაძლოა, ასეც მომხდარიყო, მაგრამ ფიგუმ ვერ დაარტყა, ბუფონი მასზე უფრო მობილიზებული აღმოჩნდა და "იუვე" ფინალში გავიდა. ახლა რონალდოს, ზიდანს და რობერტო კარლოსს, ანუ "რეალის" იმ ვარსკვლავებს, ვინც ადრე სერია A-ში თამაშობდა, ისღა დარჩენიათ, "იუვეს" უქომაგონ და ფინალის მერე თავი იმით დაიმშვიდონ, რომ 14 მაისს "დელე ალპიზე" ევროპის უძლიერეს გუნდთან დამარცხდნენ.

# რონალდო: "თითქოს მოგვატყუეს"

*ცხადია, ვიცოდით, რომ შინ 2:1 გამარჯვების შემდეგ ტურინში "რეალს" უმძიმესი ბრძოლა ელოდა, თუმცა, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ მატჩის 73-ე წუთზე ანგარიში 3:0 იქნებოდა "იუვენტუსის" სასარგებლოდ. ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი "რეალი" ტურნირს გამოეთიშა და ამ მარცხის გაანალიზების დროც დადგა. გთავაზობთ ორივე გუნდის მწვრთნელებისა და ფეხბურთელების კომენტარებს, რომლებიც მათ მატჩის შემდეგ გააკეთეს.*

**იუვენტუსი**

**მარჩელო ლიპი (მწვრთნელი):** "ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ფინალში გავედით, მაგრამ სამწუხაროა, რომ ნედვედი ვერ ითამაშებს. ყვითელი ბარათის აკიდება არ იყო საჭირო, თუმცა, ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში ძნელია ცივი გონებით აზროვნება. 3:0-ის შემდეგ პაველის შეცვლა შემეძლო, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, თუ რა ხდებოდა მატჩის ბოლოს. "რეალს" რამდენიმე წუთში შეუძლია 2-3 გოლის გატანა. წლევანდელ სეზონში იტალიურმა ფეხბურთმა უდიდეს შედეგს მიაღწია. ჩვენ კვლავ ევროპული ფეხბურთის სათავეში ვართ".

**უმბერტო ანელი (დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე):** "ამ შედეგისთვის ფეხბურთელებს მადლობა უნდა გადავუხადოთ. "იუვენტუსმა" ესპანელ გულშემატკივარსაც კი დაუბრუნდა იტალიური ფეხბურთის რწმენა".

**პაველ ნედვედი:** "ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაში ჩემი ცხოვრების მთავარი ოცნება იყო. მეორე მხრივ, ბედნიერი ვარ, რომ "იუვენტუსმა" გაიმარჯვა. მანჩესტერში ვერ ვითამაშებ. ეს ძალიან ძნელი იქნება ჩემთვის, თუმცა, ტრიბუნაზე ბევრად უფრო მეტს ვინერვიულებ, ვიდრე მოედანზე. ვფიქრობ, "იუვენტუსი" ჩემპიონთა თასს მოიგებს".



REUTERS

"მოტყუებული" "რეალი"

**ალესანდრო დელ პიერო:** "ჩემს მიერ გატანილი გოლი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რადგან იმ დროს "რეალი" ძალიან აქტიურობდა. მხოლოდ ასე შეგვეძლო ფინალში გასვლა, რადგან მადრიდელები 3:0-ის შემდეგაც კი გვიტევდნენ. გულწრფელად რომ ვთქვა, ფინალში გასვლა "რეალსაც" შეეძლო".

**ჯანლუიჯი ბუფონი:** "მიხარია, რომ იტალიურ ფეხბურთს წარმატება დაუბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ, ბოლოს მაინც გვემუქრებოდა საფრთხე. გული მწყდება ნედვედის გამო, თუმცა, ასეთ მატჩებში შეცდომებისგან არავინ არ არის დაზღვეული".

**რეალი**

**ვისენტე დელ ბოსკე (მწვრთნელი):** "ვფიქრობ, ნახევარფინალში გასვლა კარგი შედეგია. გუნდი უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა და ტურნირს თავაწეულები ვემშვიდობებით. ჩვენ კარგი მეტოქე გვყავდა, ფინალში გასვლის შანსიც გვქონდა, თუმცა, ასე არ მოხდა. ჩვენი მარცხი მხოლოდ დაცვის ბრალი არ არის. მატჩს მთელი გუნდი აგებს. ცუდია თუ კარგია, ეს ჩვენი დღე არ იყო. ჩვენმა გულშემატკივრებმა უნდა იამაყონ იმ წარმატებებით, რომლებსაც უკანასკნელ წლებში ევროასპარეზზე მივაღწიეთ".

**რონალდო:** "ეს ფანტასტიკური მატჩი გახლდათ. "იუვენტუსი" აქტიური იყო, ჩვენს დაცვას კი პრობლემები ჰქონდა. მაგრამ ჩვენ გვქონდა კარგი შანსი - ფიგუს რომ პენალტი გაეტანა... ან კიდევ რაულის თავური დარტყმა. შეიძლებოდა, უკანასკნელ მომენტში ყველაფერი პირიქით შემოტრიალებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. გუნდმა თავგანწირვით ითამაშა. ცოტა მეტი იღბალი და შედეგი სხვა იქნებოდა. ჩვენ ცუდი დღე გვქონდა, თუმცა, ახლა თავი უნდა ავწიოთ და ესპანეთის ჩემპიონატში ლიდერობის დასაბრუნებლად ვიბრძოლოთ. ვფიქრობ, ჩემი წაქცევისთვის მონტერო მოედნიდან უნდა გაეძევებინათ, რადგან ეს ასპროცენტიანი საგოლე მომენტი იყო. ეს გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენთვის. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩვენ, ყველა, მოგვატყუეს, რადგან წაგებას არავინ ელოდა".

**ზინედინ ზიდანი:** "მარცხი ლოგიკურია, რადგან ორი მატჩის ჯამში "იუვენტუსი" უკეთესი იყო. პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მეორე ტაიმში ოდნავ უკეთესად, თუმცა, ეს საკმარისი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ მანჩესტერამდე მხოლოდ ერთი ბურთი დაგვაკლდა".

**რობერტო კარლოსი:** "ჩვენ ვიბრძოდით, მაგრამ პენალტის გატანა ვერ მოვახერხეთ. 2:0-ის შემდეგ ინიციატივას ვფლობდით, თუმცა, "იუვენტუსისგან" განსხვავებით, იღბალი არ გვქონდა. მათ ოთხი მომენტი ჰქონდათ და სამი გოლი გაიტანეს. სულ პატარა იღბალიც რომ გვქონოდა, შედეგი სხვაგვარი იქნებოდა. მხოლოდ ფიგუს პენალტს არ ვგულისხმობ, სხვა მომენტებიც გვქონდა. გასახდელში ყველანი ჩვენს შეცდომებზე ვფიქრობდით, ყველაფერს ვაანალიზებდით, რათა მსგავსი რამ მომავალში აღარ დაგვემართოს. "იუვენტუსს" ბედმა გაუღიმა. არ ვფიქრობ, რომ ორი მატჩის ჯამში იტალიელებმა გვაჯობეს".

**იკერ კასილიასი:** "მათ გაუმართლათ, რომ სწრაფი გოლი გაიტანეს. ამის გამო იძულებული ვიყავით, შეგვეტია. შედეგად მეორე ბურთი მივიღეთ საკუთარ კარში. ფიგუს გამოუყენებელმა პენალტმა საქმე გაგვირთულა. ზიდანის გოლის შემდეგ იმედი დაგვიბრუნდა, თუმცა, ძალიან ცოტა დრო გვრჩებოდა. ეს ყველაფერი საშინლად გულდასაწყვეტია, თუმცა, სასოწარკვეთილებას არ უნდა მივეცეთ, რადგან ესპანეთის ჩემპიონატში მნიშვნელოვანი მატჩები დაგვრჩა. ჩვენ ხომ ლიდერს სულ ერთი ქულით ჩამოვრჩებით".

*კალათბურთი*

# რეი ალენი ნამდვილი ჯენტლმენია

კახა ფაჩუაშვილი

**დეტროიტი 78:77 ფილადელფია**
*(სერიის ანგარიში 3:2)*

კაცმა რომ თქვას, რა კავშირი უნდა ჰქონდეს რეი ალენს დეტროიტთან ან ფილადელფიასთან. ის ხომ სიეტლელი "სუპერმზეების" შემტევი მცველია, თანაც, კარგი მცველი. ჰოდა, ამ კარგი მცველობისა თუ ადამიანობისთვის მას ჯო დუმარსის სახელობის ჯენტლმენის პრიზი გადასცეს. ეს ჯო დუმარსი ფრიად მოწესრიგებული და პატიოსანი კალათბურთელი იყო. მოედანზე სანიმუშო ქცევით გამოირჩეოდა და ამერიკელებმაც სანიმუშო ქცევისთვის დაწესებულ ჯენტლმენის პრიზს ჯო დუმარსის სახელი უწოდეს.

ჯენტლმენის ჯილდო თავის დროზე ბევრ დიდ კალათბურთელს მიუღია, ამიტომ რეი ალენიც სიამაყით შეხვდა ამ აღიარებას. "ყოველთვის ასე ხდება. ვილაცას უყვარხარ, ვიღაცა ვერ გიტანს. შენ კი, უბრალოდ, უნდა იყო ის, ვინც ხარ. ვინც უნდა იყოს შენი მეტოქე, მატჩის დროს რუდუნებით უნდა იშრომო, ცხოვრებაში კი მეგობრად დარჩე. თუ ასე მოიქცევი, გუნდისა და მსაჯების პატივისცემას არასოდეს დაკარგავ", - დაასრულა ფილოსოფიური გამოსვლა რეი ალენმა, რომელმაც კონკურსის ფინალურ სტადიაში ნიუიორკელ ალან ჰიუსტონს, ახალორლეანელ პი ჯეი ბრაუნსა და დალასის მცველს მაიკლ ფინლის აჯობა.

არა! ნამდვილად უცნაური ხალხია ეს ამერიკელები. დროს უქმად არ კარგავენ. ვიდრე დეტროიტში "პისტონსი" "ფილადელფიას" ებრძოდა, წლის ჯენტლმენის ვინაობა გამოავლინეს. ახირებული ამერიკელები რომ არა, ეს მოვლენა საერთოდ არ მოექცეოდა ჩვენი ყურადღების სფეროში. ამერიკელებისთვის კი რეი ალენის ჯენტლმენად აღიარება მნიშვნელოვანი ფაქტია და რადგან მნიშვნელოვანია, ჩვენც ორიოდე სიტყვა შევაწიეთ. რაკი რეი ალენის გმირობა გამცნეთ, მკითხველის ყურადღება დეტრიოტ- ფილადელფიის მატჩზეც შევაჩეროთ, სადაც, მართლაც, უკომპრომისო პაექრობა მიმდინარეობს. ალენ აივერსონი ბენ უოლასის წინააღმდეგ - პირობითად ასე შეიძლება დავახასიათოთ აღმოსავლეთ კონფერენციის ეს ნახევარფინალური სერია.

დეტროიტმა მეხუთე შეხვედრა ერთი ქულის სხვაობით - 78:77 მოიგო და ფინალამდე ერთი ნაბიჯი აშორებს. ეს იყო ნერვების წყვეტისა და გამოუყენებელი ტყორცნების ბრძოლა და უცნაურადაც დასრულდა. მატჩის დამთავრებამდე 9 წამით ადრე ფილადელფიელმა ერიკ სნოუმ სამქულიანი ჩააგდო და "სიქსტერსი" დაწინაურდა - 77:76. ფილადელფიას რომ ეს ანგარიში შეენარჩუნებინა, სერიაში აუცილებლად საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებდა, რადგან პლეი-ოფში დეტროიტმა სტუმრად 15-დან მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და ძნელი სავარაუდო იქნებოდა, რომ თავის მეორე გამარჯვებას "პისტონსი" სწორედ დეტროიტში მოიპოვებდა, ისიც უმნიშვნელოვანეს, გადამწყვეტ შეხვედრაში.

ასეა თუ ისე, მოვლენები მაინც საპირისპიროდ განვითარდა. საპასუხო შეტევისას ჩაკი ეტკინსმა იყოჩაღა. მხნედ წავიდა სტუმართა ფარზე და შეხვედრის დამთავრებამდე ერთი წამით ადრე ტყორცნა. არბიტრმა შენიშნა, რომ დერიკ კოულმენმა ტყორცნა მაშინ დაფარა, როცა ბურთს ფარზე რკალი უკვე შემოეხაზა, ამიტომ ორი ქულა და, ამასთან, დეტროიტის გამარჯვებაც დააფიქსირა.

ფილადელფიისთვის ეს ეპიზოდი აგონიას ჰგავდა. სტუმრებმა, ალბათ, კარგად გააცნობიერეს, რომ ამ მოგების შემდეგ დეტროიტს სერიაში გამარჯვების რეალური შანსი გაუჩნდა. "პისტონსს" აღმოსავლეთ კონფერენციაში საუკეთესო დაცვა ჰყავს, ფილადელფიას კი - ალენ აივერსონი, მაგრამ სტუმართა ლიდერი მასპინძლებმა საიმედოდ ჩაკეტეს. აივერსონმა მხოლოდ 14 ქულას, 9 გადაცემას, 8 მოხსნასა და 4 ჩაჭრას მოუყარა თავი, მაგრამ "სიქსტერსისთვის" თავისი ლიდერის გარჯა თუ წარმატებული თამაში, საბოლოოდ მოჩვენებითი აღმოჩნდა. ბენ უოლასის ანგარიშზე 6 ქულა, 17 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 3 დაფარებაა.


*ჩაკი ატკინსისა და აარონ მაკკის დუელი*

REUTERS

*Giro d'Italia*

# აღლუმების დრო მთავრდება

ირაკლი ბერიაშვილი

კიდევ ერთი ეტაპი და ლიდერის ვარდისფერ მაისურას ფასი დაედება. მეშვიდე ეტაპიდან მთები იწყება. საერთო ჩათვლის სიის ზედა ნაწილი, ახლა ძირითადად სპრინტერებს რომ უჭირავთ, ერთბაშად შეიცვლება. აქ იმათი გვარები გაჩნდება, ვისაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის შნო და სურვილი აქვს. შანსებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. კაცმა არ იცის, ვინ რა მიზნით და როგორ ემზადებოდა ჯიროსთვის. ზოგისთვის ეს ტურ დე ფრანსის წინ გენერალური რეპეტიციაა, ზოგისთვის - სეზონის მთავარი სამიზნე. ზოგისთვის უკვე გაიარა სპორტული ცხოვრების პიკმა, ზოგი ახლაღა იწყებს აღმასვლას. მარჩიელობა სპორტში და, თანაც, ისეთ ტურნირში, როგორიც ჯიროა, უმადური საქმეა. მთები საცქერად არის ლამაზი, თორემ ხანდახან ისეთ ფოკუსს გამოაგდებს, ვერც წარმოიდგენ. ბევრი, ძალიან ბევრი ფავორიტი გამტყდარა მათთან ბრძოლაში, ბევრს გაუვლია მშვიდობიანად ოთხი-ხუთი მთიანი ეტაპი და მეექვსეზე წაუმტვრევია კისერი. მარათონში ის მაინც არის ცნობილი, რომ კრიზისი ოცდამეცამეტე კილომეტრზე დგება. ჯიროში, ტურზე და ვუელტაზე კი არასოდეს არ იცის არც მწვრთნელმა და არც სპორტსმენმა, როდის და სად დადგება ეს წუთი. წუთი, როდესაც ნებისყოფაცა და ძალაც ერთბაშად ტოვებს კაცს და აქამდე ოფლით ნაშრომი და ნაშოვნი წყალში ეყრება.

მოკლედ, მეშვიდე ეტაპი ის ეტაპია, რომელშიც საფუძვლიანად დაიწყება თეთრისა და შავის ერთიმეორისგან გარჩევა, როცა თექვსმეტკილომეტრიან ტერმინილოს მიახლოებულ პელოტონში საოცარი ცვლილებები მოხდება, ზუსტად ისეთი, რევოლუციებმა რომ იცის: წინანი - უკან და უკანანი - წინ. ისინი, ვინც აქამდე აღლუმებზე ცეკვა-ცეკვით ჩავლილ ცხენ-კაციანად მორთულ-მოკაზმულ მხედართმთავრებს ჰგავდნენ, მორჩილად გადგებიან ჩრდილში და თავის ადგილს იმათ დაუთმობენ, ვისთვისაც პირენეებისა და ალპების ულელტეხილებთან ბრძოლაა ცხოვრების არსი, ვისთვისაც აქ მთავრდება ერთფეროვანი და მოსაწყენი დღეები და იწყება სიცოცხლე. ვარსკვლავბიჭუნებს აქ აღარაფერი ესაქმებათ, ტერმინილო და მისთანანი კაცების საკეთებელი საქმეა და კაცებივე მოუვლიან.

კი მაგრამ, სხვები?

სხვები სხვადასხვაგვარად მოიქცევიან - ზოგისთვის სწორედ აქ, ამ საშინელი მთის ძირში დამთავრდება დიდი გასეირნება, ზოგიც მთაში წასულებს გაჰყვება - ერთნი ცნობისმოყვარეობის, მეორენი კი იმის გამო, ცალი თვალითა და შორიდან მაინც იხილონ ლეგენდად გაგონილი ამბები, იმის გამო, რომ ფრთხილად და მორიდებით მაინც გაიარონ ანკეტილების, მერქსების, ინდურაინების ნაკვალევზე.

**ნინო პრიმა**

მეხუთე ეტაპი საოცარი ექსკურსიაა სიცილიაზე. პელოტონი მესინიდან კატანიისკენ მიემართება და გზად არაერთ პატარა სიცილიურ ქალაქსა და დასახლებას გაივლის. მნიშვნელოვან საპორტო და სავაჭრო ქალაქ მესინას სიცილიის საზღვაო ჭიშკარს უწოდებენ. მესინიდან გასული სპორტსმენები ტირენის ზღვის პატარა ქალაქების შემდეგ მიადგებიან კასტრორეალე ტერმეს, რომელიც იტალიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბალნეოლოგიური კურორტია. მონაწილეებს წინ ჯარესა და აჩირელას მონაკვეთები ელით. იონიის ზღვას უცებ მთები ცვლის, წინ კი ვულკანი ეტნა და მის ძირში გაშენებული ქალაქი კატანიაა. აქ ჯიროს არაერთხელ ჰქონია ფინიში. 1930 წელს მიკაელ მარამ გაიმარჯვა, 1949 წელს - მარიო ფაციომ, 1976-ში - სერკუმ, 1986 და 1989 წლებში - ვან პოპელმა, 1999 წელს კი მარიო ჩიპოლინი იყო პირველი.

**ფლავიო კარბონე**

სამუშაო ცოტა გვაქვს. მართალი გითხრათ, არ მიყვარს პელოტონიდან გაქცეული მეტიჩარა ხალხის დევნა. წლეულს საოცრად წყნარი ეტაპებია. არა, გაქცევით კი გარბიან, მაგრამ მალევე მოსწყდებათ ხოლმე ყინწი. ასე რომ, სანამ მთები დაიწყება, შემიძლია ვთქვა, რომ კურორტზე ვარ. გზა ერთთავად ზღვის სანაპიროს მიუყვება, საღამოობით ბანაობას ვასწრებთ. მეშვიდე ეტაპიდან კი ნაღდად მოგვემატება საქმე. ყველაზე საშინელი გადარეული ფანებით გაჭედილი აღმართებია, პირდაპირ ბორბლებში გიცვივდებიან. თუმცა, რა იტალიელები, ფრანგებიც ეგეთი დარეხვილები არიან...

"ჩიპო" შემეცოდა ძალიან. ისევ წააგო და ისევ პეტაკისთან. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ახლა პირიქით აეწყო ყველაფერი - ფინიშისკენ პირველი პეტაკი გაიჭრა, "ჩიპო" კი ბორბალში ჩაუჯდა. ვიფიქრე, რევანშს აიღებს-მეთქი. არ გამოვიდა. ნამდვილად ცუდი ამბავი მოხდა - ამ ორმაგმა დამარცხებამ შეიძლება ფსიქოლოგიურად გატეხოს. ვნახოთ.

**ირაკლი**

ასე სევდიანად დასრულდა მეხუთე ეტაპი. თუმცა, მარიო ჩიპოლინის ქომაგებისთვის იყო სევდიანი, თორემ სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა. ალესანდრო პეტაკიმ კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა და ვარდისფერი მაისურა, სავარაუდოდ, შაბათამდე მაინც ეცმევა. დანამდვილებით გეტყვით, რომ მეშვიდე ეტაპის ფინიშზე ეს ფერი სულ სხვას დაამშვენებს. ჩემი აზრით, უფრო ღირსეულს.


*ალესანდრო პეტაკი და მარიო ჩიპოლინი*

REUTERS

**ტექნიკური შედეგები**
**V ეტაპი.**
**მესინა - კატანია. 176 კმ.**

**1. ალესანდრო პეტაკი ("ფასა ბარტოლო", იტალია) - 4 სთ. 54 წთ. 43 წმ.**
**2. მარიო ჩიპოლინი ("დომინა ვაკანცე", იტალია) - იგივე დრო.**
**3. ბერნარდ ეიზელი (FDJ, ავსტრია) - იგივე დრო.**

**საერთო ჩათვლა**
**1. ალესანდრო პეტაკი ("ფასა ბარტოლო", იტალია) - 22 სთ. 31 წთ. 44 წმ.**
**2. სტეფანო გარძელი ("კალდიროლა", იტალია) - +49 წმ.**
**3. ფრანჩესკო კასაგრანდე ("ალესიო", იტალია) - +59 წმ.**
**..................**
**5. ჯილბერტო სიმონი ("საეკო", იტალია) - +1 წთ. 04 წმ.**
**..................**
**11. მარკო პანტანი ("მერკატონე უნო", იტალია) - +1 წთ. 16 წმ.**
**..................**
**26. აიტორ გონზალესი ("ფასა ბარტოლო", ესპანეთი) - +1 წთ. 30 წმ.**
**..................**
**32. რაიმონდას რუმსასი ("ლამპრე", ლიტვა) - +1 წთ. 37 წმ.**
**33. დარიო ფრიგო ("ფასა ბარტოლო", იტალია) - +1 წთ. 37 წმ.**
**..................**
**36. პაველ ტონკოვი (CCC-პოლსეტი, რუსეთი) - +1 წთ. 37 წმ.**

*ფორმულა 1*

# გრან-პრი შესაძლოა ავსტრიაში დაბრუნდეს

ავსტრიის გრან-პრი ფორმულა 1-ში 1997 წელს გამოჩნდა. წლეულს კი შეიძლება უკანასკნელად გაიმართოს, რადგან მომავალ სეზონში ავსტრიაში რბოლა ნამდვილად არ ჩატარდება. ამას საფუძვლად დაედო ავსტრიის ხალისუფლების გადაწყვეტილება ქვეყანაში სიგარეტის რეკლამის აკრძალვის შესახებ. თუმცა, ბერნი ეკლსტოუნი ამბობს, რომ ავსტრიაში გრან-პრი შეიძლება დაბრუნდეს კიდეც.

ამ დღეებში ფორმულა 1-ის შეფმა განაცხადა, რომ ავსტრიას კიდევ აქვს შანსი, უმასპინძლოს გრან-პრის. ამისთვის კი საჭიროა, გუნდები ეტაპების გაზრდაზე შეთანხმდნენ, რადგან 2004 წელს ფორმულა 1-ის ეტაპებს ჩინეთის, ბახრეინისა და შეიძლება თურქეთის გრან-პრი დაემატოს და, შესაბამისად, ადგილები შეზღუდული იქნება. "მომავალში, თუ რბოლების რიცხვი გაიზრდება, ავსტრიაში გრან-პრი შეიძლება დაბრუნდეს", - ამბობს ეკლსტოუნი.

წლეულს ავსტრიაში ავტოდრომის მოდერნიზაცია დაიწყო და მას "რედ ბულის" შეფი დიტრიხ მატეშიცი ჩაუდგა სათავეში. ეს კაცი ცნობილია "ეროუზისა" და "საუბერის" ლოგოტიპებით. ავსტრიაში იმედი აქვთ, რომ ახალმა "რედ ბულ რინგმა" (ეს სახელი დაერქმევა ავსტრიის ავტოდრომს) შეიძლება ბერნი ეკლსტოუნის ყურადღება მიიქციოს.

თავის მხრივ, ავსტრიის გრან-პრის გაუქმება არც ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობას აძლევს ხელს, რადგან ეკლსტოუნის ბანაკი დიდ ფულს დაკარგავს. ამიტომ ეკლსტოუნი ცდილობს, რბოლა როგორმე შეინარჩუნოს. ფორმულა 1-ის კალენდრიდან ავსტრიის გრან-პრის ამოღების შესახებ რბოლის ორგანიზატორებმა წლის დასაწყისში მიიღეს შეტყობინება, მაგრამ ეკლსტოუნი მაინც ფრთხილ პოზიციას იკავებს და ავსტრიელებს აიმედებს.

"ავსტრიელებმა იციან, რომ შეუძლიათ, ჩემი იმედი ჰქონდეთ. მეც მჯერა მათი. ამიტომ, როგორც კი შესაძლებლობა გამოჩნდება, ავსტრიაში აუცილებლად დავბრუნდებით. ეტაპების რიცხვი რომ გაზრდილიყო, მაშინ ავსტრიისთვისაც გამოჩნდებოდა ადგილი. ეს საქმე იმ სტადიაშია, რომ ახლა მხოლოდ გუნდების დაყოლიება იქნება საჭირო", - ამბობს ბერნი ეკლსტოუნი.

ამასობაში ავსტრიის ავტოდრომის დირექტორმა კრისტოფ ამანმა განაცხადა, რომ ავტოდრომს სასწრაფოდ დაემატა კიდევ ერთი ახალი ტრიბუნა, რაც გრან-პრის რბოლით ავსტრიელთა დიდმა ინტერესმა განაპირობა.

## ფილოსოფი

ბიბა ბურასაშვილი

## ევერესტიდან ევერესტამდე

დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე კვალის დატოვების მცდელობა მრავალი წლის განმავლობაში უშედეგოდ მთავრდებოდა. ბევრი რამ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი ქვეყნის ექსპედიცია გახდებოდა პირველი, რომელიც უკარება ევერესტს მოათვინიერებდა. ქვეყანა, რომლის ექსპედიციაც პირველი მიაღწევდა მიზანს, სამყაროს ამ ნაწილზე თითქოს ერთგვარ გავლენას უნდა დაუფლებოდა. პირველობის ცდუნება, მართლაც, დიდი იყო. იმ დროისთვის დაპყრობილი იყო ანტარქტიდა და არქტიკა. რჩებოდა მესამე პოლუსი, ყველაზე დიდი გამოწვევა - ევერესტი! ის კი არა და არ იხრიდა ქედს.

ასე გრძელდებოდა XX საუკუნის შუა წლებამდე, ვიდრე თეთრი საუფლოს მბრძანებელს.


*თენსინგ ნორგეი და ედმუნდ ჰილარი*

ახალზელანდიელი მეფუტკრე ედმუნდ პერსივალ ჰილარი და ოდესღაც იაკების მწყემსი, ნეპალელი შერპი თენსინგ ნორგეი, ალბათ, ვერც წარმოიდგენდნენ, თუ მათი სახელები მსოფლიოს ისტორიის განუყოფელი ნაწილი გახდებოდა. ორი თავზეხელაღებულის გამბედაობამ ევერესტის დაუძლეველობის მითი დაამსხვრია. ცნობამ ჯომოლუნგმას დაპყრობის შესახებ დედამიწას ქარიშხალივით გადაუარა. არადა, თუ ევერესტის ადრეულ ექსპედიციათა ნაკვალევს გავუყვებით, ჯომოლუნგმა ყველაზე ახლოს ჩრდილოეთიდან - ტიბეტიდან მოჩანდა. დედამიწის კენწეროსკენ მიმავალი ექსპედიციები სწორედ ტიბეტიდან მიუყვებოდნენ გზას. ასე გრძელდებოდა 1950 წლამდე, ვიდრე ნეპალის სამეფომ საზღვრები არ გახსნა. ჩინეთს რომ ჰიმალაის მთებში ჩაძირული ტიბეტის ანექსია არ მოეხდინა, ექსპედიციათა ქარავნები, ალბათ, სამხრეთით მდებარე ნეპალისკენ არც გაიხედავდნენ.

ახლა უკვე ყველა გზა ნეპალისკენ, სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებისკენ მიდიოდა. შეუსწავლელი სამხრეთის ფერდობებზე პირველი ექსპედიციები (1949-50-51 წ.წ) ინგლისელების იყო და უფრო დაზვერვის მიზნით ტარდებოდა. 1952 წელს ევერესტისკენ შვეიცარიელებიც გაემართნენ. დოქტორ უდგარ ვის-დიუნანის მეთაურობით რეიმონდ ლამბერი და შერპი თენსინგ ნორგეი 8595 მეტრის სიმაღლეზე ავიდნენ, რაც სამხრეთიდან უმაღლესი მიღწევა გახლდათ და, ამასთან, ჩრდილოეთის რეკორდიც იქნა გაუმჯობესებული (25 მეტრით).

მალე შვეიცარიელებმა ისევ ევერესტისკენ გასწიეს. ამჯერად, ექიმ გაბრიელ შევალიეს მეთაურობით.

სამწუხაროდ, შვეიცარიელთა მეორე მცდელობაც წარუმატებელი გამოდგა. 8100 მეტრზე მყოფთ საშინელი ქარბუქი დაატყდათ თავს. ამასთან, ერთი შერპიც დაეღუპათ და იძულებული გახდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ.

შვეიცარიელებისგან ისევ ბრიტანელებმა მიიღეს ესტაფეტა. ინგლისელები უკან დახევას აღარ აპირებდნენ. დროც არ ითმენდა. ნებისმიერ ფასად ევერესტი უნდა დამხობილიყო. მით უმეტეს, რომ შვეიცარიელები ძალზე "სახიფათოდ" მიუახლოვდნენ მწვერვალს. ალბიონელთა სერიოზულ განზრახვაზე მეტყველებს ექსპედიციის მასშტაბურობაც. ბრიტანელებმა მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს გაუღეს კარი. შემადგენლობაში თავი მოიყარა ინგლისური ალპინიზმის ნაღებმა. აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ექსპედიციას სამხედრო პირი ჯონ ჰანტი ჩაუდგა სათავეში. რჩეულ მთამსვლელებს შორის იყო ახალზელანდიელი ედმუნდ ჰილარიც.

ბრიტანელთა ექსპედიციის მასშტაბურობაზე მიუთითებს - 350 მზიდავი, 20 სასიმაღლო შერპი, The Times-ის კორესპონდენტი, ოპერატორი, ორი ექიმი, მეცნიერი, შვიდ ტონაზე მეტი აღჭურვილობა და, რა თქმა უნდა, ყველაზე პატივდებული შერპი თენსინგ ნორგეი, რომელიც მეშვიდედ მიემართებოდა ევერესტისკენ.

"მწვერვალის აღება უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. მე და ლამბერი ძალიან ახლოს მივედით მწვერვალთან.

და აი, ახლა ეწყობოდა დიდი ინგლისური ექსპედიცია. უფრო დიდი ექსპედიციის წარმოდგენა საერთოდ შეუძლებელიცაა". ინგლისელთა ბანაკში გადაბარგებამდე იტყვის ნორგეი.

საერთოდ, ნორგეის ერთგვარი ნოსტალგიაც ჰქონდა შვეიცარიელთა ექსპედიციაზე. შვეიცარიელი მთამსვლელებით აღფრთოვანებულს, სხვებისკენ გახედვაც არ უნდოდა: "ვფიქრობდი შვეიცარიელებზე, მათ უბადლო მამაცობაზე, იმაზე, თუ რა ბედნიერი და ამაყი ვიყავი, მათთან ერთად რომ წავედი ევერესტის დასაპყრობად.

ევერესტზე წასვლა ისევ მათთან ერთად მინდოდა. მინდოდა, მევლო ღრუბლებზე მაღლა ჩემს მეგობარ ლამბერთან ერთად".

შერპთა შერპი ინგლისელებმა არ მოასვენეს და მანამ არ მოეშვნენ, სანამ ექსპედიციის რიგებში არ იხილეს. მასვე დაავალეს შერპების შერჩევა და გზასაც გაუდგნენ. ქარავანი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიკლაკნებოდა. გზადაგზა კი ბანაკებს შლიდნენ და იერიშისთვის ემზადებოდნენ. ბრიტანელებმა საბაზო ბანაკიდან მწვერვალამდე 9 ბანაკი გაშალეს. ექსპედიცია ორ მოიერიშე წყვილად იყო დაყოფილი. პირველის წარუმატებლობის შემთხვევაში, მისი ადგილი მეორე წყვილს უნდა დაეკავებინა. მზადდებოდა მესამე საიერიშო წყვილიც, მაგრამ დარწმუნებული იყვნენ, რომ საჭირო არ გახდებოდა. პირველმა მოიერიშე წყვილმა დიდი ჭაპანწყვეტით ნაშუადღევს, 1 საათზე, სამხრეთის მწვერვალს (8 770მ.) მიაღწია, მაგრამ რაკი დროში ვერ ეტეოდნენ, ძლიერი ქარი უბერავდა და ჟანგბადიც უთავდებოდათ, იძულებულნი გახდნენ, პირი ებრუნებინათ.

დადგა მეორე წყვილის - ედმუნდ ჰილარისა და თენსინგ ნორგეის ჯერი. ჰილარი და ნორგეი დამხმარეებთან ერთად სამხრეთ უნაგირზე ავიდნენ. ღამეც იქ გაათიეს. ევერესტი კი შფოთავდა და ბორგავდა. ღამით ამოვარდნილი ქარი ქარიშხალში გადაიზარდა. შუადღისას ქარიშხალი თითქოს ჩადგა. შერპთა ერთი ნაწილი ქვევით დაეშვა. დანარჩენები 28 მაისს, დილით, გზას გაუდგნენ. 8 500 მეტრზე ღამის გასათევად IX ბანაკი გაშალეს, თუმცა, იქ მხოლოდ თენსინგი და ედმუნდი დარჩნენ. დანარჩენები სამხრეთ უნაგირზე დაეშვნენ, ზემოთ მყოფებს კი გამარჯვება უსურვეს. მეორე დღეს, დილით, 6 საათსა 30 წუთზე, ნორგეი და ჰილარი ქოშინით გაუყვნენ გზას. ამინდმაც თითქოს მოწყალე თვალით გადმოხედა ორ ხიფათის მაძიებელს. 9 საათისთვის სამხრეთის პიკზე მთვარეულებივით მიბორიალებდნენ. გზას კი არა და არ უჩანდა დასასრული. უამრავი დაბრკოლებისა და ხუთსაათიანი ხეტიალის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ თხემი ქვევით ეშვებოდა. მიმოიხედეს, გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადახედეს და დარწმუნდნენ, რომ მწვერვალზე იდგნენ. 11 საათსა და 30 წუთზე პირველამსვლელებმა ხელი ჩამოართვეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ. გამარჯვების ნიშნად თენსინგმა გაერთიანებული ერების, დიდი ბრიტანეთის, ნეპალისა და ინდოეთის დროშები წერაყინზე წამოაცვა და მაღლა აღმართა. ფოტოები გადაიღეს და 15 წუთის შემდეგ ქვევით დაეშვნენ.

ჯონ ჰანტის ექსპედიცია, უდავოდ, წარმატებული გამოდგა. ექსპედიციის არც ერთი წევრი არ დაშავებულა, არ გაყინულა და არ დაღუპულა.

2 ივნისს, დილას, "The Times" ევერესტზე ისტორიული გამარჯვების შესახებ იტყობინებოდა. იმავე დღეს მსოფლიომ ელისაბედ II დედოფლად კურთხევის შესახებაც შეიტყო. მალე ელისაბედ II ედმუნდ ჰილარის რაინდის წოდება მიანიჭა.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.
ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის
ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742




განათლების სამინისტროს საინფორმაციო
ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

## აფიშა

### თეატრები

**მარჯანიშვილის თეატრი**
"ყვარყვარე თუთაბერი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 18: 00 სთ; ფასი 3-6 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"თავისუფალი სიყვარული" რეჟ. ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"ღამის სტუმარი", რეჟ. რამაზ სიხარულიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"პეპლები", რეჟ: დავით მღებრიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"კრიმანჭული", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
ედმუნდ კალანდაძის პერსონალური გამოფენა

**„არტ-ორიენტი"**
"აბრეშუმის გზა"

**გალერეა New Art**
New Art-ისა და "კოდაკის" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულთა გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
80-იანელთა ნამუშევრების გამოფენა

**„ქარვასლა"**

**საერთაშორისო გამოფენა Appendix**
ჯგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოლოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მაწაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა

**აბრეშუმის ფაბრიკა**
Schweizer Int.

**დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი**
გურამ წიბახაშვილის, მარიცა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები

**„კლუბი 22"**
იოჰან გრიმონპრე

**9 აპრილის სახელობის პარკი:**
ატელიე ვან ლისჰაუტის "ციხე"

**გალერეა „არტ-სინთეზი"**
სტივენ ბლუმი

**საზოგადოებრივ ადგილებში**
წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"საათები"
დას: 14:00; 18:00 ფასი 5-8 ლარი
"გემი მოჩვენება"
დას: 16:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო"**
"ცისფერი კრუიზი"
დას: 15:00, ფასი 5 ლარი; 19:00, ფასი 7 ლარი
"მზის ცრემლები"
დას: 17:00, ფასი 5 ლარი; 21:30, ფასი 7 ლარი

**„რუსთაველი"**
"მზის ცრემლები"
დას: 15:00, 19:00, ფასი 5 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 17:00, ფასი 5 ლარი; 21:30, ფასი 9 ლარი

## ბინები

### იყიდება

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

სასწრაფოდ იყიდება 4-ოთახიანი ბინა კეთილმოწყობილი კაპიტალური გარაჟით, სარდაფით, პატარა ბაღით, ტელეფონით. გოთუას ქუჩა 22. 38 01 86

იყიდება 3-ოთახიანი 12 სართულიანის მე-8 სართულზე კოსმეტიკური რემონტით, ტელეფონით, ბ/აირით, სარდაფით. 96 41 80

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება კერძო სახლი ეზოთი და ავტოფარეხით მეტრო "ღრმაღელესთან" 61-56-58, 66-78-79.

იყიდება 110 კვ.მ. 2-ოთახიანი მიშენებით, ავტოფარეხით და სარდაფით ბახტრიონზე. ფასი შეთანხმებით. 96 91 93

იყიდება ფოთში მალთაყვის პირას ორსართულიანი სახლი ციტრუსოვანი 600 კვ.მ ეზოთი, გამოდგება როგორც საგარაკოდ, ისე საცხოვრებლად. 93-27-82, 893-20-32-92.

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

## მიწის ნაკვეთი

ასურეთში აგარაკი 1100კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, კაპიტალური ორსართულიანი გარემონტებული სახლი, ელექტროგაყვანილობით, წყლით. ტ. 93-27-82, 893-20-32-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

გირავდება ბინა. 96 99 32, 95 33 93

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

## კომერც. ფართი

იყიდება კომერციული ფართი 85 კვ.მ. I სართულზე ყველა საჭირო კომპონენტით. თ. მღვდლის ქ. №16. ვაგზლის ბაზრობასთან. 35 20 79 ნუგზარი

ქირავდება ფართი საოფისედ 3 ოთახი მეორე სართულზე (20+20+18). დ. აღმაშენებლის გამზ. 123. 95 95 13, 96 75 06

იყიდება კომერციული ფართობი დიღომში, ცენტრალურ გამზირზე. 98-83-75.

## მანქანები

იყიდება "რენო-ლაგუნა" 1994 წლის, სრული ელპაკეტით და კლიმატკონტროლით, ძრავი 3,0 კუბ.მ. 899 95-68-67.

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

გთავაზობთ რკინის კარებზე ძირითადი და დამატებითი საიმედო საკეტების დაყენებას. 79 90 68 გელა

იყიდება კბილის სატექნიკო იარაღები და დანადგარები. ბრეზენტის 2- და 4-კაციანი კარვები. 30 23 32

მოვამზადებ რუსულში. 30 39 36

## სხვადასხვა

ვარ 25 წლის, მაქვს უმაღლესი განათლება. ვიმუშავებ ავეჯის, პარფიუმერიის მაღაზიაში. 96 83 55 შორენა

მაქვს სათანადო რეკომენდაცია. მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვს, ასევე მწოლიარე ავადმყოფს. 8(93) 28 50 12 ნანა

**შევიძენ "ლაი-ლაის" სიმ ბარათს.**
**ტელ: 893 319288**




## TV პროგრამა 16 მაისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
19.00 სერიალი „მაშველები"
19.45 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „კაცი, რომელიც გარბის" მთ. რ-ში: არნოლდ შვარცენეგერი
02.15 მხ. ფილმი „ჰამლეტი" მთ. რ-ში: იტან ჰოუკი.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა"
10.15 მხ. ფილმი „დანაშაულის გენეოლოგია"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 „მხოლოდ კლასიკა"
15.15 მხ. ფილმი „მძიმე ატმოსფერო"
16.50 ტელესერიალი „ქილის წინ"
17.10 50-50 17.45 „ზუმი"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ"
18.30 გასტი-გუგუ
18.50 პრეს-ეკრანი
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 მრავალსახეობა
22.35 ტელესერიალი „ქილის წინ"
23.00 „რა ხდება ?!"
23.55 მხ. ფილმი „ტრამვაი მალვაროში"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. უცხ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „მომაკვდინებელი ლამაზმანები" მთ. რ-ში კირსტენ დანსტი.
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 რუსული მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 ფილმი ბრავო „თეთრი ოლეანდრი" მთ. რ-ში მიშელ ფაიფერი.
02.15 ფილმი ღამურა „აუზი". ახალგაზრდული თრილერი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „რვაფეხა"
20.30 საქართველო არის ესე
21.00 ენერგია
21.30 აფხაზეთის ტელევიზია
22.10 მხ. ფილმი „სილამაზის სალონი ვენერა"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „სახელმწიფოს მტერი"
14.10 მხ. ფილმი „უკეთესად არ არსებობს"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „გავარვარებული ასფალტი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „ახალი ჟიანჟველები შარვალში"
22.30 მხ. ფილმი „ვასაბი"

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „მთელი მომხიბვლელობით"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი
17.20, 18.45, 19.45, 21.55, 23.30, 00.50 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
20.00 მიუზიკჰოლი
22.00 დიალოგი
00.55 მხ. ფილმი „ანტარქტიდა"
02.10 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
11.50 დოკ. ფილმი „პიკასო"
12.40 მხ. ფილმი „ღალატი"
14.05 „ყვითელი კვადრატი".
14.45 „ქართული ფეხბურთი"
15.15 მხ. ფილმი „ნამგალი და ურო"
16.35 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმი „ყოფილი"
21.00 დოკ. ფილმი „ივ სენ ლორანი"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ. ფილმი „პასიანსი ორისათვის"
00.20 მხ. ფილმი „გუკოვარი".

### იმედი

17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
17.10, 00.15 იმედის მელოდიები
18.00, 20.57, 00.10 ახალი ამბების დაიჯესტი
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.25 თამაში „ლარის მახე"
19.55 არტ ფილმი „მეფის ასულები" (ი. იუპერი)
21.00 არტ ფილმი (გაგრძელება)
22.45 სერიალი „გაიხსენო ყველაფერი"
23.40 თამაში „ლარის მახე"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „ჩვილის გასეირნება"
10.45 დოკუმენტური ფილმი
12.10 კომედია „კურიერი"
14.15 სათავგადასავლო ფილმი „მსუბუქი კავალერია"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი „ნაგაზი ლას-ვეგასში"
17.40 კომედია „თქვენი არჩევანია, მადამ"
18.30, 22.40 ო - ჭ
19.40 მუსიკა
20.00 სათავგადასავლო ფილმი „მზევარავის შვილები-2"
21.40, 02.35 მუსიკა
21.55 „გალერეა"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
23.00 „ალტერნატივა"
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 თრილერი „ჰაერის ქალიშვილი"
03.20 დოკუმენტური ფილმი
03.50 მხატვრული ფილმი „ორი ჯეიკი"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.35 „აჩიკუდა"
10.00 კომპიუტერული ტექნიკა
10.40 „გიორითმი" - .
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 მობილურები
12.25 დისნეი და მისი მეგობრები
12.50 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
13.25 „მელოდია"
13.50 კომპიუტერული თამაშები
14.00 „მელოდია"
14.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.40 კომპიუტერული თამაშები
19.45 „ობიექტივი" -სტუმარი
20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
21.00 მელოდია
21.30 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.00 რაგბი - ზ012 - პირველი ნახევარფინალი
23.40 „კინოკლუბი „ - „უნივერსალური ჯარისკაცი".
01.50 მობილურები 02.40 გიორითმი" - .

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.35 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды".
11.10 Комедия „Серебряная свадьба", 2 с.
12.10, 17.25, 22.35 „Фабрика звезд 2"
12.40 Сериал „Твинисы"
13.15 Худ.фильм „Золотая речка"
15.10 „Непутевые заметки"
15.30 „Мистика Бали"
16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского", 4 с.
17.55 „Большая стирка"
19.25 Док. детектив „Зеленоградский Чикатило".
20.50 „Поле чудес"
22.00 Время
23.55 Худ.фильм „Там, где деньги"
01.45 Боевик „Смертельная схватка"

### РТР

07.45 „Доброе утро, Россия!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00 Вести
10.45 Сериал „Идиот"
11.45 Сериал „Люди и тени 2"
12.45 Вести. Дежурная часть
13.20 „В поисках приключений"
14.20 Мелодрама „Перекрестки"
15.15, 18.45 „Экспертиза"
15.30 „Мусульмане"
15.45 Вести - Москва
16.20 „Моя семья"
17.15 „Комната смеха"
18.15, 05.30 „Агентство одиноких сердец"
19.20 „Сам себе режиссер"
20.20, 22.30 Местное время. Вести - Москва
20.50 „Аншлаг"
21.50 Вести. Дежурная часть
22.50 „Спокойной ночи, малыши!"
22.55 Праздничный концерт 80-летию ЦСКА.
00.25 Боевик „По прозвищу „Зверь"
02.15 Худ.фильм „Нашествие"
04.20 „Дорожный патруль"
04.40 Сериал „Твин Пикс"

### НТВ

07.00 „Утро" на НТВ
09.50 Сериал „Ребята из нашего города"
11.00 „Сегодня утром"
11.25 „Новейшая история". „Курская дуга"
12.20 „Без рецепта". Доктор Бранд
13.00, 16.00, 18.00, 20.00 „Сегодня"
13.35 Детектив „Золото Югры", 4 с.
14.45 Криминал
15.00 Детектив „Она написала убийство"
16.35 Ток-шоу „Принцип домино". „Призвание - остряк"
18.30 Сериал „Скорая помощь"
19.25 „Профессия - репортер". „Странная война"
20.35 „Свобода слова"
21.55 Боевик „Золотой глаз"
00.40 „Все сразу!"
01.15 Худ.фильм „Парфюм"
03.15 „Ночь"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*



## ორშაბათი 19.05

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**13.00, 16.00, 19.00, 03.00** Новости **13.15** „Что? Где? Когда?" **14.40** „Смак" **15.00** Док. детектив „Зеленоградский Чикатило". **15.30** „Путешествия натуралиста" **16.15** Док.сериал „Живая природа" **17.30, 00.55** „Фабрика звезд 2" **18.00** „Большая стирка" **19.25** „Шутка за шуткой" **20.00** „Жди меня" **21.00** „Кто хочет стать миллионером?" **22.00, 00.30** Время **22.40 Худ.фильм „Под Полярной звездой", 1 с. 23.45** Кремль-9. „Светлана Сталина. Побег из семьи", 2 с. **01.10** „Теория невероятности". „Живая вода". Фильм 2 **01.40** „Сканер" **02.10** „Апология" **03.10 Сериал „Пришелец"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45 Худ.фильм „Топ ган" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20** В „Городке" **13.25** Вести недели **14.30** Вести - Москва. Неделя в городе **15.20** Ток-шоу „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Трое против всех 2" 17.15** „Честный детектив" **17.45** „Экспертиза" **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 04.25** „Дорожный патруль" **19.05, 00.30** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал „Идиот" 22.55 Сериал „Люди и тени 2" 00.00** Ток-шоу „Вести +" **00.40 Боевик „Вызов" 02.15** „Футбол России" **02.45 Комедия „Голубые Гавайи"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал „Клан Сопрано" 11.00** „Сегодня" утром **11.25** „Намедни" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30** „Сегодня" **13.35 Комедия „Рассеянный" 15.20** „Профессия - репортер". „Музейные олигархи" **15.40** „Криминал" **16.35** Ток-шоу „Принцип домино". „Куда пойти учиться?" **18.30** „Женский взгляд". И.Понаровская **19.10** „Внимание! Розыск!" „Доводы защиты" **20.40 Сериал „Ребята из нашего города" 21.45 Детектив „На углу, у Патриарших 3", 5 с. 23.00** „Страна и мир" **23.40 Сериал „Секс в большом городе" 00.25** Проект Л.Парфенова „Российская империя: Николай-I" **01.55** „Гордон"

## სამშაბათი 20.05

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00** Новости **10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм „Под Полярной звездой", 1 с. 12.05, 17.30, 00.55** „Фабрика звезд 2" **12.35** Дисней-клуб: „Ллойд в космосе" **13.15 Худ.фильм „Блокада", ч.1. „Лужский рубеж" 15.20** „Сканер" **15.30** „Теория невероятности". „Живая вода". Ф.2 **16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского" 18.00** „Большая стирка" **19.25** „Сати". Г.Хазанов **21.00** Ток-шоу „Основной инстинкт" **22.00, 00.30** Время **22.40 Сериал „Под Полярной звездой", 2 с. 23.45** Лубянка. „Обыкновенный терроризм" **01.10** „На футболе" **01.40** „Русский экстрим" **02.10** „Апология" **03.10 Сериал „Пришелец"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал „Идиот" 10.45, 22.55 Сериал „Люди и тени 2" 12.00, 15.00, 18.00, 06.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20 Сериал „Пираты" 14.15, 17.45** „Экспертиза" **14.30** „Колоссальное хозяйство" **14.45** Вести - Москва **15.20** Ток-шоу „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Трое против всех 2" 17.15, 04.40** „Агентство одиноких сердец" **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 02.40** „Дорожный патруль" **19.05, 00.30** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **00.00** Ток-шоу „Вести +" **00.40 Боевик „Мозговая атака" 02.50** „Горячая десятка" **03.50 Сериал „Твин Пикс"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.55 Сериал „Ребята из нашего города" 11.00** „Сегодня" утром **11.25** „Внимание! Розыск!" „Доводы защиты" **12.10** „Растительная жизнь". Л.Ахеджакова и А.Будницкая **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.40** „Сегодня" **13.35 Боевик „Ничего не вижу, ничего не слышу" 15.40** „Криминал" **16.35** Ток-шоу „Принцип домино". „Семейные ссоры" **18.30 Сериал „Скорая помощь" 19.25** Док. драма „Преступление и наказание" **20.40 Сериал „Ребята из нашего города" 21.45 Детектив „На углу, у Патриарших 3", 6 с. 23.00** „Страна и мир" **23.40 Сериал „Секс в большом городе" 00.25** Проект Л.Парфенова „Российская империя: Николай-I", ч. 2 **02.05** „Гордон" **03.05 Сериал „Доктор" 03.50** „Ночь"

## ოთხშაბათი 21.05

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00** Новости **10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм „Под Полярной звездой", 2 с. 12.05, 17.30, 00.55** „Фабрика звезд 2" **12.35** Дисней-клуб: „Ллойд в космосе" **13.15 Худ.фильм „Блокада", ч.1. „Пулковский меридиан" 14.45** „Непутевые заметки" **15.00** „Русский экстрим" **15.30** „Сканер" **16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского" 18.00** „Большая стирка" **19.25** „Смехопанорама" **21.00** „Слабое звено" **22.00, 00.30** Время **22.40 Сериал „Под Полярной звездой" 23.45** Док.фильм „Шаолинь. Путь воина" **01.10** „Новые чудеса света". „Брюссель. Атомиум" **01.40** „Трюкачи" **02.10** „Апология" **03.10 Сериал „Пришелец"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45, 21.50 Сериал „Идиот" 10.45, 22.45 Сериал „Люди и тени 2" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20 Сериал „Пираты" 14.15, 17.45** „Экспертиза" **14.30** Москва - Минск **14.45** Вести - Москва **15.20** Ток-шоу „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Трое против всех 2" 17.15, 04.50** „Агентство одиноких сердец" **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 03.40** „Дорожный патруль" **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.25** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.45** „Спокойной ночи, малыши!" **23.35 Футбол. Кубок УЕФА. Финал. „Селтик"**(Шотландия) **- „Порту"**(Португалия) **01.50 Детектив „Почти что мертвая" 03.55 Сериал „Твин Пикс"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.50 Сериал „Ребята из нашего города" 11.00** „Сегодня" утром **11.25** Док. драма „Преступление и наказание" **11.55** „Кулинарный поединок". „Премьер-министр" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.45** „Сегодня" **13.35 Мюзикл „На бойком месте" 15.40** „Криминал" **16.35** Ток-шоу „Принцип домино". „Страсти по квартплате" **18.30 Сериал „Скорая помощь" 19.25** „Чистосердечное признание" **20.40 Сериал „Ребята из нашего города" 21.45 Детектив „На углу, у Патриарших 3", 7 с. 23.00** „Страна и мир" **23.40 Сериал „Секс в большом городе" 00.25** Проект Л.Парфенова „Российская империя: Александр-II" **02.05** „Гордон" **03.05 Сериал „Доктор" 03.50** „Ночь"

## ხუთშაბათი 22.05

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00** Новости **10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм „Под Полярной звездой", 3 с. 12.05, 17ю.30, 00.55** „Фабрика звезд 2" **12.35** Дисней-клуб: „Базз и его команда" **13.15** Военная эпопея „Блокада", ч. 2. „Ленинградский метроном" **15.10** „Непутевые заметки" **15.30** „Неизвестная планета". „Мистика Бали" **16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского" 18.00** „Большая стирка" **19.25** „Сами с усами" **21.00** Ток-шоу „Основной инстинкт" **22.00, 00.30** Время **22.40 Сериал „Под Полярной звездой" 23.45** „Человек и закон" **01.10** „Крылья" **01.40** „Гении и злодеи" **02.10** „Апология" **03.10 Сериал „Пришелец"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал „Идиот" 10.45, 22.55 Сериал „Люди и тени 2" 12.00,15.00, 18.00, 21.00, 06.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20 Сериал „Пираты" 14.15, 17.45** „Экспертиза" **14.30** „Вся Россия" **14.45** Вести - Москва **15.20** Ток-шоу „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Трое против всех 2" 17.15, 05.25** „Агентство одиноких сердец" **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 03.45** „Дорожный патруль" **19.05, 00.30** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **00.00** Ток-шоу „Вести +" **00.40 Худ.фильм „Век невинности" 03.20** „Синемания" **04.05 Сериал „Твин Пикс"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.50 Сериал „Ребята из нашего города" 11.00** „Сегодня" утром **11.25** „Чистосердечное признание" **12.00** „Квартирный вопрос". „Романтический интерьер" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.45** „Сегодня" **13.35 Комедия „Цветок кактуса" 15.45** „Криминал" **16.35** „Принцип домино". „Что такое боль и как с ней бороться?" **18.30 Сериал „Скорая помощь" 19.25** „Очная ставка". „Дьявол в рясе" **20.40 Сериал „Ребята из нашего города" 21.45 Детектив „На углу, у Патриарших 3", 8 с. 23.00** „Страна и мир" **23.40 Сериал „Секс в большом городе" 00.25** Проект Л.Парфенова „Российская империя: Александр-II", ч. 2 **02.05** „Гордон" **02.55** „Кома" **03.25** „Ночь"

## პარასკევი 23.05

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.10 Худ.фильм „Под Полярной звездой", 4 с. 12.10, 17.30, 00.55** „Фабрика звезд 2" **12.40 Сериал „Твинисы" 13.15 Худ.фильм „Блокада", ч. 2. „Операция „Искра" 14.30** „Новые чудеса света". „Брюссель. Атомиум" **15.00** „Крылья" **15.30** „Гении и злодеи" **16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского" 18.00** „Большая стирка" **19.25** Док. детектив „7 лет в ожидании расстрела". **20.50** „Поле чудес" **22.00** Время **23.55 Боевик „Действуй, сестра!" 01.50** Новости **02.00 Триллер „Черепа"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал „Идиот" 10.45 Сериал „Люди и тени 2" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00** Вести **12.20** „В поисках приключений" **13.20 Сериал „Пираты" 14.15, 17.45** „Экспертиза" **14.30** „Мусульмане" **14.45** Вести - Москва **15.20** „Моя семья" **16.15** „Комната смеха" **17.15, 04.45** „Агентство одиноких сердец" **18.20** Командный Чемпионат Европы по гимнастике **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50** „Аншлаг" **20.50** Вести. Дежурная часть **21.50** „Спокойной ночи, малыши!" **21.55** Праздничный концерт к 80-летию общества „Динамо". **23.05 Боевик „Мафия бессмертна" 01.05 Худ.фильм „Живые" 03.35** „Дорожный патруль" **03.50 Сериал „Твин Пикс"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.50 Сериал „Ребята из нашего города" 11.00** „Сегодня" утром **11.25** „Новейшая история: другие" **12.15** „Без рецепта". Доктор Бранд **13.00, 16.00, 18.00, 20.00** „Сегодня" **13.30 Боевик „Поговорим, брат..." 16.35** Ток-шоу „Принцип домино". „Профессия: домработница" **18.30 Сериал „Скорая помощь" 19.25** „Команда.ru" **20.35** „Свобода слова" **21.55 Боевик „Завтра никогда не умрет" 00.25** „Все сразу!" **01.00 Худ.фильм „Путь Карлито" 03.35** „Ночь"

## შაბათი 24.05

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.10 Сериал „Китайский связной" 08.00, 11.00, 15.00, 19.00** Новости **08.10 Сериал „Приключения Геркулеса" 09.00** Сериал „Твинисы" **09.20** „Играй, гармонь любимая!" **10.00** „Слово пастыря" **10.15** „Здоровье" **11.10** „Смак" **11.30** Кремль-9. „Светлана Сталина. Побег из семьи", 2 с. **12.10** „Возвращение домой. Ренат Акчурин. Андижан" **12.56** „Смехопанорама" **13.35** „Путешествия натуралиста" **14.05** Док.фильм „Тайна бессмертия" **14.35** Дисней-клуб: „Геркулес" **15.10** „Русская рулетка" **16.10** „Спасатели. Экстренный вызов" **16.40 Детектив „Змеелов" 18.30** Концерт памяти В.Мулявина „Молодость моя..." „Песняры" **19.10** Концерт „Молодость моя..." (продолжение) **20.20** „Шутка за шуткой" **20.55** „Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.25** „Что? Где? Когда?" **23.50** Конкурс песни „Евровидение-2003"

### РТР
**07.00 Детектив „Будни уголовного розыска" 08.20** Мультфильм: „Рикки-тикки-тави", „Погоня" **08.40** Мультсериал „Джуманджи" **09.05** „Здоровье" **09.40** „Золотой ключ" **10.00** „Сборная России" **10.25** „Военная программа" **10.45** „Утренняя почта" **11.20** „Сто к одному" **12.15** „Сам себе режиссер" **13.15** „В поисках приключений" **14.10** „Клуб сенаторов" **15.00, 21.00, 06.00** Вести **15.20 Худ.фильм „Простая история" 17.00 Футбол. Чемпионат России. „ЦСКА" - „Торпедо-Металлург"** (Москва) **19.00** „Моя семья" **20.00** „Аншлаг" **21.25** „Зеркало" **21.50** „Честный детектив" **22.15 Боевик „Матрица" 00.55 Комедия „Герой ее романа" 02.50 Комедия „Парень с Белой реки" 04.40 Сериал „Клоун"**

### НТВ
**07.05 Худ.фильм „Джеймс Бонд - агент 007" 09.00, 13.00, 17.00** „Сегодня" **09.20 Сериал „Голубое дерево" 10.00** „Без рецепта". Доктор Бранд **10.30** „Весь Жванецкий". „За кефир - отдельное спасибо всем!" **11.05** „Кулинарный поединок" **12.00** „Квартирный вопрос". „Камин в гостиной" **13.15** „Профессия - репортер". „Собаки страшные" **13.40** „Служба спасения" **14.15 Комедия „Мимино" 16.05** „Своя игра" **17.20** Спорт „Лото 6 из 49" **17.25** „Женский взгляд". А.Варум **18.05 Мелодрама „Воровка" 20.00** „Новейшая история". „Санкт-Петербург. Вид на место жительства" **20.45 Детектив „Сыщики 2". „Уйти и не вернуться" 22.00** „Личный вклад" с А.Герасимовым **23.05 Худ.фильм „Нелл" 01.20** Супербокс. Оскар Де Ла Хойя против Гектора Камачо **02.30 Комедия „Распутник"**

## კვირა 25.05

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.10 Сериал „Китайский связной" 08.00, 11.00, 15.00** Новости **08.10** Сериал „Приключения Геркулеса" **09.00** Сериал „Твинисы" **09.20** „Служу Отчизне!" **09.50** Дисней-клуб: „Легенда о Тарзане" **10.10** „В мире животных" **11.10** „Непутевые заметки" **11.30** „Пока все дома" **12.05** „Дог-шоу" **12.50** Возвращение к „Титанику". Д.Кэмерон **13.20** „Клуб путешественников" **14.05** „Умницы и умники" **14.35** Дисней-клуб: „Геркулес" **15.10** „Властелин вкуса" **16.05** „Ударная сила". „Бесконтактная война" **16.35** „Большие родители". Н. Хрущев **17.30** „Ералаш" **17.55** Док.сериал „Живая природа" **19.00** „Времена" **20.10** „КВН-2003". Высшая лига **22.30** Театр кукол М.Леонтьева **23.00 Боевик „Самолет президента" 01.15** „Тихий дом". Итоги Каннского кинофестиваля **01.45 Комедия „Фестиваль в Каннах"**

### РТР
**07.00 Худ.фильм „Домовик и кружевница" 08.10** Мультфильм: „Пес в сапогах", „Хитрые старушки" **08.35** Мультсериал „Джуманджи" **09.20** „Русское лото" **10.05** „ТВ Бинго-шоу" **10.35** Местное время. Вести - Москва. **11.15** „Утренний разговор" **11.50** „Городок". Дайджест **12.20 Комедия „Адский небоскреб".** (Франция) **14.10** „Парламентский час" **15.00** Вести **15.20** „Мир на грани" **15.55** „Комната смеха" **16.55 Футбол. Чемпионат России. „Спартак"** (Москва) - **„Динамо"** (Москва) **18.55 Комедия „Бумеранг" 20.50** В „Городке" **21.00** Вести недели **22.10** „Специальный корреспондент" **22.35 Худ.фильм „Свадьба" 00.55 Худ.фильм „Джерри Магуайр" 03.40 Сериал „Семь дней" 04.30 Худ.фильм „Адский небоскреб"**

### НТВ
**07.25 Худ.фильм „Полундра!" 07.55 Худ.фильм „Собачье сердце", 1 с. 09.00, 13.00, 17.00** „Сегодня" **09.20 Худ.фильм „Собачье сердце", 2 с. 10.25** Лотерея „Шар удачи" **10.55 Сериал „Любовь вдовца", 8 с. 11.50** „Растительная жизнь". С.Сорокина **12.30** „Вы будете смеяться!" **12.55** Погода на завтра **13.15** „Влияние" **14.05 Детектив „Перехват" 15.50** „Вкусные истории" **16.05** „Своя игра" **17.20** Играем в „Кено" **17.25** Ток-шоу „Принцип домино". „Как уберечь себя от сглаза?" **18.50 Худ.фильм „Робин и Мэриан" 20.50 Детектив „Сыщики 2".** „Уйти и не вернуться", ч. 2 **22.00** „Намедни" с Л.Парфеновым **23.30 Триллер „Настоящее преступление" 02.05 Сериал „Клан Сопрано" 03.00** „Журнал Лиги чемпионов" **03.30** „Ночь"

# კანის მესამე დღე

დღეს 16 მაისია და კანის კინო-ფესტივალის მესამე დღე. შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი, რომელსაც კინოკრიტიკოსები დიდი ხანია, ელიან: კანის სასახლეში დღეს 11:30-სა და 22:15-წუთზე სამირა მაჰმალბაფის ფილმს "შუადღის ხუთ საათზე" აჩვენებენ. 19-30-წუთზე კი ანდრე ტეშინის სურათს Strayed. თუმცა, კანი უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით მაინც სამირას ნამუშევარს ელის. ეს არის რეჟისორი, რომელმაც ფესტივალის მონაწილენი წინათ თავისი "ვაშლით", შემდეგ კი "დაფით" გააოცა. როდესაც "ვაშლი" გადაიღო, სამირა 17 წლისა იყო. ფილმმა კანის სპეც-ჯილდო დაიმსახურა, მეორე წელს კი "დაფამ", რომელიც კონკურსის ფარგლებში აჩვენეს – ჟიურის პრიზი. "შუადღის ხუთ საათზე" სამირას ახალი ნამუშევარია, რომელიც მან დანგრეულ ქაბულში გადაიღო. ფილმის მოკლე ანოტაცია კანის კინოფესტივალის ვებ-გვერდზე ასეთია: "თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ შეწყვეტილი სწავლის პროცესი კვლავ იწყება. სკოლებში გოგონებიც მიდიან. ერთ-ერთ მათგანს სურს, რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდეს". დიალოგი ფილმიდან: "მასწავლებელი: მოსწავლეს შავი კაბა ეცვას და თეთრი თავსაბური უნდა ეხუროს. ნოქრეჰ, რატომ გაცვია ეგ ფერადი სამოსი? ნოქრეჰი: მადამ, მე რომ ისე ჩავიცვა, თქვენ როგორც ამბობთ, მამა სკოლაში, ალბათ, აღარ გამომიშვებს. ის ისედაც ფიქრობს, რომ გოგოები არ უნდა სწავლობდნენ". – ამ დიალოგიდან და ანოტაციიდან უკვე ცხადია, თუ რა თემებს მოიცავს სამირას ახალი ფილმი, რომელიც, მისი დანარჩენი ნამუშევრებივით, დახვეწილი რეჟისურითა და ლამაზი კადრებით გამოირჩევა.

დღესვე, კანში კლოდ დებიუსისადმი მიძღვნილ რამდენიმე სურათს უჩვენებენ. ასევე კონკურს გარე პროგრამაში ცნობილი გერმანელი რეჟისორი, ვიმ ვენდერსი თავის "ადამიანის სულს" წარმოადგენს. შედგება "ოქროს პალმის" მფლობელი იტალიელი ნანი მორეტის ახალი ფილმის კანის პრემიერაც.

ასე რომ, ფესტივალის სტუმრებს დღეს გადატვირთული და საინტერესო პროგრამა აქვთ. გუშინდელი დღე კი მათ რაულ რუისის კონკურსში მონაწილე ფილმით დაიწყეს და "მატრიცა-2"-ის პრემიერით გააგრძელეს. ჩვენებას ესწრებოდა კეანუ რივზიც. ის ერთ-ერთი იმ ვარსკვლავთაგანია, რომელსაც კანში ელოდნენ. "მატრიცა-2"-ის მეორე ვარსკვლავი, მონიკა ბელუჩი კი თავს განსაკუთრებულად კარგად გრძნობდა ჟიურის თავმჯდომარის, პატრის შეროს კამპანიაში. შერო პრესკონფერენციაზე სწორედ ბელუჩისთან და მეგ რაიანთან ერთად გამოცხადდა. გუშინ გაიხსენეს ფედერიკო ფელინიც და უჩვენეს მისი Intervista. შეგახსენებთ, რომ ფელინის შემოქმედებას კანში კიდევ რამდენიმე ღონისძიებას მიუძღვნიან, რადგან წელს ფესტივალზე მისი გარდაცვალებიდან ათი წლისთავს აღნიშნავენ. გუშინ პროგრამაში იყო "ანდალუზიური ძაღლიც" – სალვადორ დალისა და ლუის ბუნუელის ფილმი და ეტორე სკოლას "როგორ გვიყვარდა ერთმანეთი".

კინოს ძველ თაობას კანში ჯინა ლოლობრიჯიდა წარმოადგენდა. ის "ფან ფან ტულპანის" პრემიერას დაესწრო და შეხვდა პენელოპა კრუსსაც – ქალბატონს, რომელიც "ფან-ფანის" რიმეიქში ადელინას როლს ასრულებს. უნდა ითქვას, რომ ფილმს მაყურებელი აუღელვებლად შეხვდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რიმეიქი გაცილებით უფრო უსახური აღმოჩნდა, ვიდრე პირველი ვარიანტი. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ დარბაზი რბოლის, დეუელისა და ფლირტის სცენებით სავსე ფილმს გულგრილად ადევნებდა თვალს და საათზეც მალი-მალ იხედებოდა. ანუ, ფილმს აკლდა ის, რაც ბოლო ხანს ძალიან ხშირად ავიწყდებათ – რეჟისორის ხელი. კრავჩიკი – რიმეიქის ავტორი კრისტიან ჟაკი აშკარად არ აღმოჩნდა. "ფან-ფანი" მან ისევე გადაიღო, როგორც "ტაქსის" სერიები და ეს ნაკლი ფილმს პირველივე კადრიდან დაეტყო – კრიტიკოსტთა განაჩენი ახალი "ფან ფანისადმი" დაახლოებით ასე ჟღერდა. ასე რომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფესტივალის პირველ საღამოს საზეიმო და ამაღლებული განწყობა პენელოპა კრუსის მომხიბვლელმა ღიმილმა და სიმპათიური ვინსენ პერესის ხუმრობებმა თუ შეუნარჩუნა. თორემ, ფილმით არავინ აღფრთოვანებულა. თუმცა, უღიმღამო სტარტის მიუხედავად, კანში მოქმედება თანდათან იძაბება და პროგრამა სულ უფრო საინტერესო ხდება. ამაზე 16 მაისის დღის განრიგიც მეტყველებს.



REUTERS

კეანუ რივზი და მონიკა ბელუჩი ახალი "მატრიცას" პრემიერაზე



REUTERS

პენელოპა კრუსი და ვინსენტ პერესი

# აღმოაჩინე ქართული „მინა" „იმიჯ-ცენტრთან" ერთად

სოფო კვინტრაძე

ქსნის მინის ტარის ქარხანაში, სააგენტო "იმიჯ-ცენტრის" მოდელების მონაწილეობით, ქარხნის პროდუქციის პრეზენტაცია მოეწყო. პრეზენტაციას სიმბოლური სახელი ჰქონდა - "აღმოაჩინე ქართული "მინა". სამოდელო სააგენტო "იმიჯ-ცენტრის" მანეკენებმა, "მინის" მიერ დამზადებულ ბოთლებში ჩამოსხმულ სასმელებთან ერთად ქარხნის თანამშრომლებსა და მოწვეულ სტუმრებს მაღაზია "სან-სეტის" პროდუქცია წარმოუდგინეს.

ქსნის მინის ქარხანა, რომელიც 1987 წელს აშენდა, ამჟამად თურქული კომპანია "შიშეჯამის" საკუთრებაა. "შიშეჯამმა" ქარხნის აქციების 82 პროცენტი შეისყიდა, ამას გარდა, "მინის" აქციონერები მსოფლიოში ცნობილი საფინანსო ორგანიზაციები EBRD-ი და IFC-ი არიან. ბოლო ხუთი წლის მანძილზე საწარმოში 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. რამდენიმე კვირის წინ დასრულდა 9 მილიონი დოლარის მოცულობის საინვესტიციო პროექტი, რომლის შედეგად "მინის" წარმადობა 150 პროცენტით გაიზარდა. ქარხანაში წელიწადში 150 მილიონ ბოთლს ამზადებენ. "მინა" არის ამიერკავკასიაში უმსხვილესი მინის ტარის მწარმოებელი ქარხანა, რომელიც 25-ზე მეტი სხვადასხვა სახეობის ბოთლს უშვებს ალკოჰოლური თუ უალკოჰოლო სასმელებისათვის. "მინის" ბოთლებშია ჩამოსხმული ისეთი ცნობილი სასმელები, როგორებიცაა: "ბორჯომი", "ნაბეღლავი", "კოკა-კოლა", "ყაზბეგი", "არგო", შამპანურები "ბაგრატიონი" და "სამეფო", ღვინოები "ხვანჭკარა" და "ქინძმარაული" და ა.შ. გარდა იმისა, რომ ქარხანა ქართულ ბაზარს ბოთლებით ამარაგებს, მისი პროდუქცია აზერბაიჯანისა და სომხეთის ბაზრებზეც წარმატებით იყიდება. ქარხანაში 270 ადამიანი მუშაობს, რომელთა საშუალო ხელფასი 170-180 ლარს შეადგენს.



"იმიჯ-ცენტრი" ქსნის მინის ტარის ქარხანაში

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

MBA
მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950 სანქრეფლოვანა ჩ6.

... BA (Hons) ... 10 950$ (£ 6950 ...).
... B. Eng (Hons) ... £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

... 1600$-ის (£ 1000) ...

... 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08; +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
... 34 61 62, 8-93 35 20 67

საოჯახო ლოტო

29 მარტიდან,
შეიძინეთ!
გაერთეთ!
მოიგეთ!

საოჯახო ტოტოს გათამაშება.

ფირმა "ფენიქსი"

დაწვრილებითი ინფორმაცია და კოეფიციენტების ცხრილი იხილეთ გაზეთ "24 საათში"

U.S. INVESTMENT BANKER
Access the capital markets for debt or equity. $2 million minimum. 30+ yrs experience. Extensive background in Western and Eastern Europe, the Middle East, CIS, and USA. $1.4 billion completed. Financial Advisor to seven developing nations and a former advisor to the government of Georgia. Offshore accounts arranged. Confidentiality assured. Retainer fees required. The Government and State-Owned Enterprises are invited to answer this ad.Replies in English only please to:

ამერიკული საინვესტიციო ბანკი გთავაზობთ:

გასვლას საფონდო ბაზრებზე ინვესტიციის ან კრედიტისათვის. მინიმუმ 2 მილიონი დოლარი. ... 1,4 მილიარდი ... ინგლისურ ენაზე.

CIPF, Ltd. ფაქსი: (480) 663-0581 ელ-ფოსტა: cipfltd@att.net

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.